1958/2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

682/
/2

1

1958

36

საქართველოს

ლიტერატურული
ალმანახი

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის აჭარის განყოფილების
ორგანო

7600

1

1958

იანვარი
თებერვალი

შინაარსი

რედაქციისაგან	3
მისალმებები	5
ა. მირცხულავა—აჭარა (ლექსი)	9
ფრ. ხალვაში—ეჰ, ძვირფასო გზებო! ამ ქვეყანაზე, ბაზალეთის ტბა (ლექსები)	10
პ. ლორია—მამისეული ფეხსაცმელი (მოთხრობა)	12
ნ. მალაზონია—ჩემი სოფელი მამათი, მე და მერცხალი, სად გოგმანობ (ლექსები)	17
ლ. გოთუა—კუდალა ზაქი (მოთხრობა)	19
ნ. გვარიშვილი—პირველ აპრილს დაიბადე, განა სულ ასე ვიქნებით, ეძინებათ ხვამლის ნისლებს, თონე, ხაშხაში (ლექსები)	25
ი. რურუა—წიქარა (მოთხრობა)	27
შ. როყვა—მას დავადარე, მე მიყვარხ, როცა ზღვაზე ქარია (ლექსები)	35
ლ. გელაძე—რაღაც კვალი, ღვინის წყარო (ლექსები)	37
ქ. მუავია—დილა, ჩემი ეზო (ლექსები)	39
ალ. ჩხაიძე—უძლეველი (მოთხრობა)	41
ნ. ჯალაღონია—არსენას საფლავთან (ლექსი)	54
გ. სანადირაძე—რად მეუბნები (ლექსი)	55
ჯ. ჯაუელი—მეორედ შეხვედრა (მოთხრობა)	56
ს. ესენინი—ძაღლის შვილი, არას ვნაღვლობ, არვის ვუხმობ ცრემლით (ლექსები) თარგმნა გ. სალუქვაძემ	61
ჯ. ლონდონი—ერთდღიანი გაჩერება (მოთხრობა) ინგლისურიდან თარგმნა გ. მაჭუტაძემ	63

1918—1958

ი. ცერცვაძე — სამშობლოსათვის თავდადებულნი 75

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანები

გრ. კილაძე — მისი ცხოვრების გზა . . 78

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

შ. ძურიძე — პარტიულობის პრინციპი საბჭოთა ლიტერატურის ძირითადი პრინციპია 80

პუბლიკაცია

ლ. ასათიანი — დამავიწყდა... უნდა მეთქვა, ვნახე წარსულის ერთი ფურცელი (ლექსები) 88

წიგნის თარო

ალ. ჩავლეიშვილი — საინტერესო ნაშრომი მხატვრულ ლიტერატურაში ხალხთა მეგობრობის ასახვის საკითხზე . . 90

ი. სიხარულიძე — აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ანთროპოლოგიისათვის . 92

სატირა და იუმორი

ალ. სამსონია — მეზობლები 94

რედაქტორი შოთა ქურიძე

სარედაქციო კოლეგია:

ხ. ახვლედიანი, ნ. გვარიშვილი, პ. ლორია, გ. სალუქვაძე (პ/მგ მდივანი), ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში.

რედაქციის მისამართი: ბათუმი, გორკის ქ. № 1, ტელ. № 6-20

ნომერი გააფორმა თ. სამსონაძემ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციისაგან

ქართულ საბჭოთა პრესას შეემატა კიდევ ერთი ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა". ჭეშმარიტად სასიხარულოა, რომ ჩვენი ჟურნალი დაიბადა იმ მხარეში, სადაც უძველესი და უმდიდრესი ქართული კულტურა ჩქეფდა. სამხრეთ საქართველოს რომ ახასიათებდა, ქართველი ხალხის ამაგდარი იღია ჭავჭავაძე თავის დროზე წერდა: „ჩვენი სასიქადულო „ვეფხის-ტყაოსნის" მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მხრის კაცი იყო... ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ ალყავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძღიერებას იქ ალუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის ალმატებულების აკვანი... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს".

ისტორიული უკულმართობის გამო აჭარა, საქართველოს ეს უმშვენიერესი მხარე, თურქმა დამპყრობლებმა სამი საუკუნით მოწყვიტეს დედა-სამშობლოს. მათ ცეცხლითა და მახვილით მოსრეს სამხრეთ საქართველოს სოფლები, დაანგრიეს ქართული კულტურის ძეგლები, გააპარტახეს და დასცეს სახალხო მეურნეობა, ღამობდნენ ადგილობრივი მოსახლეობის გათურქებას. მაგრამ დამპყრობლებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. აჭარის მშრომელებმა მტკიცედ დაიცვეს ქართული ენა, ზნე-ჩვეულებანი და მედგრად იბრძოდნენ დედა-საქართველოსთან შეერთებისათვის.

თავის მხრივ, მთელი ქართველი ხალხი ყველაფერს აკეთებდა, რათა ოჯახში დაებრუნებინა მიტაცებული ძმა. ქართველი მოღვაწეები გაბედულად იმაღლებდნენ ხმას თურქი ასიმილატორების წინააღმდეგ და მოითხოვდნენ სამხრეთ საქართველოს შემოერთებას. ქართველი ხალხის ამ სანუკვარი ოცნების განხორციელება შესაძლებელი გახდა დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარების წყალობით. ბერლინის ცნობილი ტრაქტატით სამხრეთ საქართველო 1878 წელს კვლავ შეუერთდა დედა-სამშობლოს. ეს ისტორიული აქტი მთელი ქართველი ხალხის ეროვნულ ზეიმად იქცა.

ვერაგი მტრის ბრჭყალებიდან გამოხსნილი აჭარა ჭეშმარიტი ალორძინებისა და აყვავების გზას დაადგა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. თურქთა ბატონობის დროს ჩამორჩენილი ეს თვალწარმტაცი მხარე დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სხვა მოძმე ხალხების უანგარო, ძმური დახმარებით, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელების მეოხებით სწრაფად განვითარდა და უდიდესი წარმატებები მოიპოვა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჭარაში აღიზარდა და დაწინაურდა ნიჭიერი მშრომელი ინტელიგენცია. აქ არიან გამოჩენილი მწერლები, ხელოვნების მუშაკები. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა პირობას ქმნიან იმისათვის, რათა ახალი თვალსაჩინო წარმატებები მოვიპოვოთ ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში, ყოველმხრივ დავაკმაყოფილოთ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების მაღალი მხატვრული გემოვნება.

აჭარაში ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი მძლავრი აღმავლობა მკაფიოდ გამოავლინა 1957 წელს თბილისში გამართულმა აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადამ. საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობამ მაღალი შეფასება მისცა ჩვენი მწერლების, მხატვრების, სცენის ოსტატების, მოცეკვავეთა და მომღერლების, ხალხური ტალანტების შემოქმედებას.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა მიერ დეკადაზე მოპოვებულმა თვალსაჩინო წარმატებებმა ცხადყო, რომ აუცილებელია აჭარაში გამოდიოდეს პერიოდული ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელშეწყობითა და დახმარებით ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა. ამიერიდან ბათუმში გამოდის ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“.

ჩვენი ჟურნალის საბრძოლო ამოცანაა ხელი შეუწყოს ჩვენს რესპუბლიკაში ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ მძლავრ აღმავლობას, შემოიკრიბოს და აღზარდოს ნიჭიერი მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა ახალი კადრები. ჟურნალის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და ხელოვნების მოღვაწეები.

ჟურნალი საფუძვლიანად ასახავს აჭარის ისტორიას და მის ბედნიერ დღევანდელობას. იგი ფეხდაფეხ გაჰყვება ჩვენს დიად თანამედროვეობას და ყველაფერს გააკეთებს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიერ იდეოლოგიური მუშაობის დარგში დასახული ამოცანების ლირსეულად განხორციელებისათვის.

გვჯერა, რომ ახალი ჟურნალი თავის წვლილს შეიტანს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბათუმი,
„ლიტერატურულ აჭარას“

ჩვენ, თბილისში მომუშავე ქართველი მწერლები, მუდამ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს ბათუმელი თანამოკალმეების შემოქმედებითს მუშაობას და გვახარებს მათი ყოველი დიდი და პატარა წარმატება.

დღესაც უსაზღვრო სიხარულს განვიცდით იმის გამო, რომ ბათუმში გამოსვლას იწყებს ახალი მხატვრული ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს ჟურნალი მხარში ამოუდგება „მნათობს,“ „ცისკარს“ და შესაძლებლობის დაუზოგავად ხელს შეუწყობს ქართული საბჭოთა მწერლობის შემდგომ აღმავლობას, განამტკიცებს მწერლობის კავშირს ცხოვრებასთან, ხალხთან.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ „ლიტერატურული აჭარა“ თავის წმინდა ამოცანად დაისახავს ხელი შეუწყოს მწერლებს უფრო ფართოდ, ღრმად, პროფესიონალურად ასახონ ჩვენი დიადი თანამედროვეობა, საბჭოთა ადამიანების მდიდარი და ლამაზი სულიერი სამყარო.

ჩვენ გვწამს, რომ „ლიტერატურული აჭარა“ ხელგაშლილი გააცნობს მასებს ქართული მწერლობის, საერთოდ ქართული კულტურის მიღწევებს, დაეხმარება ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებითი ძალების ერთმანეთთან უფრო მეტად დაახლოებას.

მე სულით და გულით მივესალმები ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ დაბადებას და ვუსურვებ მის გამოცდილ მუშაკებს — მთელ კოლექტივს წარმატებებს შემოქმედებითი მუშაობის რთულ გზაზე.

გაგიმარჯოთ თანამოკალმენო და თანამოსაგრენო!

* * *

სულით და გულით ვესალმები აჭარაში ქართული ჟურნალის შექმნას, რადგან ეს დიდი მოვლენაა ქართველი ხალხის კულტურულ ცხოვრებაში. ვუსურვებ ახალ ჟურნალს ღირსეული წვლილი შეეტანოს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ განვითარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე—დიდ პატრიოტს ჩვენი ულამაზესი მხარის, საბჭოთა აჭარისა, მთელ ჩვენს ინტელიგენციასთან ერთად დიდად მიხარის, რომ აჭარას ექნება ლიტერატურული ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“. ლიტერატურა, ხელოვნება აჭარაში უკვე იმდენად განვითარდა და ისეთ სიმაღლემდე ავიდა, რომ მისი გაშუქება და უფრო ვრცელი და ღრმა ასახვა აუცილებელია.

მე გულით ვულოცავ ჩემს საყვარელ კოლეგებს — მსახიობებს, მწერლებს, მხატვრებს და ყველას, ვინც ამ შესანიშნავ დარგში მუშაობს, ახალი ჟურნალის დაბადებას. ვუსურვებ დიდ გზას „ლიტერატურულ აჭარას.“



* * *

აღტაცებით ვეგებები „ლიტერატურული აჭარის“ გამოსვლას.

ამგვარი ჟურნალი აჭარაში დიდი ხნის ოცნება იყო, მაგრამ აუსრულებელი.

ჟურნალს ბევრი აქვს დასათესი აჭარის საუკუნეობრივ ყამირზე, მაგრამ ღირსეული მუშაკებიც ჰყავს აჭარაში მცხოვრებ ქართველ მწერალთა სახით.

ორივეს ძმურად ვუსურვებ წარმატებას და გამარჯვებას!



* * *

გულითად სალამს მივუძღვნი ახალ ქართულ ჟურნალს. ვუსურვებ, რომ მას განეგრძოს ქართული პრესის სახელოვანი ტრადიციები: იყოს პირუთვნელი, თამამი, მებრძოლი ქართველი ერის და კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის. დაე, მან მაღლა დაიჭიროს გონებრივი ლამპარი, რომლის ჩაქრობას ჩვენი სამშობლოს სამხრეთ მოსაზღვრე პროვინციებში ჩვენი მტრები ამაოდ ცდილობდნენ რამდენიმე საუკუნის მანძილზე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ჩვენი ეროვნული კულტურის აკვანი ძველთაგანვე, სამხრეთ საქართველო იყო. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო ეს ეროვნული მთლიანობა დიდი ხანია რაც დაირღვა, მაგრამ საბჭოთა წყობლების წყალობით იგი კვლავ აღსდგა და შემდგომი აღორძინების გზას დაადგა. ამ აღორძინების ერთი ბრწყინვალე მანიშნებელთაგანი არის ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ შექმნა.

გისურვებთ, ამხანაგებო, ახალსა და ახალს წარმატებებს ჩვენი მშობლიური ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

* * *

ხელოვნების ყველა მუშაკი, მთელი ქართველი ხალხი მოხარულია, რომ ბათუმში გამოსვლას იწყებს ქართული ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა.“

პირადად მე დიდად მახარებს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი ეს მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა და სულით და გულით ვუსურვებ ახალ ჟურნალს ღირსეულად განაგრძოს ჩვენი საბჭოთა პრესის მდიდარი ტრადიციები და თავისი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის დიად მშენებლობაში.

* * *

სულითა და გულით მივესალმები ახალი ქართული ჟურნალის — „ლიტერატურული აჭარის“ გამოსვლას, ვუსურვებ ყოფილიყოს ქართული ჟურნალისტიკის დიდი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, მხატვრული სიმართლით აესახოს ჩვენი ადამიანების მრავალფეროვანი ცხოვრება, ყოფილიყოს ისეთივე ლამაზი, როგორიცაა ის მომხიბლავი კუთხე, სადაც ეს ჟურნალი გამოდის, და შინაარსით ისეთივე მდიდარი, როგორც სული აქაური მშრომელი ადამიანებისა.

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ახალი ჟურნალის „ლიტერატურული აჭარის“ დაარსება დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენ რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. ეს ფაქტი მოწმობს არა მარტო კომუნისტური პარტიის მუდმივ ზრუნვას ჩვენი ლიტერატურის აყვავებისათვის, არამედ მჭევრმეტყველად ლაპარაკობს საქართველოს კულტურის ძველი კერის — აჭარის იმ დიდ კულტურულ აღორძინებაზეც, რომელსაც მან ჩვენს დროში მიაღწია.

ამიერიდან ჩვენი მზიური აჭარის ნიჭიერ მწერლებს ექნებათ საკუთარი ლიტერატურული ორგანო, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი მწერლობის ზრდასა და განვითარებას, ახალი ნიჭიერი მწერლების გამოვლინებას და დავაჟკაცებას.

„ლიტერატურული აჭარა“ უნდა გახდეს მთელი ქართული მწერლობის მებრძოლი ჟურნალი, მის ფურცლებზე სიამოვნებით დაბეჭდავს ყველა ქართველი მწერალი თავის საუკეთესო ნაწარმოებს.

ჟურნალ „დროშის“ რედაქტორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მიცხულავა

ა ჭ ა რ ა

აჭარა! შავი ზღვის მზიურო ბაღნარო,
მე ხშირად შენთან ვარ ფიქრით და ოცნებით,
ოქროსფერ ხეხილით ბრწყინავ და ნარნარობ,
შენს ბაღში მღერიან აჭარის მგოსნები.

ნობათად მიიღე ეს ლექსი მცირედი,
მერწმუნე, შიგ ტრფობა და გრძნობა დიდია,
შიგ შენი სახეა, შენი ზღვისპირეთი,
წმინდაა ზღვის გული, როდესაც მშვიდია.

დაგნათის ქართული ცის ლურჯი სართული,
მზემ სხივთა ლაშქარი ზღვას შემოაჯარა,
ხარობდეს ეგ შენი ბაღნარიც ქართული,
მზიურო აჭარა, საბჭოთა აჭარა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

ეჰ, ძვირფასო გზებო!

ეჰ, ძვირფასო გზებო,
გზებო ალვიანო!
მინდა ყველა ლურჯი სივრცე გავიარო.
გზისპირ, გრილოებში
მომღერალო ღარო,
მომაშხეფე წყარო, თუ კი დავიღალო.
შენი ერთი წვეთიც
ისე გამამაგრებს,
რომ ძარღვების ჩქეფა ვეღაროდეს ჩაქრეს.
გზებო, გზებო, რად ღირს
ზოგჯერ ხეტიალი,
როცა მეგობარი ქვეყნად მეტი არი.
როცა სიყვარული
ქვეყნად მეტი არი,
მშვენიერო გზებო, რად ღირს ხეტიალი!
მე რომ ბილიკებით
გაველ ფართო გზაზე,
მითხრეს: ეს გზა ასე გაგრძელდება ას წელს,
და მეტკინა გული,
რომ დაუდეს ზღვარი
გზას, რომელიც ჩემი გასავლელი არი.

ამ ქვეყანაზე

ამ ქვეყანაზე მეც მიმღერია,
რომ განთიადი იისფერია,
რომ სიხარული ქვეყნად ბევრია,
მაგრამ ეს მაინც არაფერია,
სიმწრის გაგება თუ ვერ შეძელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტერზე თუ ხმალი ამიღერია,
მეზობლის წყალი არ მიმღვრევია.
მიყვარს სამშობლოს ქვა თუ მტვერია...
ამ ქვეყანაზე მეც მიმღერია
ლექსი მზისა და ლექსი ენძელის.

ჩემი საქები ყველა ერია...
მაგრამ ქარია თუ მეწყერია,
ქართული ზეცა ჩემი ჭერია!
ამიტომ ვამბობ: ჩემი კერია —
ჩემი აჭარა იყოს დღეგრძელი!

ბაზალეთის ტბა

მე რომ დავინახე ბაზალეთის ტბა,
ვიღაც გამახსენდა,
გული გამითბა...
დავდექი ტბასთან
და ფირუზ წყალს
ვუმზირე დიდხანს,
მისგან არ წაველ.
ტბა მივამგვანე მიჯნურის თვალს,
ლერწმები ირგვლივ —
იმის წამწამებს.
მაგრამ...
ოცნება სიხარბეს გავს,
და სიყვარულის სიმღერას თუ ვწერ,
ამ ტბას დავარქმევ
ახელილ თვალს,
რომლითაც ქართლი
სამყაროს უმზერს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარმენ ღორია

მამისეული ფეხსაცმელი

— ესეც ასე, — თქვა ახალგაზრდა ვაჟმა, რომელიც აგერ რამდენიმე საათია მაგიდასთან წიგნს კითხულობდა და წანაკითხიდან ადგილებს სქელ რვეულში იწერდა. — მგონია დავძლიე. — დაუმატა მან. წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ გაიხედა.

ღამდებოდა. დღის სინათლე ელნათურების ოქროსფერი შუქით იცვლებოდა. მუდამ ხმაურიან ქუჩებში მოძრაობა შენელებულიყო. სიცივისაგან მობუზული მოქალაქენი ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდნენ ბინებისაკენ.

ახალგაზრდა კარგახანს იდგა ღია ფანჯარასთან, ხარბად სუნთქავდა ახალდამდგარი ზამთრის სუსხიანსა და ჯანსაღ ჰაერს და მკერდგაშლილი ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე უკეთ განათებულ უბანს გადაცქეროდა. მაგრამ როცა სუსხმა იმატა და უეცრად ამოვარდნილი ქარი ოთახში ყაჩაღივით შემოიჭრა, ყმაწვილი უნებლიეთ შეკრთა, ფანჯარა დახურა, მობრუნდა, ელნათური ჩართო და იქვე, კედელთან მიდგმულ, უბრალოდ ალაგებულ ტახტზე წამოწვა. ცოტა ხანს დაყო ასე. შემდეგ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, წამოხტა, მაგიდის უჯრიდან წერილი ამოიღო, გაშალა და კითხვა დაიწყო. ბარათი დედისაგან იყო. რამდენჯერმე წაეკითხა უკვე, მაგრამ ასეთი მარტოობის დროს მუდამ მას მიმართავდა ხოლმე. მისთვის მუდამ სასურველი და საამო იყო ამ წერილის გადაკითხვა. დედის ხელნაწერით იგი მშობლის კეთილ სახეს ხედავდა, მისი ხმა ესმოდა, მის ალერსსა და სიახლოვეს გრძნობდა.

ეს პირველი ბარათი იყო, რომელიც სტუდენტობის პერიოდში ექვსი წერილის პასუხად მიეღო და, ალბათ, ამიტომ უფრო საყვარელი და სასურველი. შვილის გაგზავნილ ექვსივე წერილზე იძლეოდა დედა მოფიქრებულსა და მშობლიური სიყვარულით აღსავსე პასუხს.

„შვილო არსენ, — ასე იწყებოდა წერილი. — მადლობელი ვარ, რომ ხშირად მწერ წერილებს და შენს ამბავს მატყობინებ. თუ მე დროზე და ყველაზე ცალცალკე ვერ გიპასუხე, ნუ გეწყინება. ხომ იცი, ხელმარტო ადამიანის მდგომარეობა. ჩემს ჯანმრთელობას კითხულობ, კარგად ვარ, შვილო. შენი ძმებიც კარგად არიან. თქვენი კარგად ყოფნა და მომავლის იმედი მასულდგმულებს და ძალ-ღონით მავსებს. ბავშვები კარგად სწავლობენ, ზე-

დიზედ ფრიადები მიიღეს. თუ შენც იყოჩაღებ და კარგად ისწავლი, მთლად ბედნიერი ვიქნები. ოქტომბრის დღესასწაულზე შენს ამხანაგებთან ერთად მეც მოგელოდი და რომ ვერ ჩამოდი, გული დამწყდა, მაგრამ არ მწყენია. მე ხომ ვიცი ჩამოუსვლელობის მიზეზი. არა უშავს, სხვა დროს მოვესწრებით ერთმანეთის ნახვასა და მოსიყვარულებას. ბედნიერი ხარ, რომ უმაღლესში მოეწყვე. წარჩინებითაც სწავლობ, იმოდენა სტიპენდიაც გქონია, რომ თავს ინახავ. ეს დიდი დახმარება და ბედნიერებაა, შვილო, ჩვენთვის.“

ამ სიტყვებს მზრუნველის ალერსიანი დარიგებაც ახლდა და გამამხნევებელი იმედიც. ბოლოს მიწერილი ჰქონდა მოკითხვები ნაცნობ-მეგობრებისაგან და უამრავი კოცნა.

ამ წერილის წაკითხვა მუდამ ნაღვლიანს ხდიდა არსენს, თავისი ოჯახის სურათს უშლიდა თვალწინ, ზოგჯერ ცრემლებსაც ჰგვრიდა, მაგრამ ამ ნაღველსა და ცრემლებს ერთგვარი კმაყოფილებაც მოყვებოდა ხოლმე. მართალია, ზოგჯერ ნათელი და გაბრწყინებული სახე დაუმწუხრდებოდა, გული დაეწვებოდა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებით. იგი სრულიად არ ამცირებდა მის შემოქმედებით უნარსა და ენერგიას. პირიქით, უფრო ბეჯითი და მონდომებული ხდებოდა. დედის ნაღვლიანი, მაგრამ ამავე დროს იმედიანი სიტყვებით წაქეზებული უფრო ადვილად ახერხებდა საკმაოდ ძნელი საგნების მომზადებასა და ათვისებას.

არსენი დედისა და ორი უმცროსი ძმის ამარა იყო. როცა სამამულო ომის ფრონტიდან მამის გმირულად დაღუპვის ამბავი მოვიდა, იგი მეშვიდე კლასში სწავლობდა, ძმები კიდევ უფრო პატარები იყვნენ და დედის კალთას ვერ სცილდებოდნენ.

ნათქვამია, ცალი ხარი უღელს ვერ გასწევსო, მაგრამ არსენის დედამ — ელენემ იკისრა ამ შეუძლებელი საქმის გაკეთება. ნაძალადევად შეიშრო ცრემლი, ოხვრა-გოდება შვილების თვალ-ყურს გადაუმალა, იმედიანი და მხნე სახე მიიღო, სამსახურში მოეწყო და მთავრობისა და გულკეთილი ადამიანების დახმარებითა და ხელის შეწყობით ოჯახის მოვლასა და შვილების აღზრდას შეუდგა.

შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მართალია, ოჯახს დიდი არაფერი შეუძენია, მაგრამ სამი პატარა ვაჟი წამოიზარდა, ფეხზე დადგა და მოღონიერდა. ეს ყველაზე ძვირფასი განძი იყო ელენესა და მისი ოჯახისათვის.

არსენმა დაამთავრა საშუალო სკოლა. მართალია, მედალი არ მიუღია, მაგრამ უმაღლესში მისაღები გამოცდები წარჩინებით ჩააბარა და პირველი თვიდანვე სტიპენდია დაენიშნა.

ასრულდა ელენეს ეს პირველი ნატვრა.

— როგორმე უნდა ეპატრონო, შვილო, თავს, — უთხრა მან გაცილებისას შვილს. — მე აქ ყველაფერს მივიკლებ და შენ მოგაწვდი, მაგრამ...

რაღაც კიდევ უნდა ეთქვა, მაგრამ არსენმა შეაწყვეტინა.

— არა, დედაჩემო, მე შენ არას გთხოვ, გარდა იმისა, რომ ჯანმრთელობას გაუფრთხილდე და ამათ მიხედო, — უმცროს ძმებზე ანიშნა. — ჩემთვის ყველაზე დიდი დახმარება და იმედი ეს იქნება, — ამ სიტყვებით იგი დედას გამოეთხოვა.

ეს იყო რამდენიმე თვის წინათ, მაშინ, როცა ბათუმის სადგურში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მატარებელი მხიარულად აჟრიამულებული სტუდენტებით ივსებოდა.

მას შემდეგ არ უნახავს არსენს დედა და უმცროსი ძმები, მაგრამ მასზე ფიქრი არ მოშორებია. ახლაც, როცა დედის წერილს მეოცეჯერ მაინც კითხულობს, თვალწინ მისი ოჯახის ის მწუხრი დღეები ეშლება, რომლებიც მამის დაკარგვის შემდეგ გამოიარა. მართალია, ამ ხნის განმავლობაში მას საზრდო არ მიჰკლებია, რიგიანად ეცვა, ტოლმეგობართაგანაც არ გამოთიშულა, მაგრამ დედის სახეზე აღბეჭდილი მწუხარება და მოპარული ოხვრა-ნაღველი მგრძნობიარე ახალგაზრდის გულს ასევდიანებდა. რამდენჯერ შესწრებია იგი დედას ცრემლებად დაღვრილს, რამდენჯერ უნახავს ქმრის ნაქონ ტანსაცმელთან ჩამჯდარი და მოტირალი. მართალია, ელენე ამას ჩუმად, ქურდულად, შვილებისაგან მოფარებულად აკეთებდა, მაგრამ ყოველთვის როდი ხერხდებოდა მოზღვავებული სევდის დაფარვა.

ნახატი ნ. ოსკანოვისა.

ერთხელ არსენი სწორედ იმ დროს წაადგა დედას თავს, როცა იგი ქმრის ახალ ფეხსაცმლებს გულში იკრავდა, ქვითინებდა და კოცნიდა. ეს იყო ყველაზე ძლიერი და გულის დამწველი სურათი, რომელიც არსენს თავის სიცოცხლეში უნახავს. ის იმავე წამს შეუმჩნევლად მოშორდა იქაურობას და დედა თავის ნაღველთან მარტო დატოვა, მაგრამ იმ სურათისაგან გულში აღბეჭდილი სიმწვავე ვერ მოიცილა, ვერსად დატოვა და, ფიქრობს, ვერც შეძლებს ამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრებითა და მოგონებებით დატვირთულ ჭაბუკს, ალბათ, დაძლევდა მწარე ნაღველი, მაგრამ არ მიჰყვა მას. სწრაფად წამოხტა, დედის თავის ადგილას შეინახა, ნაღველი სძლია და საქმეს მოჰკიდა ხელი. დააუთოვა შარვალი, პიჯაკს შეწყვეტილი ღილი დააკერა, წინდები ამოიღო და შემდეგ ფეხსაცმლებს მიხედა. ეს უკანასკნელი ვერ ამხნევებდა მის პატრონს. მეტად ცუდ დღეში იყო განსაკუთრებით ცალი ფეხსაცმელი. არსენის გამოცდილება და მის განკარგულებაში არსებული იარაღი და მასალა საქმეს ვერ უშველიდა, მაგრამ ჭაბუკს თავის გადაწყვეტილებაზე ხელი არ აუღია. ასე იყო თუ ისე, ფეხსაცმელი შეაკეთა, აქა-იქ დამჩნეული თეთრი ძაფი გააშავა, შემდეგ მთლიანად ვაქსით გაწმინდა და ტახტის ქვეშ შეაწყო.

— არა უშავს, — იმედიანად თქვა მან, — სტიპენდიის მიღებამდე როგორმე მივიტან, შემდეგ კი ახალთახალს შევიძენ, — სტუდენტი სავსებით იმედიანი და კმაყოფილი იყო.

არსენი დასაწოლად ემზადებოდა, კარი რომ გაიღო და ოთახში ჩანთებითა და კალათებით დატვირთული ახალგაზრდა შემოვიდა.

— ოო, მადლობა ღმერთს, გეღირსა მოსვლა, — მიეგება მოსულს არსენი. — სადა ხარ,ბიჭო, ამდენხანს? ხომ მშვიდობაა? — ზურგზე მოკიდებული ჩანთა მოხსნა და კალათი ჩამოართვა.

—რასაკვირველია, — მოკლედ მიუგო ახალმოსულმა. — მშვიდობა რომ არ იყოს, ასე ჯორკიდულით ვინ გამომიშვებდა. უჰ, გავწყდი წელში. ვისაც კი სტუდენტი ჰყავს ამ ქალაქში, ყველამ თითო მოკრული გამომატანა. წამიღე, ნენა, დამავალე, სადგურზე დაგხვდება, მასთან ბინაზე მისვლა არ მოგიწევსო. არ შეგჭამოს ჭირმა, სადგურში კაკალი კაცი არ დამხვედრია. ძლივძლივობით მოვათრიე. აჰა, ეს კალათი გამომართვი, დეიდა ელენემ რაღაცები გამოგიგზავნა.

— დედამ? — მოუფიქრებლად ჰკითხა არსენმა.

— არა, ბიჭო, ბებიაშენის ძროხის მოზიარემ. აბა რომელი დეიდა ელენე გამოგიგზავნიდა ასეთ ძღვენს?

არსენს თავისი შეკითხვის უსაფუძვლობაზე გაეღიმა.

— როგორ არიან? — გამოასწორა შეცდომა მან.

— ძალიან კარგად, — მიუგო ამხანაგმა. — დეიდა ელენემ რომ გაიგო, მე და შენ ერთ ბინაში ვცხოვრობთ, სიხარულით ცას ეწია... საინტერესო ლექციები გქონდათ? კი არ მინდოდა გამეცდინა, მაგრამ ცოტათი უქეიფოდ ვიყავი... თუმცა, სულო ცოდვილო, მარტო ეს არ ყოფილა დაგვიანების მიზეზი.

— ქალიშვილებთან სეირნობაში გაერთობოდი, — არსენმა კალათს თავზე შემოკრული საფარი მოხსნა და შიგ ჩაწყობილის ამოლაგებას შეუდგა. ამოიღო ბრგვალად მოხარშული დედალი, რამდენიმე ხაჭაპური, ყველი, ერთი ბოთლი ტყემალი, ცოტაოდენი ხილი და, ბოლოს, ქაღალდში შეხვეული და ზონარშემოჭერილი რაღაც ნივთი.

„ეს რაღა უნდა იყოს!“ — გაიფიქრა მან და შეხვეული ნივთი გახსნა.

— ფეხსაცმლები! — უნებლიეთ შესძახა მან და ხელები გაუშეშდა.

— ჰო, — დაუდასტურა ახალმოსულმა. — მე ვუთხარი დეიდა ელენეს, არსენს ფეხსაცმლები გაუცვდა-მეთქი და გამოგიგზავნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მხეცო, გადარეულო! — აენთო არსენი. — ვინ გთხოვა? ვინ დაგიბარა? ღმერთო ჩემო, ეს რა ჩაგიდენია, რა გაგიკეთებია! — და არსენს თვალებში ცეცხლი მოაწვა.

— რა იყო?! რა მოხდა, ბიჭო, ასეთი?! — გაკვირვებით შეაჩერდა თვალებში ამხანაგი.—მე კარგი საქმე გაგიკეთე მგონია და შენ... ბიჭო, ხომ გახსოვს, ფეხსაცმლის უქონლობის გამო ციალას დღეობაზე რომ ვერ წამოდი? მაშინ შენს მაგივრად ისე დამწყდა გული, რომ, დედას ვფიცავ, ფული რომ მქონოდა, გავიქცეოდი და გიყიდდი. ჩემი არ მოგერგებოდა, თორემ არ დავიშურებდი. მე დავრჩებოდი და შენ გაგიშვებდი... მერე, შენ რომ არ მოხვედი, როგორ ეწყინა საბრალო გოგოს!

— ჯანდაბას მისი თავი! — უფრო აუწია ხმას არსენმა. — შენი თავიც ჯანდაბას! სულელო, ბრიყვო...

ახალმოსულმა მხრები აიჩეჩა.

— გაგიჟებულა ეს კაცი! ბიჭო, შენ ჭკუაზე ხარ, თუ აფრენ ცოტას? რომ ბომდექი ოა მაგინებ, ერთი მითხარი, რა დაგიშავე?! ამდენი ტვირთის თრევით წელი მომწყდა და ახლა, თუ ყველამ ასე მლანძღა და მაგინა, კარგი ამბავია! საკვირველია, მე და ჩემმა ღმერთმა, კაცს ოჯახის ამბავი გავაგებინე, ფეხსაცმლები მოვუტანე ...

— მერე, იცი ვისია ეს ფეხსაცმლები?—შეაწყვეტინა სიტყვა არსენმა.

— აბა ეს რა ვიცი, — უპასუხა ამხანაგმა. — დედაშენმა გამომატანა. მოპარული რომ არ იქნება, ცხადია.

— მოპარული! მოპარული! მოპარული კი არა, ეს ერთადერთი ნივთია, რომელიც საბრალო დედაჩემს ქმრის სამახსოვროდ ჰქონდა შემონახული! გესმის შენ თუ არა? ესენი მამაჩემის ფეხსაცმლებია! — და არსენს ორივე ხელები მოკვეთილივით ჩამოუვარდა.

— მამაშენის? — თითქოს სინანულით წარმოთქვა ახალგაზრდამ. — აბა ეს საიდან მეცოდინებოდა! — და ამხანაგის ნაღვლიან სახეს რომ შეხედა, შეებრალა. — არსენ, მოდი, შევურიგდეთ ამ ამბავს. აქ ცუდი არაფერია. დეიდა ელენეს ქმრის სამახსოვროდ მისი ფეხსაცმლები შემოუნახავს. ალბათ, მას ბევრჯერ ამოუღია ისინი და ცრემლებით დაუსველებია. უთუოდ დიდხანს ვერც მოიშლიდა ამას. მოდი, ბოლო მოვუღოთ მისი ცრემლების ღვრას, გადავაჩეროთ...

— რას ამბობ, ბიჭო? — შეუტია არსენმა. — მისთვის ძვირფასი და საყვარელი ადამიანის მოგონება და სიყვარული...

— შვილებზე გადმოიტანოს, — არ დაამთავრებინა სიტყვა ამხანაგმა. — განა შენ და შენი ძმები ურიგო ძეგლი და სახსოვარი ხართ მამათქვენის სახელის უკვდავსაყოფად?!

არსენი ჩაფიქრდა...

— შენ მართალი ხარ, — ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ თქვა მან. — მაპატიე. დაი მატაროს მამისეულმა ფეხსაცმლებმა მამისეული გმირობისა და გამარჯვების გზით! — დაუმატა მან და ამხანაგს გადაეხვია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7600

ნესტორ მაღაზონია

ჩემი სოფელი მამათი

მანქანამ გადაიქროლა
ლაშისღელე და შუხუთი,
სოფლები მირბი-მორბიან
კრიმანჭულით და უპუთი.

ნისლის ფთილები მოსდევენ
დიდმოხვეულს და სასირეს,
შარაზე ჩამოიმუხლეს
და მთებზე გადმომაცილეს.

ხევ-ხევ და მწვანე სერებზე
ბაღში დაცურდა აცანა,
ბორცვმა ბორცვები შეცვალა,
მოხედვაც აღარ მაცალა.

სოფელი ხელში ჩამადნა
კლდის და ჩანჩქერის კამათში
და ისარივით
შარაგზა
ჯიქურ შეიჭრა მამათში.

მამათი! ჩემი სოფელი,
წინათ ცნობილი ციებით,
დღეს — ელექტრონით, ფაბრიკით
და ჩაის პლანტაციებით.

აქ ქოხი იდგა, ახლა კი
სკოლა დგას მთაზე მაღალი.
აქ ფაცხა იდგა, ახლა კი
ოდა დგას ქვის და ახალი.

აქ გვიმრა იყო, ახლა კი
ირგვლივ ნარინჯი შრიალებს.
აქ ხრამი იყო, ახლა კი
მანქანა მიმაჰრიალებს...

დაბოლოს,
გზა უტიეო,
კრუხმა ჭუკს ჩაუნისკარტა,
და ფეხშიშველი ბავშვობა
მოლზე შემომხვდა ჭიშკართან.

მე და მერცხალი

გაფრინდი, შავო მერცხალო.

ხალხური.

სდუმს ჩემი სახლი, თითქოს შემწყრალი,
კიბესთან წყდება ბილიკი მრუდე.
დღეს აქ მოვედით მე და მერცხალი,
მოვინახულეთ მშობლების ბუდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერცხალს, მოფრენილს შორი ქვეყნიდან,
არ შეხვედრიან გულფრთაგაშლილი,
და არც ჩემს მშობელს დაუკვეხნია,
რომ ქალაქიდან ესტუმრა შვილი.

უკვე ოჯახებს არ ჰყავთ მოთავე:
მე აქ დავკარგე,
მან — ცხრა მთას იქით!
და მე ვიგრძენი,
რომ ჩვენ ორივემ
ერთი ტკივილით დავძარით ფიქრი...

მერე ნაღველი შვებამ შეცვალა,
მზით და ღიმილით აივსო ეზო.
მიწა დავკოცნეთ მე და მერცხალმა
ჩვენი ბავშვობის საჯსპარეზო.

სად გოგმანოგ

ვისი მზე ხარ, ვისი მთვარე,
ვის უბეში გძინავს ღამე?

ხალხური.

იმ კორტოხზე სხვა სახლია,
სხვა ჭიშკარი, ბაღი, ბაღჩა,
მაგრამ სახლთან რომ ცაცხვია,
როგორც იყო, ისე დარჩა:

ქვეშ ნოხივით კოინდარი,
ჩრდილი, სიო, წაბლის ძელი...
მხოლოდ ერთი არსად არი —
არ ჩანს გოგო — მასპინძელი.

— სად გოგმანობ, ჩემო გოგოვ?
ხომ არ დასდევ ისევ პეპლებს?
მე მოვხუცდი...
მერე როგორ
გავჭაღარდი — დავიფერფლე!

მაგრამ მახსოვს თვალთა სხივი,
ჟოლოსფერი კაბა, ჟღალი,
და კვლავ გულში ცეცხლი ღვივის,
როგორც ფერფლში ნაკვერჩხალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან გოთუა

კუდალა ზაქი

...როცა მაჩუჩა ბიჭს უთხრეს, დღესაც სოფლის ნახირი უნდა მწყემსოო, არ შეშინებია მას. თუმცა საბაბი კი ჰქონდა. სოფლის მენახირე სოსია, გასულ კვირას ჯოგის ნასხლეტთან ერთად მოიტაცეს ლეკებმა. მაჩუჩა ბიჭმა თავად ნახა, როგორ ვიშ-ვიშით და თმების წეწვით შეეგება სოსიას დედა — საბედო, ხელცარიელად მობრუნებულ მდევრებს.

მისი კვილი სოფლის კიდეს წვდებოდა.

უბედური დედა სოფელში აღარ გამოჰყოლია ხალხს. სოსიას მომდევნო წვრილ-შვილიც დაითხოვა... დადინჯებული გლოვისათვის სად ეცალა ქვრივ-ოხერს, დამფრთხალ-დაფანტულ ნახირს მიაშურა.

თავისი ძროხის ძებნას შეუდგა.

გვიან საღამოს პირს მობრუნდა სოფელში — ძროხა ეპოვნა.

სოფლის წყაროსთან რომ ჩამოიარა, მაჩუჩამ და მისმა ტოლმა გოგო-ბიჭებმა უმალ შეამჩნიეს — საბედოს კაბა უკვე გადაებრუნებინა, „პირ-უკუღმა“ ეცვა!* ისედაც ხეულ-ნაკერი კაბის უკუპირი სულ კონკებად გამოსჩანდა.

...შიშის საბაბი კი ჰქონდა მაჩუჩას, მაგრამ იგი ჯერ თორმეტი წლისა არ იყო... ხოლო როგორც ოქრო-პაპა იტყოდა, ახრიანი შიში თორმეტი წლიდან იწყებოდა.

გარდა ამისა, გრემში ბაზრობაზე ყოფნამ და განსაკუთრებით სოფლის თოფის ყიდვამ ბალღური სიამაყით აავსო ბიჭი, თითქოს შიშიც დაუკარგა.

მაჩუჩას გაეხარდა კიდევაც „სოფლის დავალება“, მწყემსობისას გულს იჯერებდა სტვირზე დაკვრით.

მას საოცრად უყვარდა სტვირი და სალამური. გვარში გამოჰყოლოდა ნიჭი. ხოლო ამ ლეკიანობის დროს სოფელში აღარავის ესტვირებოდა. გადავარდა ლხინი და ტაშ-ფანდურა. ჭირში გულჩათხრობილი იყო სოფელი. მამაკაცები სულ იარაღში ისხდნენ. სოფლის თავში და გზა-ყელებში რიგ-რიგად დარაჯობდნენ ლეკ-თარეშს. ქალებს ჭაპანწყვეტა ჰქონდათ, საბოსტნეებში ბორიალობდნენ. სოფელში წვრილფეხობა და მოხუცები გასახიზნად მოვარაუღებულ ბარხანას დარაჯობდნენ.

დღედღეზე დიდ თარეშს ელოდნენ.

---

* ტყვედწაყვანილის ჭირისუფალი პირუკუღმა ატარებდა კაბას თავისიანის გამოსყიდვამდე.

ასე ფრთაშეშლილად შრომობდა და ცხოვრობდა სოფელი.

...ჰო და მაჩუჩას არც ყანა ჰქონდა მოსავლელი, არც ქონება ეძახდნენ ქოხისა და სალამურის ანაბარა იყო. ალბათ, ამიტომ სოფელში მეტსახელად ქოხ-სალამურას ეძახდნენ.

ამ ხანად ნახირს ყველაზე უშიშარ ადგილას, ალაზნის მოსაბრუნებში აბალახებდნენ. არც შორს იყო სოფლიდან და არც მოსალოდნელი იყო აქეთ მხრიდან მტრის გამოჩენა.

— ბიჭო! მაინცდამაინც, თვალი გეჭიროს გალმა მხარეზე. ეშმაკმა იცის! აბა, იცოდე საომარი საგუშაგოა! — დაყვავებით არიგებდა მას ოქრო-პაპა... — არ შეშინდე კია! მეველეც ახლო იქნება... თოფი აქვს... თუ გაწყრა ღმერთი, ხმა მოგვეცი! სტვირ-სალამურს კარგად უკრავ, ამ საყვირსაც ამოაღებინებ ენას, — და განცვიფრებულ ქოხ-სალამურას სოფლის ღოროტოტო გაუწოდა.

— ღოროტოტოი? შევძლებ მაშ არა?! — გახარებული მიეტანა. ორივე ხელით სწვდა სპილენძის ვეება საყვირს. დახარბებული ტუჩები მიუბჯინა დილამზის სხივზე მოლაპლაპე ლითონს.

— ბიჭო! ტყუილ-უბრალოდ არ დააძახებინო! შიშიანობაა! სოფელი არ აშალო! — ოქრო-პაპამ ღოროტოტო ძირგავარდნილ გუდაში აღმა-ყირად გაუყარა და ზურგზე მოჰკიდა.

— აბა მშვიდობით იარე, მიწაზე არ ათრიო საყვირი — სოფლის ქონებაა! — ბიჭი დადინჯებულად უსმენდა სოფლის უხუცესს. ხუმრობა ხომ არაა, ოქრო-პაპა როგორც თანატოლს ისე ესაუბრებოდა მას.

წელშიც კი გაიმართა ობლობით დაჩაგრული, ჯუჯად დარჩენილი ბიჭი. ძალზე მოზიდულ წელ-ხერხემალზე საყვირის ლითონის წონა-სიმკვრივეს გრძნობდა და ჯერ უცნობი, განუცდელი სიამაყის ტკბილ-ღიტინი ეუფლებოდა. აკი მთელი სოფლის „ხმა და ქონება“ ზურგზე ეკიდა მას!

ამ წარჩინების გარდა, ამჟამად ყველაფერი დაავიწყდა: ლეკიანობა, ნახირი, ოქრო-პაპა, თავისი გაუხარებელი ობლობა.

ახლა იგი ყბად აღებული ქოხ-სალამურა კი არ იყო, არამედ სოფლის ღოროტოტოს მფლობელი...

— არიქა!! წაგვივიდა ნახირი! — უეცრად წაუბიძგა ოქრო-პაპამ და გაფხორილი მოზარდი ისევ „ბალღობაში“ მოაბრუნა.

მართლაც, ნახირი უკვე გასცილებოდა სოფელს.

მაჩუჩამ ბერიკაცის მოწოდებული კუტი პური ჩაიგორა უბეში და ქუდმოშვლეპილი დაიტაცა ნახირისაკენ.

უკან წკავწკავა ყეფით აედევნა გიშერა.

— თუ დაინახო ლეკები.. ბიჭო... არ შეშინდე... ხმა მოგვეცი, იქ გაჩნდება მთელი სოფელი!.. ნახირია..!

მეტი არაფერი გაუგონია მენახირეს. ჯერ ძროხები შემოაბრუნა, ალაზნისაკენ გაირეკა. მერმე სოფლის განაპირას ლაფში ჩაწოლილ კამეჩებს მიუბრუნდა...

ზეწამოლალა, გზას გაუყენა, ენაძარღვიანი შეძახილით უვლიდა ხან თავს, ხან ბოლოს.

უკვე კარგა შორს იყო სოფლიდან, როცა შეამჩნია ნინიკაანთ ფურკამეჩს ზაქი გამოჰყოლოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაჰხე ამ კუდალასა!? — სოფელს გაჰხედა, შემობრუნდა... გვიან იყო... გუნებაში გაეხარდა კიდევაც.

მას ძალიან უყვარდა ზაქები. ნინიკაანთ ზაქი კი მართლაც მოსალხენი სანახავი იყო.... გათქვირებული და შავ-ნაცარა, მიამიტი თვალ-ბურთული, წინ გადმოჩაჩრული ყურებით.

განსაკუთრებით კი ეს ზაქი სოფლის ბიჭებს შორის ცნობილი იყო მგლის მოკბეული კუდით. მოკლე-ღა შერჩენოდა და მუდამ თხასავით უქიცინებდა.

— ჰო და, რა ჩემი ბრალია?! გამოგწოვს მა რა იქნება?! — „გაესაუბრა“ ფურ-კამეჩს ბიჭი და ზაქს ხელი მოჰხვია.

გაქირით გაუსხლტდა ზაქი და ოკრო-ბოკროდ აედევნა ფურს.

...ვიდრე ნახირი ფერდობს ჩაიბალახებდა, მაჩუჩამ თასმაზე გამობმული სალამური მოიმარჯვა. ცქაფად აათამაშა მოქნილი თითები და „შოშიას კილო“ გამოაღებინა.

მემრე მარტოობა იგრძნო. შაირები მოსთვალა ხმამაღლა... ბევრი იცოდა. თავის თავს ეშაირებოდა კარგა ხანს. თან გაღმა მხარს უმზერდა... არა, კი არ ეშინოდა... ფრთხილობდა! აკი დიდი მოვალეობა დააკისრეს... როგორა თქვა ოქრო-პაპამ, „ნახირიო!! „საომარი საგუშაგოო“! „სოფელი უბრალოდ არ აშალოო!“ მაშა მას, მაჩუჩა ბიჭს, შეუძლია ერთი ჩაბერვით მთელი სოფლის აშლა!

— ყარამანი ვყოფილვარ! სოფლის ბედ-იღბალი მაბარია!—ხმამაღლა ფიქრობდა იგი. — უჰ, შენ კი გაჰქრი! კუდალა ზაქს დამიხედეთ, რეებს ჩადის?— და ჭაბუკის ბურძგლა ქოჩრის ქვეშ ოქრო-პაპას მიერ დალაგებულ ფიქრებს ზაქის მოკვნეტილი კუდი ისევ კვიმატად ურევდა.

ყანის პირებს რომ ჩაუარა, ახლა „მწყერის კილო“ მოაყოლა სალამურზე, ხოლო მაყვლიანში „ხოხბის კილოზე“ უნაცვლა... საერთოდ მის წარმოდგენაში ყოველ ფუძეს თავისი ანგელოსი ჰყავდა და ყოველ ადგილს თავისი კილო ჰქონდა... ჰო და... კილოს ოსტატიც ხომ იგი იყო... ძისად ჰგრძნობდა ბურთსა და მოედანს.

ეს „გაღმამხრული“ ავმოლოდინი ოდნავ უშლიდა სულ ერთიანად გალაღებას..

...არა სრულიადაც არ ეშინოდა... „ჰო და რათაო?! აგერ არა აქვს „საყვირი ღოროტოტო!!“

...სალამურიან ხელს უკან იბრუნებდა, გუდას მიუკაკუნებდა „კიდევ ერთხელ“ დასარწმუნებლად... ისე დააქუხებს რომა!! „დიდოეთში დაწიოკდეს დიდ-პატარა!!“...

რამდენჯერ შეხვეწნია კაკა-მეველეს, თითო ჩაბერვაზე თითო კონა ფიჩხიც კი მოუტანა... მემრე კი ტოლ-ბიჭებში, კოჭაობის დროს, ჩაუტრაბახნია: — ჰაი დედასა! აგეთი ხმა გამოვაღებინე... გომბორზე აიშალა ჭილყვავი, მაშა-მაშა! — ჩაბოხებული ხმით ჩაუდასტურებდა განცვიფრებულ ბავშვებს... და იმ წუთს თავადაც სჯეროდა... „აიშლებოდა მა რა იქნებოდა?!“

...ჰო და, ალაზნის პირას რომ ჩავიდა ნახირი, კოდმის ჩეროში მიჯდა მაჩუჩა და გუდა გადმოიღო... მოზომა საყვირი... ბევრი ეფერა, ბევრი ელოლიავა, დაეტოლა კიდევაც.

„შვიდი სალამურის სიგრძე ყოფილა! ღოროტოტომ მაჯობა სიმაღლეში... მაგრამ სისქეში მე ვჭარბობ!!“ — თავი ინუგეშა ბიჭმა.

განსაკუთრებით გაეხარდა, როცა თავისი მრუდედ გაბადრულ-ულ შენიშნა სპილენძის კრიალა პირზე... თითქოს ღინღლის ნიშანი ჩნია თავის საულვაშეს. ბოლოს ტუჩიც მოუზმანა სანუკვარი სტვირის სატუჩეს.

— არა, ერთი რომ ჩაიბეროს რა იქნება, ჰა? — მესამეჯერ ეკითხებოდა თავის თავსა და უმალვე ცივ უარს ეუბნებოდა.

— არა! როგორ იქნება!! სოფელი აიშლება!! ომის ამბავია! — და ბრაზმორეული უმატებდა:—აბა, ტყუილ-უბრალოდ როგორ შეიძლება? — თან ქვეშ-ქვეშ ალაზანგაღმა იხედებოდა...

— ხომ არ მოდიან წყეულები?? — ამ წუთს იქნებ უნდოდა კიდევაც მაჩუჩა ბიჭს „იმ წყეულების“ გამოჩენა...

გაღმა კი სრული სიჩუმე სუფევდა... უღრანი ჭალა შორიახლო მოსდგომოდა ნაპირს... უფრო ახლოს კი რიყეშეპარული ჩალიანი მწყობრად არხევდა ყვიცგაკრულ კენწეროებს.

...ვინ იცის რამდენხანს გაგრძელდებოდა, ან რით დასრულდებოდა მაჩუჩას თავჭიდილი... ცდუნებისაგან ისევ კამეჩებმა იხსნეს... ჯოგად შეტოპეს ალაზანში. შეატბორეს მდინარე. მათი ნაცარ-შავფერა ზურგები ვეებერთელა ლოდებივით ამოიტვიფრნენ ალაზნის დაგლუვებულ სარკეზე.

შეძლებული სოფელი იყო ქედი... საქონელიც ჯიშიანი მოსდგამდა... განსაკუთრებით კამეჩებით იყო ცნობილი... ჰოდა, ორასიოდ კამეჩი უფრო მრავლად გამოჩნდა მდინარეში შესული. მუშა საქონელიც აქ იყო, გუთნეულებიც ვერ ჩაებათ შიშიანობის გამო...

— გაღმა არ გავიდნენ! — შეშინდა მენახირე, ვუდა-საყვირი ისევ ზურგზე მოიგდო და „ხიო-ხიოს“ ძახილით წყალს მიაშურა. კამეჩებმა ნაპირის ბექობს წყალ-წყალ ამოუარეს და ჩრდილდაკრულ ტბორში ჩაწვნენ.

მოჩვენებებივით შთაინთქნენ მდინარეში... მხოლოდ მოძრავი ყურები და მოშიშვლებული რქები უცნაურ ხერგებად გამოსჩანდნენ წყლის ზედაპირზე...

მაჩუჩაც დაწყნარდა. გამობრუნდა, ბექობის თავზე გარინდებულ ფურკამეჩს მიაშურა... უფრო მის ზაქს, რომელიც მოკვნეტილი კუდის ქიცხით და ჯიქანში ჩაკვდომით სწოვდა.

— აკი ვიძახდი? — ჩაიქნია ხელი მწყემსმა, — ჰო და, გაამოს!.. ალალი ფურის ძუძუში მაინც გაიხარე უკუდომ! — ახლა ძაღლს მიუბრუნდა, რომელიც აბეზარ კოღოებსა და რწყილებს ეღრინებოდა.

— გიშერა!—კუტი პური გასტეხა და შენაცრული ქერქი ძაღლს მიუგდო, თავად პანტის ძირში მიჯდა და წაიხემსა.

...გაღმა მხრიდან საამო სიო მოჰქროდა, შუბლზე ჩამოშლილ ხუჭუჭს ოდნავ ულოლიავებდა და ადრედაობლებულს სადღაც ბალღური მეხსიერების კუნჭულში შეჭდეულ დედის ალერსს აგონებდა, გულმინაბულ სიამესა ჰგვრიდა. აი, ასე მიჰხუჭავდა თვალებს და დედის კალთაში ჩარგავდა თავს. არა, რა თქმა უნდა, არ დაიძინებს!! ისე, თვალს მოიტყუებს მხოლოდ, ობლის ფიქრს გადააყოლებს გულის ხმას... მაგრამ ვგონებ... თვალმა მოატყუა... ასევე გუდამოკიდებული და მიმჯდარი ნება-ნება გაინაბა და მშვიდი ფშვინვა ამოუშვა.

...რამდენხანს ეძინა არ იცის. ვერც მოისაზრა, რამ გააღვიძა. გიშერა ისევ ღრინებოდა და მოუსვენრად ტოკავდა. დიდკაცურად შეწყრა მაჩუჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—გადი ძაღლო! რა ფეხებში მებორკები? ეცი ტურას!

ვიშერამ ხმადაბალი ყეფით მიაშურა ნაპირს. ავად ენიშნა ბაჩიკაშვილ-ღლის ნახტომი... ზეწამოიჭრა და გაჰხედა მდინარეს... გაღმა ჩალიან რიყეზე ათიოდე ცხენოსანი შენიშნა. მდინარისაკენ ეშურებოდნენ.

— ცხენებიო?! — გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო.

— ჩვენებია! სად ყოფილან?! — გული დაიმშვიდა, მაგრამ ვერც თუ დაირწმუნა, ხოლო როცა ჩალიანიდან ჯარად გამოიჭრნენ ახალ-ახალი წოწოლა ბუხრისქუდებიანი ცხენოსნები, უმალ მიხვდა.

...მიხვდა და შეშინდა... შეშინდა და დაიბნა... ენა სასას აეკრა, გაშტერებული თვალებით გაღმა ჩალიანს მიებორკა.

— ლეკები! ლეკები! ლეკები! — უაზროდ, სხაპასხუპით ჩიფჩიფებდა... მაგრამ როგორ უნდა მოქცეულიყო, რა უნდა ეღონა... ყველაფერი გაუვარდა ზარდაცემულ თავიდან. როგორც ფიქრის ნაგერალა, აწვალებდა გაურკვეველი სურვილი — რაღაც უნდა მოემოქმედა... დიდი... სავაჟკაცო, მაგრამ თავს სრულიად ვეღარ გრძნობდა ჭაბუკი... იქნებ ლეკებმა მოსჭრეს უკვე?!

„მოსჭრესო“ წვივებში და ლაჯებში დაურბინა სუსხმა... ფეხები თავად გაიქცნენ და თანდათან ისე ანაზდად, თითქოს სრულიად მოწყვეტას ლამობდნენ აბნეული სხეულიდან. ზაქივით ოკრო-ბოკროდ მოუვიდა ნახტომი, მაგრამ თასმაზე გამობმული სალამური ასთრეოდა, ფეხი დაებიჯა მარცხად... წელი მოუზიდა თასმამ, ასე ეგონა, ლეკებმა სტაცეს ხელი.

„ხელიო?!“ და ელდა-ნაკრავი ყირაზე გადავიდა ერთბაშად.

... ახლა თავში მოხვდა რაღაც... მაგარი... შემდეგ კოპსაც უჩვენებდა მეზობლებს... კოპმა იხსნა, გონზე მოიყვანა.

— ღოროტოტო!! — სიტყვაც ვერ დაამთავრა, უეცრივ მოუწყდა შიშიც და ყოვლად შემძლე იარაღი მოიპოვა. გუდა წამოიგდო, ამოვარდნაზე მომდგარი გულით სოფლის საყვირს დაეწაფა... კი არ ჩაჰბერა — მთელი სული და ძალა შიგ ჩაატანა... „ლომის კილოზე“ გამოუვიდა ყღერა.

საოცარი მზარავი ხმა გამოიღო სპილენძმა. უეცრივ ყველაფერი გამოიცვალა. კარგად არ ახსოვს მენახირეს — რა მოხდა შემდგომ... ყველაფერი აირია: ხმა საყვირისა, ძაღლის წკავ-წკავი, საქონლის ზმუილი... იქვე მიყუჩებული ზაქი დამფრთხალი წამოვარდა და კოდმიდან პირდაპირ მდინარეში გაიღო ზღართანი, მას ფურ-კამეჩი მიჰყვა ბღავილით... მდინარეში ჩაწოლილ ჯოგს დაასკდა თავზე.

საშინელი ღელვა შეიქნა ალაზანზე.

წამოიშალა დაფეთებული ჯოგი, თითქოს ალაზანი ადგა ყალყზე და გაღმა მხრისაკენ გაგორდა ზვირთებად.

მეწინავე ლეკებს მდინარემდე მოეღწიათ. ზვერავდნენ... შემოსულიყვნენ წყალში. ჯერ ტალღამ აურიათ გეზი... მერე კამეჩების სრბოლამ.

თოფის ხმითა და ძახილით სცადეს მათი გაბრუნება, მაგრამ ამან სულ არია დამფრთხალი ჯოგი... კამეჩები მიასკდნენ ლეკ ცხენოსნებს, უნებურად გადათელეს და რიყეშეჭრილ ჩალიანში შეცვივდნენ... თვალს მიეფარნენ.

ახლა იქ შეიქნა ორომტრიალი. ატყდა მედგარი სროლა, უზომო ხმაური, დგანდგარი და ფიჩხთა მტვრევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაიმე ნახირიი! მიშველეთ!! — გაჰკიოდა შიგადაშიგ მაჩუჩა და უმოწყალოდ უბერავდა ღოროტოტოს.

სოფელში უკვე ზარს არისხებდნენ. საგუშაგო კოშკის თავზე სანიშნო ბოლი ავარდა.

ბანიდან ბანზე გადადიოდა ყიჟინი. კაცი ქუდზე მოჰქროდა სოფელი.

...ჰარაქათგაცლილმა მაჩუჩამ ბოლოს მოისაზრა, რომ დროა თავს უშველოს. უტია ღოროტოტოს და კოდმეზე შევარდა... ერთიც შედგა... თვალები აცეცა... ენდოს კია თვალებს?!

გაღმა ჩალებში, თითო-ოროლა კამეჩის გარდა, არც რაი ჩანდა. ლეკები ავ ზმანებასავით გამქრალიყვნენ, მხოლოდ ჭალიანის სიღრმეში კიდევ ისმოდა ფხაშერეული სროლა და უკუმავალი თქერის ხმა.

...ჩალიანში დატრიალებული გაუგებარი ბრძოლა ჯერაც არ იყო გარკვეული ლეკთათვის.

ვერც მაჩუჩამ გაართვა თავი მომხდარ ამბავს. მაგრამ ლეკების უკუქცევა აშკარა იყო. იგი გახევებული უმზერდა კალაპოტში მომდგარ ალაზანს, ულეკო გაღმა მხარეს და ისევ წეღანდელივით, სხაპასხუპით ჩიფჩიფებდა: — გაიქცნენ! გაიქცნენ! გაიქცნენ!

ერთბაშად ისეთი შვება იგრძნო, რომ მუხლებში მოუსავდა, გული ამოეკვნა და სიცილ-ქვითინი ამოუშვა.

ეს იყო მისი უკანასკნელი ბალღური ცრემლები.

ბარდიდან გამომქვრალმა გიშერამ ცრემლ-ოფლიანი ლოყა აულოკა და თამაშა ყეფით თავქვე გადაეშვა... ზედაც ზაქის საწყალობელი ხმა მოესმა მენახირეს. გული იყუჩა, ნაშალ ბექობზე გადაწვა და ახლო ძირს ჩაიხედა. მდინარის ნაპირა ლაფში ჩაჩეხილ-ჩაფლულიყო ზაქი, კუდაბზეკილად გაფარჩხული ბღაოდა და ტოკავდა.

კოდმეს შემოურბინა მენახირემ და ზაქთან წავიდა. სწორედ ამ დროს, გაღმიდან, მდინარეში ბღავილ-ბღავილით ფურ-კამეჩი შემოიჭრა... მას უკან სხვა კამეჩებიც მოჰყვნენ.

ნახირი უკან ბრუნდებოდა.

— ჰაი დედასა! მა რა ეგონათ! მაშა! სოფლის ღოროტოტო! — დაჰკრა ყიჟინა გათამამებულმა მაჩუჩამ და წყალში შეტოპა... ზაქს მიაშურა, ჯუჯა კუდში სტაცა ხელი, ტლაპოდან დასძრა... ახლა ყურებში მოუნაცვლა მარჯვენა-მარცხენა და ძლივს ამოათრია მშრალზე.....

...და როცა იარაღასხმული სოფლელები მოსწვდნენ ალაზანს... მათ წინ გადარჩენილი ნახირი შემოეყარათ.

ნახირის ბოლოში ნინიკაანთ ფურ-კამეჩზე ნებიერად გადამჯდარი მენახირე „კამეჩების ლაშქარს“ ბალღურ-მედიდურად მოჰყვებოდა... ზურგს უკან სოფლის ღოროტოტო მოეგდო, ხოლო თავად სალამურზე „გვრიტის კილოს“ უკრავდა.

სულ უკან კი ზანტად მოლასლასებდა ლაფში ერთიანად ამოგვანგლული კუდალა ზაქი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა გვარიშვილი

პირველ აპრილს დაიბადე

იამ გზები შეგიმკო,
პაწაწინავ, ქორფავ!
გზად შემოგხვდა გვირილა,
მოგახურა ქოლგა.

ენძს ტკბილი ჭიკჭიკი
გადმოგიგდო ჩიტმა,
ყვავილ-ყვავილ შეგცინა
ნამის მარგალიტმა.

ჭრელი კაბით აპრილმა
დაგილოცა გზები.
გაგიფინა მზის სხივმა
შუქთა მიმოზები.

თეთრ პერანგზე გეხატა
ჭრელი პეპლის ფრთები.
ბაბუს ბანზე დაფრინდი
შაშვი მგალობელი.

შენებრ კარგი ბიჭუნა
არ გვენახა თითქო.
ბაგი-ბუგი გესმოდა?
მამის გული იყო.

1957 წ.

განა სულ ასე ვიქნებით

განა სულ ასე ვიქნებით,
განა არ შევივერცხლებით?
განა სულ იჭიკჭიკებენ
გულში გულთეთრა მერცხლები?

სადაც არ უნდა წავიდეთ,
სადაც არ უნდა ვიაროთ,
უნდა გულები გავიყოთ,
სიკეთე გავიზიაროთ.

განა ამ კორდზე სულ ავალთ
ოცნებით, ყელმოღერებით.
წავალთ და დავიფარებით
ჩვენი ზურმუხტა ველებით.

ვიყავით? არა ვიყავით...
ყვავილებრ მოსაფერები.
ჩვენზეც ჩინარი იხარებს,
ცაში აწვდილი ხელებით.

განა სულ ასე ვიქნებით,
განა არ შევივერცხლებით?
განა სულ იჭიკჭიკებენ
გულში გულთეთრა მერცხლები?

1957 წ.

ეძინებათ ხვამლის ნისლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძინებათ ხვამლის ნისლებს,
ეძინებათ ველი-ველად.
იყუჩეო, ცელქო ქარო,
ყვავილების სასურველავ!

რუში მთვარემ გაიარა,
ტირიფს თმები გაუბრწყინა.
ნეტავ, მთვარე საით მიდის
ან ვარსკვლავი პაწაწინა?

შავი ღამე კორდზე დაჯდა
და სიბნელეს გზავნის ველად.
ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩუ, ჩურჩულებენ
ჩინარი და თეთრი თელა.

შენც იყუჩე, ლურჯო ქარო,
ყვავილების სასურველავ,
ეძინებათ ხვამლის ნისლებს,
ეძინებათ ველი-ველად.

1957 წ. დერჩი.

თ ო ნ ე

თონე უცებ წამოწითლდა —
დასტრიალებს ცქრიალაო.
— ამ გოგოზე ხომ არ თქმულა:
„თონე ააბრიალაო.“

ამ ლამაზზე ხომ არ თქმულა:
„მაკოცნინე თოლებზეო.“
ეს ლოყები მე მაჩუქე,
დაგეწვება თონეზეო.

1957 წ. დერჩი.

ხ ა შ ხ ა შ ი

ეზოში მოვიდა მინდვრების გოგონა,
შემკული ვარდისფერ კაბაში.
მზემ ლამაზ ლოყებზე ღიმილი მოკონა,
ნიავმა დაუწყო თამაში.

მე სადღაც მინახავს ეს ცელქი კოპწია,
ვიცანი თვალების კაშკაშით.
მოვიდა და სათუთ მეგობრად მეწვია,
პატარა ყვავილი ხაშხაში.

1956 წ. დერჩი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ILIA RURUA

წიქარა

მხედარმა ცხენი ჭიშკართან მიაგდო და მოუთმენლად უზანგზე წამოიწია.

— მაინძელო-ო-ო!

ქორულმა მზერამ ელვასავით შემოურბინა ხშირი, მაღალი ტრიფოლიატით შემოკავებულ ფართო ეზოს.

ოდისა და სამზადის კარები გამოკეტილი იყო.

არავინ გამოხმაურებია.

— ეს ბებერი მაინც სად წავიდა! — ჩაილაპარაკა მხედარმა უკმაყოფილოდ და ისევ დაძახება დააპირა, როცა სამზადის უკანა მხრიდან თეთრწვერა მოხუცი გამოვიდა. მან ხელი შუბლზე მიიჩრდილა, მაგრამ მხედარი ვერ იცნო:

— რომელი ხართ მანდ?

— ერმილე ვარ, ერმილე! — უპასუხა მხედარმა როყიო ხმით და ხელახლა უზანგზე წამოიწია.

მოხუცმა ბარი მშვიდად სამზადის კედელზე მიაყუდა, ვერცხლისენიანი ძველებური ვიწრო ქამარი უფრო მაგრად შემოიჭირა, ხალათის ღილები შეიბნია და ჭიშკრისაკენ აუჩქარებლად წამოვიდა.

— ერმილეს გაუმარჯოს! — მიესალმა მოხუცი მხედარს, როცა ჭიშკართან მივიდა. — რაშია საქმე, ჩემო ერმილე?

— თუ მომვლელი ხართ და პატრონი, მოუარეთ ამ სამგლეს, — კუშტად მიახალა ერმილემ პასუხად, — თუ არა და, სადაც წამოვეწევი, თავს გავუჩეხავ. ასე ვიზამ ამას! — დაკეცილი მათრახი ზევით აიქნია და შემდეგ თხრილისაკენ გაიშვირა.

მოხუცმა მხოლოდ ახლა შენიშნა წითელი ხარი, თხრილში რომ მშვიდად იცხნებოდა.

— მართლა მეველესავით ნუ ირჯები, შე კაცო, — ხმას შეუმაღლა მოხუცებულმაც. — ჯერ ცხენიდან ჩამოდი, სალამზე მიპასუხე და საქმეზე მერე მელაპარაკე. ნამეტანს ნუ გამიყადრებთ თავს ახალგაზრდები. ჩემი ხნის, მგონი, ქვაც არ გდია ჭალაში.

ცხენიდან ჯერ აღვირი გადმოცურდა, შემდეგ ამ აღვირის ღვედივით მოშბალი ერმილე.

— თქვენმა ხარმა სალამიც დამავიწყა და ზრდილობაც, მაგრამ ბოდიშს მაინც ვიტყვი, დავით ბატონო... მართალი ვარ და ვიტყვი... — ერმილეს ხმა ისევ გაფიცდა. — თუ კიდევ დავლახდე ყახაში ან ალახტაციაში, ცოცხალს არ გავუშვებ, იცოდეთ... მერე არ გეწყინოთ... თქვენც ხედავთ, თხოვნა არ გამდის და ხვეწნა... ვასოს ცალკე ვუთხარი, შენს რძალს ცალკე, მაგრამ გინდ მე მითქვამს და გინდ ძაღლს უყეფია... არ ვარგა ასე, არა, დავით ბატონო, თუ არა მე რა!

— შენც მართალი ხარ, შვილო! — მოხუცმა წვერებზე ჩამოისვა ხელი და თავი ჩაჰკიდა.

— რაც იყო, იყო!... ბარე შვიდი წელია ასე დაშლიგინობს, — განაგრძობდა მეველე. — რაც მაგან ზარალი გვანახა, იმით ბარე ერთ ტრაქტორს გამოიწერდა კაცი... გამოუსადეგარი და მუდრეგი რა ვარგა, რომ ხარი ვარგოდეს.

ერმილე ცხენს აღვირში წვდა და გზისკენ შებრუნდა.

— მაინც, თქვე ოჯახამენებულებო, რა გაგიხდათ ეს ხარი... ომი ბარე ხუთი წელია გათავდა... რათ ვერ გაიგეთ?

— ასე ნუ იტყვი, ერმილე! — მოხუცს ხმა აუთრთოლდა. — როგორ ვერ გავიგეთ?.. შენ, ჩემი ოჯახის ამშენებელი, ჩემი ამირანი მაჩვენე ცოცხალი და ეს, — ხელი ეზო-კარისაკენ გაიშვირა, — ეს ჩემი ნაკვდავ-ნაშრომი თუნდაც წყალს წაუღია... ცოდო ვარ, ბიჭო, ცოდო!.. იმ ბიჭის სახელზე ამ ხარმა მაინც იაროს დალოცვილ ქვეყანაზე... მერე ან მგლის კერძი გახდება, ან თავისი დაემართება.

— იაროს, ბატონო, ვინ ოხერი!.. მარა არც ასე ვარგა.. ნამეტანი აგვიკლო... მიწაზე არ ეტევა. ღობე ვერ უძლებს და მესერი... არ ვიცი, რაც გინდათ, ის მოუხერხეთ. — კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ, მოხუცის ნაღვლიან მზერას რომ წააწყდა, სიბრალულმა სიტყვა ჩაუწყვიტა. ცხენს მოახტა და მათრახი მთელი ძალით გადაუჭირა.

პატრონის მოულოდნელი გაგულისებით და მათრახის სიმწვავით გადარეული ცხენი ყალყზე წამოიმართა, წინა ფეხები ჰაერში შეისროლა და შურდულივით გავარდა. უკანა ფლოქვებით მოჩეჩქვილი ქვის ნამსხვრევები საფანტივით გაიბნა ირგვლივ.

დავითმა თვალი გააყოლა და, როცა მტვრის კორიანტელში გახვეული ცხენი და მხედარი თვალს მოეფარა, ისევ თავი ჩაჰკიდა.

კარგა ხანს იდგა ასე, საკუთარ ფიქრებთან განმარტოებული. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა ხელზე ხარის ხაოიანი ენის სისველე იგრძნო.

მობრუნდა, ხარს ნიკორა შუბლზე მიუალერსა.

პირუტყვმა დიდი, ბრიალა თვალები პატრონს მიაპყრო, სქელი, ღონიერი კისერი წაიგრძელა და გაინაბა.

დავითმა ახლა ქედზე გადაუსვა ხელი, შემდეგ ზურგზე. ხარის ხასხასა, თებოიანი ბალანი ხავერდივით სრიალებდა.

— ჩემი წიქარა... ჩემი კარგი წიქარა... — ჩურჩულებდა მოხუცი და ხარიც, თითქოს მადლობას უხდისო, ზმუილით ეხმიანებოდა.

ყველა გლეხკაცს უყვარს თავისი ხარი, ყველაზე ერთგული და გამგონე თანაშემწე მიწასთან ჭიდილში, მაგრამ წიქარას არც უღელში დაუმტკიცებია თავისი ერთგულება, არც თვინიერებით გამოუჩენია თავი. წიქარას გრძელ ელვარე რქებს ბაწრის კვალიც არ აჩნდა. ლაღად იზრდებოდა წიქარა. ამიტომაც იყო, რომ შვიდი წლის ხარის თვალები წინანდებური ცეცხლით ელავდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელ დღესავით ახსოვს დავითს ის დილა. წიქარა რომ დაიბადა. ახსოვს იმიტომ, რომ ერთადერთი შვილიშვილიც იმ დღეს წავიდა ჯარში.

როგორ ევლებოდა თავზე ამირანი პატარა, წითელ ბოჩოლას, თითქოს სხვა უფრო დიდი საზრუნავი არ ჰქონოდა ჯარში მიმავალს...

სახელიც თვითონ დაარქვა.

„დავბრუნდები. ხარი დამხვდება. გუთანში შევაბამ, საკენახეს გადავაბრუნებ, — თქვა მაშინ ამირანმა.

—არა!.. ლაღად გავუშვებ. როცა დაბრუნდები, წამოვაქცევ და შენს ქორწილზე დავკლავ, — ვუთხარი მე“.

მოხუცს ოხვრა აღმოხდა მკერდიდან.

სურვილი ვერც ერთმა შეისრულა, ვერც მეორემ.

ამირანი აღარ დაბრუნებულა ომიდან.

დავითი მაინც ელოდა შვილიშვილს.

ვასილი და დესიც ელოდნენ ერთადერთ შვილს.

ამ ლოდინში ბოჩოლა შეუდარებელი ბუღა-ხარი გახდა.

ნახირს ყოველთვის ის მიუძღოდა წინ. ყველა გზას უთმობდა. არც ერთი მეტოქის წინაშე არ მოუხრია ქედი. ან დამარცხებული გაიცლებოდნენ. ან მორჩილად თავჩაქინდრულნი. უღელში შებმაც არავის უკადრებია წიქარასათვის. გახურებული ხვნა-თესვის თუ რთველის დროსაც, როცა კოლმეურნეობის მანქანები და ხარ-კამეჩები ძლივს წვდებოდა სამუშაოს, არავის უთქვამს საყვედური დეიისერთას ოჯახისათვის იმის გამო, რომ წიქარა ასე თავისუფლად დადიოდა. მთელმა სოფელმა იცოდა, რისთვის ჰყავდათ მიჩენილი წიქარა და აბა ვინ რას აკადრებდა შინმოუსვლელის ჭირისუფალთ.

მაგრამ დავითი, მთელი მისი ოჯახი გრძნობდა, რომ წიქარა ბევრ ვინმეს აწუხებდა. როცა ვალაღებული ხარი სულ თავს გავიდა, აქა-იქ მორიდებული სამდურავიც გაისმა.

— მართალი იყო, ცამდე მართალი იყო ერმილე, — დუდუნებდა მოხუცი თავისთვის და თან ხარს ეალერსებოდა. — მართლაც რა ტყვილად ცდები, ჩემო წიქარავ!.. ნუთუ ასე უსარგებლოდ უნდა დაბერდე?.. მეც დავბერდი, მაგრამ რაღაცას მაინც ვტოვებ... ნაოფლარს მაინც ვტოვებ... სოფელში კარგი ხარის სახელიც რჩება... გუშინ არ იყო, ერემი ტალახში რომ ჩავვეფლო?.. როცა ხარებს ძალიან გაუჭირდათ, ჩემი ბებერი ღვინე მოიგონეს... შენ ის არ გახსოვს. კვარაცხელიების ჯოგიდან იყო... რამდენი ხანია მოკვდა, მაგრამ აქამდე ახსოვთ... შენ კი ვინ მოგიგონებს... რატომ ზმუი ასე?... განა მართალს არ ვამბობ? თუ მაინცა და მაინც, ოხერი, მუდრეგი იყოო, იტყვიან შენზე.

დავითმა რატომღაც დამნაშავედ იგრძნო თავი უენო პირუტყვის წინაშე.

— ჩემო წიქარავ... ამირანის წიქარავ!— მოწოლილმა ცრემლმა თვალები დაუნისლა და, მღელვარება რომ დაეოკებინა, ქუთუთოები მძიმედ ააფახულა.

ყურში ბავშვების ჟრიამული ჩაესმა.

— პაპას სიცოცხლე!

— დავით ბაბუა, გამარჯობათ!— იძახდნენ ჭიშკრიდან კარგა მოშორებით შეჯგუფებული ბავშვები.

— იცოცხლეთ, შვილებო, იცოცხლეთ! — გადახედა მოხუცმა ბავშვებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ეშმაკური ღიმილით დაუმატა: — თქვენ რა, წიქარამ ხომ არ შეგაშინათ, მანდ რომ გაჩერებულხართ?

— არა, მე სულაც არ მეშინია! — გამოეყო ჯგუფს მაღალი ბიჭი, რომელსაც თვალებზე მფრინავის ძველი ქუდი ჩამოფხატოდა.

მან რამდენიმე ნაბიჯი ნაძალადევი გაბედულებით გადმოდგა.

— ჩვენი ყანიდან გუშინწინ მე თვითონ გადმოვდენე... სულაც არ შემშინებია.

— ტყუილია, ტყუილს ამბობს!.. წიქარა მე გადმოვდენე...

— ნუ ხარ ტრაბახა, მიშიკო, — გაწითლდა მაღალი.—შენ კი არა, მე გადმოვდენე.

— აბა დაიფიცე! — არ შეეპუა ბუთხუზა.

— დაიფიცე, დაიფიცე! — აზღრიალდნენ ბავშვები.

მაღალმა ბიჭმა ერთი ამრეზილად შეხედა მიშიკოს, შემდეგ დაცურებულ შარვალი უხალისოდ აიწია, უხერხულად დაიგრიხა და ხმადაბლა ჩაილუღლუღა:

— დედას ვფიცავარ.

— ოჰ, არა, არა! რკინას ხელი, რკინას ხელი უშვი! — ნიშნის მოგებით მივარდა მასთან ბუთხუზა და ქამრის ბალთაზე მიდებული ხელი ჩამოუწია.

დავითს გაეცინა.

— კარგით, კარგით... ისედაც ვიცი, რომ თქვენ ყოჩაღი ბიჭები ხართ. დათვი რომ დათვია, ისიც ვერ შეგაშინებთ... თქვენ ის მითხარით, ასე ერთად საით გაგიწევიათ?.. მალე დაღამდება კიდეც.

— ლეონტი ბიძიას სახლში მივდივართ. — უპასუხა მაღალმა ბიჭმა სასწრაფოდ, გახარებულმა იმით, რომ ლაპარაკის თემა შეიცვალა.— დღეს მოსკოვის „სპარტაკს“ ეთამაშებიან თბილისელები. ორივე ტაიმს უნდა მოვუსმინოთ.

— რაო, რას უნდა მოუსმინოთ? — ჩაეძია დავითი.

— ფეხბურთია, ფეხბურთი! — აყიჟინდა ყველა ერთად.

— ჰო, გასაგებია!.. მაგრამ რატომ ასე შორს მიდიხართ. რადიო განა სხვას არა აქვს? სკოლაშიც ხომ გაქვთ...

— ის რა რადიოა... მხოლოდ ბოლო თხუთმეტ წუთს გადმოსცემს, — ჩაერია ბუთხუზა. — რადიომიმღები კი სულ სხვა საქმეა...

— ჰო, აბა წადით, — უთხრა დავითმა ბავშვებს, რომლებსაც ამკარა მოუთმენლობა ეტყობოდათ. — ოღონდ ჭკუით იყავით... ვინმეს ბაღში არ გადაძვრეთ.

ბავშვებმა კვლავ განაგრძეს გზა.

დავითი ერთხანს კიდევ იდგა ჭიშკართან, შემდეგ ხარი ეზოში შეუშვა და ჭიშკარი მიხურა.

„მართლაც რატომ არ უნდა ჰქონდეს სკოლას რადიომიმღები აქამდე? — გაუელვა თავში. — რა ძნელი საქმე ეგ არის...“

ხელებზე ისევ იგრძნო ხარის ხაოიანი ენის შეხება.

დავითი მიბრუნდა და წიქარას ზურგზე გადააწვა მსუბუქად. ხარი არ განძრეულა.

—რა გიყო წიქარავ, რა!—კვლავ გაუბა საუბარი პირუტყვს.—სანამ შეიძლება ასე?..ამირანი რომ მომსვლელი იყოს, აქამდე არ მოვიდოდა?.. რატომ ზმუი?.. ასეა ხომ?!. მაშ რად ვიტყუებთ თავს, რად ვატყუილებთ სხვასაც?!.

ეჰ! — მოხუცმა ღრმად ამოიოხრა და იმ წამსვე შეკრთა. გონებაში რაღაც მწველმა აზრმა გაუელვა. თვალი დახუჭა და თავი რამდენჯერმე გააქნია, თითქოს აკვიატებული ფიქრების გაფანტვას ცდილობსო.

— სხვა გზა არ არის, — წარმოთქვა ბოლოს ჩურჩულით. — ყველანი სიკვდილის შვილები ვართ...

ლოყებზე უნებურად ჩამოგორებული ორი მსხვილი კურცხალი სახელოთი მოიწმინდა და მეზობლის ალაგეს მიადგა.

წიქარა მორჩილად მიჰყვებოდა.

— კესა, ო, კესა!

— ბატონო! — გაისმა პასუხად და იმავ წუთს სამზადის კარებთან გამოჩნდა შავებში ჩაცმული შუახნის ქალი.

— რაჟდენი ხომ არ დაბრუნებულა ყანიდან?

— კი, ბატონო!

— ერთი გამოიხედოს, მამა-შვილობას... საქმე მაქვს.

მალე ალაგეს მეორე მხრიდან მოადგა სახელოებაკაპიწებული შავტუხა ბრგე ვაჟკაცი.

* * *

როცა გამოეღვიძა, მკერდი მღელვარედ აუდ-ჩამოუდიოდა, გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. ხმა, რომელმაც ძილში ასე შეაკრთო, არ განმეორებულა. თითქოს ურმის ჭრიალიც გაიგონა, მაგრამ, არა!

ღამის სიბნელეში ნელი, თანაბარი შრიალი ისმოდა მხოლოდ.

„წვიმს“,—დავითი მიწვა, მაგრამ ჩასთვლიმა თუ არა, კვლავ შეაკრთო იმ ხმამ, ხმამ კი არა, ნაცნობმა ზმუილმა.

— წიქარა, ჩემო წიქარა! — წაიჩურჩულა სიხარულით და ლოგინზე წამოჯდა. მაგრამ ბურანიდან გამორკვეულმა, გულდაწყვეტით დაუმატა. — სადღა არის წიქარა, აღარ არის წიქარა...

დავითს ძილი დაეკარგა. მთელი უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, რაც ამ სკოლას დარაჯობს, ასეთი მშფოთვარე ღამე არ ჰქონია. დარაჯად კი იმისთვის დაიგა, მუდამ ბავშვებთან ყოფილიყო, იმ კედლებში იცხოვრა, სადაც ერთადერთი შვილიშვილი სწავლობდა ოდესღაც. მაგრამ ადამიანურ დარდს, თურმე, ვერსად დაემალები. აქ ყველაფერი ამირანს აგონებდა, ყოველ კუთხეში, ყოველ ნივთთან მისი ლანდი იშმუშნებოდა.

და აი ახლა, ამ ღამით, ძილში წიქარას ზმუილიც ჩაწვდა საიდანღაც სიბერით დაგუბებულ ყურებში.

„ცხადია, სიზმარი იყო... წიქარა ხომ აღარ არის, სამი წელია აღარ არის!.. მაგრამ ზმუილი რომ ნამდვილად გავიგონე?!. სწორედ ასე ზმუოდა, რაჟდენმა რომ გადაიყვანა ეზოდან... ხომ ნამდვილად დაკლა აწი?!. ცხადია!.. აბა როგორ ჩამოიტანა ქალაქიდან რადიომიმღები სკოლისათვის, ფორმის ტანსაცმელი ომში დაკარგული ამროსიეს ბავშვებისათვის... იქნებ არც დაუკლავს წიქარა?.. აბა რატომ ვერ მისწორებდა თვალებს, ანგარიშს რომ მაბარებდა?.. იქნებ მართალი იყო ფილიმონი, შენი წიქარა ჯოლევში ვნახე, ბაზრობაზეო... ა?.. იქნებ მართლა ჩაიარა ალიონზე ურემმა და შიგ ჩემი წიქარა ება?!.“

დავითმა ფანჯარაში გაიხედა. განთიადის მკრთალ ნათელში უფრო და უფრო იკვეთებოდა ატმის ხასხასა ტოტი, ნიავის ყოველ მობერვაზე ფანჯარას რომ ელაციცებოდა.

წამოდგა, ტანთ ჩაიცვა და სკოლის გრძელ დერეფანში გაფრატუნდა. ალიონის სუფთა, გრილი ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა და იმავ წუთს ბევრი ენერგია აუტყდა, ბებრული ყრუ ხველა.

ბოლოს, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა და ირგვლივ მიმოიხედა. მაისის ჟუჟუნა წვიმისაგან განბანილი დილა ნებიერად იშმუშნებოდა. ლორთქო ბალახით დაფარული აფუებული მიწა ჩვილის მკერდივით ხიხინებდა, ხარბად ისრუტავდა ნაჟურს. ხის ტოტებზე ნორჩი გამჭვირვალე ფოთოლი ისე კიაფობდა, სადაცაა გადნება და დაიღვინთებაო. დავითს ისე ჰოეჩვენა, თითქოს სადღაც, მიწის გულში, ადუღებული მწვანე, სურნელოვანი ფისი მოედინებოდა ტოტებში. ჰაერში ვარდის მოტკბო სურნელება ტრიალებდა.

სასკოლო დარბაზის კარი გააღო, პატარა, მაუდგადაფარებულ მაგიდას მიუჯდა და რადიომიმღები ჩართო.

„ბალტიკა“ ნელნელა აშიშინდა. შემდეგ გაისმა ტკაცუნი და გაბმული წივილი, რომელსაც ზრიალი და ბუყბუყი მოჰყვა. თბილისის რადიოსადგურის ძებნაში სხვადასხვა უცხო სადგურს აწყდებოდა დავითი. დროდადრო სამართავის ტრიალს წყვეტდა და გაოცებული უსმენდა მჭახე, ყურისწამღებ მუსიკას. მძიმე დოლის ბგა-ბუგს მოსდევდა უცნაური საკრავების ჭყვიტინი, ვიღაცის გიჟური, თავაწყვეტილი შეყიჟინება. დავითს ისე ეჩვენებოდა, თითქოს ამ უცნაური მუსიკის ხმაზე მის წინ ძუნძულებდა და ხტოდა უცნობი ბანჯგვლიანი ცხოველი, არც კაცი, არც მაიმუნი და, რეტი რომ არ დასხმოდა, უფრო სწრაფად ატრიალებდა სამართავს.

დაუსრულებლად ენაცვლებოდა ერთმანეთს ქალისა და მამაკაცის ხმა, რომლებიც დავითისათვის გაუგებარ უცხო ენებზე ხან დინჯად, ხან აღელვებულნი რაღაცას ჰყვებოდნენ, ამტკიცებდნენ, ვიღაცას არწმუნებდნენ, ეჩხუბებოდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი ბოხი, ხრინწგარეული ხმა.

— რავა ზოსიმეს ქოფაკივით ყეფს ოჯახქორი... რამ გააჯავრა აწი ასე?

დავითს უნებურად ფანჯრისაკენ გაექცა თვალი, რადგან ერთბაშად განათდა, როგორც ეს მაისში იცის ხოლმე. ყველაფერს ღია ვარდისფერი გადასდებოდა. „ბალტიკის“ თვალიც ისე კიაფობდა, თითქოს ამდილინდელი ცის ნაჭერი ყოფილიყოს.

ხმა თანდათან დაეწმინდა რადიომიმღებს. თითქოს მძლავრი, სავსე მკერდის მშვიდ სუნთქვას გადმოსცემდა იგი.

საათი ამოიღო და დახედა.

— სადაცაა დაიწყება! — დავითი ახლა უფრო გარკვევით გრძნობდა დიდი ქალაქის გულისძგერას, ესმოდა გაღვიძებული ქუჩების სუნთქვა, ზღვის შორეული გუგუნივით გაბმული, რომელშიც დროდადრო იჭრებოდა მანქანათა სირენების გადაძახება, მატარებლების მშფოთვარე შეკივლება.

შემდეგ, თითქოს ვიღაცის უხილავი ხელი სპილენძის ფარს შეეხოო, გაისმა ზრიალი და ამ ზრიალში გამოინაკვთა პირველი რეკა კურანტებისა.

მას მოჰყვა მეორე, მესამე...

მოხუცს ეჩვენებოდა, რომ ყოველი ჩამორეკის შემდეგ ცას შუქი ემატებოდა და ხასხასა ფოთლებზე დაყრილი მზის ნამსხვრევები უფრო ღვივდებოდა.

კურანტების მეექვსე ჩამორეკას გამოება ჰანგი, თითქოს ზღვის მკერდიდან ატაცებული. იგი მიიწევდა მაღლა, სულ მაღლა, ლაღად, სიცოცხლის ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიან ხმებად ჰკინძავდა ირგვლივ დარხეულ ყველა ხმას და მსუბუქი ფოთლებით მიაქროლებდა შორს, მზისაკენ.

„ბალტიკა“ ახლა ადამიანის ენით ალაპარაკდა.

ის, რასაც ლაპარაკობდნენ, განმეორება იყო იმისა, რაც მუსიკით იგრძნო მოხუცმა. ეს იყო ამბავი მშვიდობის დილაზე, ადამიანთა კეთილ ნებაზე, ბრძოლასა და შრომაზე...

და დავითს გაახსენდა, რომ მასაც აქვს საქმე, რომ უნდა მოემზადოს იმათ შესახვედრად, რომლებიც ახლა იღვიძებენ და ჩქარა მოვლენ აქ, ხალისიანი ჟრიამულით აავსებენ ეზოს, აივანს, ოთახებს...

რადიომიმღები არ გამოურთავს.

აივანზე გამოვიდა და კიდევ ერთხელ გახედა შორს წამოზიდულ, თოვლის ჯავშნით შეჭედილ სვანეთის მთებს, მზის სხივებით მოსირმულ მიდამოს.

კიბეზე ჩავიდა და ეზოს ყველა კუნჭული დაიარა, ყოველი ხე და ბუჩქი მოინახულა. ტოტი ხომ არ გადამსხვრევია წუხელის, ნორჩი ნერგი ზედმეტად ხომ არ დაუმძიმებია წვიმის წვეთებსო...

პიონერული საყვირის ხმა შემოესმა ვარდის ბუჩქებთან მოფუსფუსეს. შეკრთა, როგორ ვერ გავიგე ბავშვების მოსვლაო. მაგრამ უმალ გაეღიმა. მიხვდა, რომ ეს „ბალტიკიდან“ ისმოდა.

დავითმა მესრებს გაღმა გადახედა, გზისკენ, სანამ თვალი მიუწვდებოდა. ვერაფერი გაარჩია, გარდა შორს მოელვარე კრამიტის სახურავებისა და ცას ბიბჯენილი ალვის ხეებისა. სამაგიეროდ სმენამდე კარგად აღწევდა მამლების გადაძახება, გაღვიძებული სოფლის ყრუ გნიასი. სადღაც დედაკაცი კაპასობდა, სადღაც საქონელი ბღაოდა და ქათმები კრიახობდნენ, გაუთავებლად ღავღავებდა ვიღაცის ძაღლი...

გზაზე ზედიზედ ჩაიქროლეს სატვირთო ავტომანქანებმა.

როცა დავითი დარბაზში შებრუნდა, „ბალტიკა.“ ჩვეულებისამებრ, ზღაპარს ჰყვებოდა ბავშვებისათვის. მოხუცს განა ზღაპრებით გააკვირვებ? თვითონ არის ზღაპრების გუდა. მაგრამ დავითმა ამჯერად სმენა დაძაბა, რადგან ძალიან ნაცნობი სახელი გაიგონა. წიქარა ახსენეს.

დიქტორის მშვიდი, ხავერდოვანი ხმა სასიამოდ ჟღერდა.

„ამირანსაც ასეთი ხმა ჰქონდა. ცოტათი უფრო რბილი. მაგრამ მისი ხმაც ასე ფოლადიანი იქნებოდა, რომ დასცლოდა,“ — მოხუცი სკამზე ჩამოჯდა. სულგანაბული უსმენდა ზღაპარს, რომელიც ათასჯერ უამბნია სხვისთვის. ახლა, როცა სხვას უსმენდა, უფრო მოეწონა ნაცნობი ზღაპარი, უფრო და უფრო იხიბლებოდა წიქარას ერთგულებით, თითქოს ხედავდა კიდევაც როგორ მიაქროლებდა ხარი თავისი ღონიერი ზურგით კარგ ბიჭს, ტლუ ბიჭს, როგორ ჩაინთქა უფსკრულში გულბოროტი მდევარი ღორთან ერთად...

წიქარა კი სამშვიდობოს გავიდა, ტრიალ მინდორზე გავიდა... კარგად მოიქცა, ბიჭი რომ ალვის ხეზე შესვა... ალვის ხე მაღალია... ბიჭს უყვარს სიმაღლე, როგორც არწივს... ბიჭს სალამურიც უყვარს... იცის წიქარამ, ჭკვიანია წიქარა... ვისაც სიმაღლე უყვარს, მოშურნეც ჰყავს მრავალი... აი, გამოჩნდა კიდეც მეცხვარე!.. ოჰ, ეს ხარბი ხელმწიფე, ეს ბოროტი დედაბერი!.. რას ერჩიან ბიჭსა... დედაბერი მაინც რამ გააბოროტა?.. სიბერემ ხომ არა...მეც ხომ ბებერი ვარ...

ახლა მოხუცი უსმენს, თუ როგორ შესთხოვს გასაჭირში ჩავარდნილი ბიჭი სალამურის მოტანას ფრინველებს. არ უკვირს, ყვავმა რომ უარი უთხრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭს.. ყორანმაც... არწივს არ ეკადრებოდა... ჩიტს პატარა გულ... მერცხალი?!. აბა, რას იტყვის კუდმაკრატელა?!.

და გაიგონა მოხუცმა მაშინ:

„გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები. დაუკრა საჭირო სალამური ვაჟმა, დაუკრა და აატირა. წიქარამ გაიგონა სალამურის ხმა და მაშინვე გაეშურა ვაჟისაკენ. გააფთრებული ეცა რქებით ცხრაკლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი გასატეხი ჰქონდა და მოსტყდა ერთი რქა. დაღონდა წიქარა...“

მოხუციც დაღონდა:

„ჰაი, დედასა, რა დროს უმტყუნა... თორემ ვნახავდი დამსხვრეულს იმ ცხრაკლიტულს, ვაჟსაც დახსნილს... თაგვმა კი ახლა რა უნდა უშველოს?! ცხადია, გულში ცუდი რამ უდევს, ლეშზე ლაპარაკობს... შენი კისრის ჭირიმე, შენი, წიქარავ!.. ბიჭი ხომ დაიხსენ... ახლა მისი ჯერია, აწი ის დაგიხსნის, არ გაახარებს თაგვს შენს ლეშზედა!..“

ხავერდოვანი ხმა კი განაგრძობს:

„...არის ვაჟი ალვის ხეზე. უკრავს სალხინო სალამურს და ერთობა. ბოლოს მოაგონდება წიქარა, მოუნდება მისი ნახვა, დაუკრავს საჭირო სალამურს, მაგრამ არსად არის წიქარა. ელის ვაჟი წიქარას, მაგრამ არსად არის წიქარა. დაღონდა ვაჟი. ჩამოვიდა ძირს. დაუკრა საჭირო სალამური, დაუკრა და აატირა მთელი ქვეყანა. იმისი ცოდვით ბალახნი ტიროდნენ; პეპლებიც ალარ ფრინავდნენ და ცრემლებსა ღვრიდნენ. უკრავდა სალამურს და შავი ყორანი კი ნალეშარი საითღაც მიეშურებოდა. წავიდა ვაჟი, ეძება წიქარა... მაგრამ არსად არის წიქარა...“

— არსად არის წიქარა! — გაიმეორა მოხუცმაც და ხავერდოვანი ხმა შეწყდა. კი არ შეწყდა, მოხუცმა ინება ასე, რომ არ ყოფილიყო დასასრული, ცუდი დასასრული.

თანაც მაისის დილა იყო ისეთი კარგი...

თანაც ირგვლივ მერცხლები დაჰქროდნენ და ჭიკჭიკებდნენ...

დავითი ისევ აივანზე გამოვიდა.

გზაზე მობღაოდა ნახირი.

წინ მოუძღოდა ხარი, ისიც წითელი.

მოხუცს გაუხარდა რატომღაც.

„იქნებ მასაც წიქარა ჰქვია... მაგრამ არა. ვერ იქმს წიქარობასა: რქები დაღრეკილი აქვს და სუსტი, შუბლი უმირონო.“

ნახირი კი მობღაოდა შარაგზაზე, ზოზინით მოდიოდა, დაფანტულად მოდიოდა.

„აგრე როგორ იქნება? — შეშფოთდა მოხუცი. — სად არის მენახირე?.. ჰო, აგერ მოდის!“

გამოჩნდა თვალმერცხალა ბიჭი, ქამარში წიგნგაჩრილი... წითელ მოზვერს მოჰყვებოდა გვერდით. მოზვერი ძალიან ჰგავდა წიქარას. იქნებ მისი ნაშიერიც იყო.

ბიჭი ხომ იყო და იყო!

„ჰო, ეს კარგი მენახირე იქნება... ჯერ აცალეთ, წინ წავიდეს!.. მაშინ ნახეთ, როგორ გაუძღვეს ნახირს... გამჭრიახი, ფოლადიანი ბიჭი ჩანს... ზედ ეტყობა, შუბლზე ეტყობა, თვალებზე ეტყობა!“

და მოხუცი იღიმება, კმაყოფილი იღიმება.

ცაში კი დანავარდობენ და ჭიკჭიკობენ დაუდეგარი მერცხლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა როყვა

მას დავადარე

მას დავადარე აპრილის თქეში
და ვარდისფერი დილა ცინცხალი,
მას დავადარე ამ ქვეყნის ეშხი
და ჩანჩქერების ბორგვა მღვიძარი.

მას დავადარე იმედიანი,
ტურფა მაისი გულს ჩასახული,
ხმელეთზე, ზღვაზე გააქვს გრიალი,
ცაზე გრუხუნებს, ვით გაზაფხული.

დაუცხრომელი ქუხს და ანათებს,
უსწრებს ელვას და ფრთამალ თოლიებს.
ჭაბუკურ გზნებით გულებს აანთებს
და მოხუცებსაც აიყოლიებს.

განა ვინ იყო, საზარ ომის წელს
მომხდურს რომ თავზე დაჰყიქინებდა,
ვინ იყვნენ, ფრთები რომ გამოისხეს
ჩაპაევებად, კორჩაგინებად.

განა ვინ იყვნენ მოსკოვის კართან,
რომ ჩააღამეს ურდო მომდგარი,
განა ვინ იყვნენ, რომ სტალინგრადთან
შეატრიალეს ომის ბორბალი!

ახალგაზრდობა! — რომ უძლევს ძლევდეს,
ქარი ქროდეს და სიო ეგონოს.
ახალგაზრდობა — რომ შიშველ ველზე
ბაღნარი ბაღნარს გადაეკონოს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მას დავადარე ამ ქვეყნის ეშხი,
ბაღში ვარდების გაშლა კონებად,
მას დავადარე სიმღერა, ლექსი,
ღელვა, ქუხილი და შთაგონება.

* * *

მე მიყვარს, როცა ზღვაზე ქარია
და ტალღა ტალღას გაეტყორცნება,
ასეთ ამინდში მე მიხარია
და მიყვარს შენზე ჩუმი ოცნება.

მე შენზე ვფიქრობ ტალღის ხმაურთან,
როცა გუგუნი სუნთქვას ახშირებს,
რა კავშირი აქვს ზღვას სიყვარულთან,
არ ვიცი, შენთან რით მაკავშირებს.

მე ვგრძნობ სიმშვიდეს ტალღის დგრიალში,
სტიქია ხდება ჩემი ძმობილი,
მე ამ ჭექაში რაღაც დიადი,
რაღაც ზვიადი მაქვს შეცნობილი.

და მიყვარს როცა ზღვაზე ქარია,
ყალყზე დგებიან თეთრი რაშები.
ასეთ ამინდში მე მიხარია
და ზღვას ბალღივით ვეთამაშები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან გელაძე

რაღაც კვალი

გზაზე მივალ თუ ცალფეხა ბილიკს მივსდევ,
ყველგან მხვდება დარჩენილი რაღაც კვალი,
ზოგგან ბახჩა, ხეივანი თვალწინ მიდევს,
ზოგგან მოსჩქეფს,
მოჩუხჩუხებს არხში წყალი.

ერთგან ვინმეს მოუთოკავს ნიაღვარი,
იქვე მღერის თავანკარა ცივი წყარო,
ვიღაც გამვლელს დაუგია თლილი ღარი,
ვიღაც გამვლელს გაუმართავს იქვე თარო.

ვიღაც გამვლელს გაუჯორკავს წიფლის სკამი,
რომ ჩამოჯდეს მგზავრი შორით მიმავალი,
რომ ჩერეში მოასვენოს მუხლი წამით
და შეავლოს უნაპირო ტევრებს თვალი.

ერთგან ყრია ნამწვავები და ნაცარი,
ვიღაც გამვლელს უთევია, ალბათ, ღამე,
იქნებ იგი ცოცხლებს შორის აღარ არი, —
რაღაცა კვალს, ყველა კაცი აჩნევს რამეს.

წუთისოფლად მეც ვიღაცა გამვლელი ვარ,
იქნებ გავქრე, არვის შეხვდეს ჩემი კვალი,
მაგრამ მჯერა გზის ბოლომდე ისე მივალ,
არ დამრჩება მოუხდელი სოფლის ვალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღვინის წყარო

რად შეარქვეს ამ მიდამოს ღვინის წყარო,
მეასეჯერ ჩავკითხავდი პაპას ბიჭი,
წარბს შეკრავდა, აბეზარა ბალღი ხარო,
რა გითხრაო, გახსენება როცა მიჭირს.
შემდეგ ღამით მოიხდიდა ყაბალახსა
და ფეხზე ფეხს გადადებდა
დინჯად,
მძიმედ,
ასე იყო
ჰო,
ჰო,
ასე,
კარგად მახსოვს,
აქ სახლობდა მესხი ვინმე.
დღე და ღამე ღია ჰქონდა, შვილო, კარი,
მეზობლები ეძახოდნენ სოფლის მამას,
საცეცხლურზე შანდალივით ენთო კვარი
და უყვარდა გაბმით ლხინი, სმა და ჭამა.
კარს მიადგა მგზავრი ვინმე ხერთვისელი,
და მოსთხოვა, მასპინძელო, მასვი წყალი!
გაიბადრა სოფლის მამა
გამრჯე,
ქველი,
სიხარულით გაუბრწყინდა ორთავ თვალი.
და უმალვე მიეახლა მწყურვალს სურით,
დაუსხა და კრძალვით ხელში მიაწოდა, —
და სტუმარმა ნაამებმა სამსახურით
უთხრა: ძმაო, მე კი ღვინო არ მწყუროდა.
— ამ მიწიდან მხოლოდ ღვინო მოსჩქეფს წყაროდ
(მასპინძელი გაეხუმრა სტუმარს ასე).
— ამ მიწაში ფესვუჭკნობი ვაზი ხარობს,
— ღვინის წყარო?
მაშ ეს თასი კვლავ გაავსე.
„ღვინის წყარო,“
„ღვინის წყარო...“
იმა დღიდან ადგილს ვუხმობთ, შვილო ჩემო,
ამ მიწაში მადლიანი ვაზი ხარობს,
სხვა მადლი აქვს ჩვენი წყლის და ღვინის გემოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქსენია მჟავია

დ ი ლ ა

დინჯად დგანან მთები,
მხრებზე ნისლი ადევთ;
ნამი როგორც მძივი
დაეკიდა ვარდებს.

სადღაც გალობს ჩიტი
ბუჩქში დამალული,
როგორც ჩვილის ტიტინს,
ვისმენ განაბული.

სადღაც მღერის გოგო,
სიხარულით ტოკავს,
ალბათ თვალი მისი
ამ გაზაფხულს მოჰგავს,

ალბათ ლოყა მისი
ღვივის მაისურად,
ალბათ სიყვარულით
ჯერ არ დაისრულა.

თითქოს ახლოს ვხედავ,
თითქოს გულში მიზის,
მე მის სუნთქვას ვისმენ,
მისი სულის გიზგიზს,

თითქოს მისკენ მიხმობს
მისი სარო ტანი,
მინდა ვუყიჟინო:
— არ შეჩერდე წამით!

წუთი რაა, წუთი —
ისიც არ დაკარგო,
რახან გემღერება,
არ დადუმდე, კარგო.

ამ სიმღერას ენდე,
მისი მადლი გწამდეს,
აგიყვავებს ფიქრებს,
აგისრულებს წადილს.

ჩურჩულებენ ხენი
ნეტარებით მთვრალი,
მოჩუხჩუხებს წყარო,
მოღიღინებს ქარი...

ეს სიცოცხლე მღერის
ბარშია თუ მთებში,
მოზეიმე დილა
გამარჯვების ფრთებს შლის.

და მზის ღიმილს ელის
არე ოქროსფერი,
სიხარული მღერის,
სიყვარული მღერის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი ეზო

ჰა, ჩემი ღობე მიღიმის წყნარად,
შევხარი ჭიშკარს, ვით კეთილ მოძმეს,
აი ეს ნაძვი,
აი ეს პალმა,
ჩემი უღრუბლო ბავშვობის მოწმე.

აქ დედის თბილი მხვდებოდა კალთა;
აქ ჭრელ პეპლების ვიყავ მდევნელი;
რამდენი ჩუმი ოცნება ახდა,
რამდენი დამრჩა აუხდენელი!

სადა ხართ, ჩემი სიყრმის ტოლებო,
ცისკრის ღიმილი თავს რომ გვეხურა,
მოდით თამაშში ამიყოლიეთ,
ფრთები შემასხით წინანდებურად;

მოდით, ღიმილი თქვენი მაღირსეთ,
თორემ უთქვენოდ, ვხედავ, ვღონდები,
იმ კარგ, იმ ნათელ დღეებს გაფიცებთ,
ხანდახან მაინც თუ გაგონდებით?

თუ გაგონდებათ თვალებანკარა,
მიამიტი და მღელვარე გულით
ერთი უბრალო გოგო პატარა —
გოგო ფიქრებზე შეყვარებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჩხაიძე

უძლეველი

ნავახშმევს პატარა ბექობზე, ნამეხარ ჭადართან ვიყრით თავს. ასეთ ღამეებში ძილი პირდაპირ დანაშაულია. როგორც ჩვენს კულტმუშაკს უყვარს თქმა, საკუთარი სიცოცხლის გაქურდვაა და მეტი არაფერი. ეს თითქოს ხუმრობაა, მაგრამ ამაში, ალბათ, არის ჭეშმარიტების ნატამალი.

ხევს გაღმა გორაკზე სანატორიუმია. იქიდან მუსიკის ხმები მოაქვს ნიავს. ჩვენი დასასვენებელი სახლის ახალგაზრდობა სულერთიანად მეზობლებთან გაკრეფილა ცეკვის საღამოზე. შეზლონგებზე გაწოლილნი ვტკბებით ელეგიური პოლონეზით, უხმოდ ვადევნებთ თვალს მთვარის სხივების ფოსფორისებურ ცახცახს ზღვის ზედაპირზე, ძალიან შორს მოციმციმე ხომალდის შუქურებს.

უსიტყვო შეთანხმებით შეიქმნა ჩვენი პატარა წრე. მოთხოვნილებად გადაგვექცა ძილის წინ თავის მოყრა ამ ბექობზე. სათქმელი თავისით მოდის. ვსაუბრობთ ყველაფერზე — პოლიტიკაზე, ხელოვნებაზე, ატომურ პრობლემაზე, ფეხბურთზე... ვკამათობთ კიდევაც, ზოგჯერ ძალზე ხმამაღლა, სანამ ზარი ძილისკენ არ გვიხმობს.

ამაღამაც აქა ვართ, ვაბოლებთ და ჯერჯერობით ვდუმვართ.

ჩვენს შორის ყველაზე ახალგაზრდამ და ყველა კამათის მოთავემ, ფილოსოფიის მეცნიერებათა მომავალმა კანდიდატმა დაარღვია სიჩუმე:

— როგორ ფიქრობთ, დიდი განსაცდელის ჟამს ადამიანს რა უფრო ესაჭიროება, სულიერი თუ ფიზიკური სიძლიერე, ამ თვისებათაგან რომელია გადამწყვეტი?

ერთხანს ყველანი ვდუმდით და ზრდილობიანად ვუთმობდით ერთმანეთს პირველობას აზრის გამოთქმაში, თან დროს ვიგებდით, ვცდილობდით, ჩავწვდომოდით შეკითხვის არსს.

მომავალი კანდიდატი გველოდა, შემდეგ, თითქოს ვიღაცას ეკამათებაო, თვითონვე გასცა პასუხი თავის შეკითხვას:

— მე მაინც ვფიქრობ, რომ ადამიანისათვის, უპირველესად, ფიზიკური სიძლიერეა საჭირო, რათა გამოავლინოს სულის სიმტკიცე, საერთოდ, მაღალი მორალური თვისება, რა თქმა უნდა, თუ იგი ნორმალურად აზროვნებს და ფანატიკოსი არაა. ძლიერ სხეულში ძლიერი სულია.

ეს უკვე გამოწვევას ჩამოგავდა. ჩვენ კარგად ვიცნობდით მომავალი მეცნიერის ახირებულ ხასიათს. შეიძლება თვითონვე არ სჯეროდა თავისი ნათქვამი, მაგრამ იგი ბოლომდე ერთგული იყო ცნებისა, რომ კამათში — ბრალდება ჭეშმარიტება.

— მაშ თქვენ ასე ფიქრობთ? — გაისმა ჭადრის ძირთან მიდგმული შეზლონგიდან.

ეს ხმა ეკუთვნოდა ჩვენს შორის ყველაზე უფროსს, ცნობილ მწერალს. გაგვიკვირდა, რომ მან მიიღო გამოწვევა. პირველსავე დღეს შემოუერთდა იგი ჩვენს წრეს. ივახშმებდა თუ არა, წამოავლებდა შეზლონგს ხელს, ყველაზე ადრე მიაკითხავდა ბექობს და ელოდა სხვების მოსვლას. იშვიათად ჩაერეოდა საუბარში, თუმცა, ალბათ, სხვებზე მეტი ჰქონდა სათქმელი. იჯდა თავისთვის და პაპიროსის კიაფზე თუ შეამჩნევდით, რომ კი არ თვლემდა, გულდასმით გვიგდებდა ყურს. გრძნობდა ირგვლივ მყოფთა მოკრძალებას მისდამი, საკუთარი სიტყვის ფასიც იცოდა და სწორედ ამიტომ დუმდა უფრო მეტად, არ გვახვევდა თავის აზრს. ამიტომ გაგვიკვირდა, ამ საღამოს პირველმა რომ ამოიღო ხმა. ამან, ალბათ, ფილოსოფიის მომავალი კანდიდატიც გააოცა, პასუხიც შეუგვიანდა, თუმცა მალე გამოერკვა და თქვა:

— რა თქმა უნდა. მე მწამს თავგანწირვა მაღალი იდეისათვის, მაგრამ დიდი განსაცდელის ჟამს არ კმარა მხოლოდ სულის სიმტკიცე, რწმენისადმი ერთგულება. ფიზიკურად სუსტი ადამიანი დასამორჩილებლადაც ადვილია; და თუ იგი საშინელი წამების გამო ზოგჯერ დანაშაულამდე მიდის, მას ბრალს ვერც დავდებთ, რადგან მიყენებული ტკივილები მის სიმტკიცეს აღემატება.

ამ კონცეფციის დარღვევა ძნელად არ მიგვაჩნდა, მაგრამ ხმას აღარ ვიღებდით, საპაექრო ასპარეზი მწერალს დავუთმეთ და მანაც არ დააყოვნა:

— ეჭვი არ მეპარება, რომ თვითეულ ჩვენგანს შეუძლია თქვენი მოსაზრების გაბათილება, მაგრამ თუ ნებას მომცემთ, მოგითხრობთ ერთ პატარა ამბავს. შეიძლება მან რამდენადმე ნათელი მოჰფინოს ჩვენი მსჯელობის საგანს.

უფრო მოხერხებულად მოვეწყვეთ ჩვენ-ჩვენ ადგილებზე, მოსასმენად მოვემზადეთ.

მხოლოდ მომავალმა კანდიდატმა ჩაილაპარაკა ჯიუტად:

— მე რეალისტი ვარ და ვერწმუნები მხოლოდ ფაქტებს. მწერლებს კი გიყვართ ამბის შელამაზება, საკუთარი სიტყვის თქმა...

შეზლონგთან ასანთმა გაიჩხაკუნა და ალმა გაანათა მწერლის მოღიმარი სახე. ჩანდა, მას არ ეწყინა ოპონენტის უხიაგი შენიშვნა.

— ვეცდები, მოგითხროთ ისე, როგორც მოვისმინე, შეულამაზებლად. თუმცა მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო... — თითქოს სათქმელს უყრის თავსო, მწერალი მცირე ხნით დადუმდა, — ეს იყო სულ მალე სამამულო ომის დამთავრების შემდეგ. იმ ხანებში ჩემი წიგნი გამოვიდა და სწორედ მაშინ, როცა საწერ მაგიდაზე ხელნაწერის ნაცვლად უკვე დასტამბული წიგნი გაჩნდა, ვიგრძენი დაღლილობა, გულისა და ნერვების გადაქანცვა. ასეთ დროს მხოლოდ დასვენებაზე ვფიქრობ, დასვენებაზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. საგანგებოდ დავტოვე სახლში კალმისტარი და მთელი თვით ჩამოვედი აი სწორედ აქ, ჩვენს დასასვენებელ სახლში.

მშვიდად გავიდა პირველი დღეები. ზღვაზე ვაღამებდი, ვთამაშობდი ჭადრაკს და ვკითხულობდი მხოლოდ და მხოლოდ მსუბუქ სათავგადასავლო რომანებს. მაგრამ ერთხელ ჩემი მყუდროება მაინც დაირღვა.

იმ დღეს ზღვის ნაპირს ჩვეულებრივზე მეტ ხანს შევრჩი და, სასადილოდ რომ შევედი, თითქმის დაცარიელებულ ოთახში დავინახე ახალი დამსვენებელი. მისმა გარეგნობამ მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. ასე ფაქიზად ჩავადმყოფარს ან ციხიდან ახლად გამოსულს აცვია ხოლმე. თუმცა ახალგაზრდა ჩანდა, უკან გადავარცხნილ თხელ თმაში საკმაოდ შერეოდა ჭაღარა. სევდიანი, შავი თვალები უცნაურად გამოიყურებოდნენ მის ფერმკრთალ, მზედაუკრავ სახეზე.

ალბათ, ოფიციანტმა შემატყო ცნობისმოყვარეობა, საიდუმლოდ გამანდო:

— ოთხი წელი ტყვედ ჰყოლიათ ფაშისტებს. აგერ ახლა გაათავისუფლეს ჩვენებმა ბანაკიდან. ჯერ კიდევ არაა შეჩვეული ადამიანებს. ამიტომ ერიდება ყველას. — მეორე კერძი რომ დამიდგა წინ, წამჩურჩულა: — უცნაური კაცი ჩანს. მეჩვიდმეტე პალატაში ცხოვრება შესთავაზეს, პატივი უნდოდათ ეცათ: ხომ იცით, ის პალატა ყველაზე უკეთესია. უარზე დადგა, რიცხვი „17“ ცუდად მაქვს დაცდილიო. მერე ხუმრობით კი არ უთქვამს ეს, ჩვენმა დიასახლისმა მითხრა, სახეზე ფერი ეცვალაო.

ჩემზე ადრე დაამთავრა სადილობა. გვერდით რომ ჩამიარა, თავი დამიკრა, არ ვიცი, ზრდილობის ნიშნად, თუ მიცნობდა ოდესმე. ყოველ შემთხვევაში, მე პირველად ვხედავდი მას.

მეორე დღეს, ჭადრაკს რომ ვთამაშობდი, დავინახე მხარზე პირსახოცგადადებული ზღვისკენ მიემართებოდა.

ჩემს უკან ვიღაცამ ჩაილაპარაკა:

— ამ კაცმა სწორედ გამაცა. ჩემთან ერთად ცხოვრობს პალატაში. ამ დილით კალენდარი გადავშალე; დღეს ხომ ჩვიდმეტია? რომ დახედა, გაფითრდა და კიდევ ერთი ფურცელი გადაკეცა. შევეჭვდი კიდევაც, დღეს თვრამეტი ხომ არაა-მეთქი.

— ცრუმორწმუნე ყოფილა.

— ცამეტისა რომ ეშინოდეს, კიდევ რაღაცას იფიქრებდა კაცი.

— ნამდვილად რაიმე მძიმე მოგონება აკავშირებს ამ რიცხვთან. ხდება ხოლმე ასე ცხოვრებაში, — დაასკვნა ვიღაცამ და მეც ეს მენიშნა სწორად.

ვგრძნობდი, ირღვეოდა ჩემი სულიერი სიმშვიდე. ამ კაცის ბედი და „17“ რიცხვის საიდუმლო უკვე აღარ მასვენებდა. ეს მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობა კი არ იყო, არამედ პროფესიული ძიება ადამიანის ხასიათის რაღაც ახალი, ჯერ უცნობი თვისების აღმოსაჩენად. ასეთია ჩვენი ხვედრი. მწერალი მოკრძალებულიც უნდა იყოს და ზოგჯერ მოურიდებელიც. ხანდახან ძვირფასი განძი იაფფასიანი საბურველითაა დამალული; საკმარისია ახადო ფარდა და მიმალულის ბრწყინვალება შემოგანათებს, თვალს მოგჭრის. მაგრამ პირიქითაც ხდება. ყალბი ოქროც ხომ ბრწყინავს ბაჯაღლოსავით; ფუტურო თხილიც ლამაზია გარეგნულად. ამიტომ აუცილებელია ხელით შეეხო მას.

ერთი სიტყვით, მსურდა იმ უცნობთან შეხვედრა.

...იმ საღამოს ჩინებული ამინდი იდგა. ზღვის პირად გავედი და აჩემებულ ადგილს მივაშურე... ის იყო კლდეს მივუახლოვდი, რომ ნაპირზე დავინახე იგი. დოინჯშემოყრილი იდგა და ღრმად ისუნთქავდა ჰაერს. ტანგახდილი უფრო ახალგაზრდა ჩანდა. სახეზეც თითქოს ფერი მოსვლოდა და არც ისეთი პირქუში მეჩვენებოდა. თუმცა საკვირველი ის იქნებოდა, ასეთ მშვენიერ საღამოს შუბლშეკრული რომ შეგებებოდა ადამიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთეს დროს ვერ გამოვნახავდი მასთან შესახვედრად, მაგრამ არ მინდოდა მისთვის დამერღვია მარტოობის ეს ბედნიერი წუთები. ფეხაკრეფით გამოვბრუნდი.

ამ დროს უკანიდან შემომესმა:

— ბოდიში, მე, ალბათ, თქვენი ადგილი დავიკავე.

მისი ხმაც უცნაურად მეჩვენა. მკვეთრად გამოთქვამდა სიტყვებს. ასეთი აქცენტით სამშობლოს დიდი ხნით მოწყვეტილი ადამიანები ლაპარაკობენ.

მივბრუნდი. იგი ღიმილით მომჩერებოდა, ამ ნაადრევად გაჭაღარავებული მამაკაცისათვის შეუფერებელი ბავშვური ღიმილით.

— მყუდროება დაგირღვიეთ, — მოვუბოდიშე.

— მე თქვენ გუშინაც შეგამჩნიეთ აქ. მართლაც მშვენიერი ადგილია, მით უმეტეს, თუ განმარტოებას ეძებ.

ერთმანეთს მივუახლოვდით და უსიტყვოდ ჩამოვართვით ხელი.

ტანზე გავიხადე და ზღვაში შევცურე. უკან რომ მოვიხედე, კვლავინდებურად იდგა. ესე იგი, წასვლას არ აპირებდა, არ მერიდებოდა.

ერთად შევცქეროდით მზის ჩასვლას. ხმას არ ვიღებდით. ორივე ვგრძნობდით, სიტყვას არ ძალუძდა ამ სილამაზის გადმოცემა. შემდეგ სითბოშემორჩენილ კენჭებზე გავწევით და მაშინ შევამჩნიე მის მკლავებსა და ბეჭებზე ზოლისებურად დაჩნეული დანამწვარი და ნაჭრილობევი; ოდნავ ლილისფერი გადაჭკროდა ბანაობის შემდეგ.

ჩემი მზერა დაიჭირა და უბრალოდ მითხრა:

— ფაშისტების სახსოვარია.

შეიძლება ამიტომ ეძებდა განმარტოებას. მართლაც ამაზრზენი იყო მისი შიშველი ტანი.

ალბათ, მეც მომერიდა, გულაღმა გადაბრუნდა და თვალი გაუშტერა ულრუბლო ცას.

თოლიამ ფრთა ამოავლო ტალღაში და თავს გადაგვიარა ზანტი ფარფატით.

— ხომ არ იცით, რამდენ ხანს ცოცხლობს თოლია? — შემეკითხა.

არ ვიცოდი; დაახლოებით ვივარაუდე და, „რამდენიმე ათეულ წელს მეთქი“, ვუთხარი.

გაეღიმა:

— იქნებ სწორედ ის თოლიაა... თუმცა თოლიები ძალიან გვანან ერთმანეთს. — ალბათ, თვითონაც მიხვდა, რომ ვერ გავუგე, რისი თქმა უნდოდა, მომიბრუნდა: — ზღვის პირას ვიმყოფებოდით საკონცენტრაციო ბანაკში. ჩამოგლეჯილ, გაძვალტყავებულ ადამიანებს მხოლოდ ეს ფრინველი გვაგონებდა ომამდელ მშვიდობიან ცხოვრებას, გვამხნევებდა; ვინ იცის, რამდენი დაუწერელი ბარათი გამიტანებია მისთვის ჩემიანებთან... — თქვა და კვლავ დადუმდა, გაირინდა სივრცეში ცქერით.

— მითხარით, რამ შეგაძულათ რიცხვი „17“? — ჩემდა უნებურად დამცდა ეს კითხვა.

შემომხედა სერიოზულად, თითქოს შიშმაც გაიელვა მის თვალებში; მაგრამ მხოლოდ ერთი წამით; მშრალად ჩაიცინა, ბაგეგაუხსნელი სიცილით:

—ვინ იცის, რას არ ამბობენ ჩემზე. ეს რიცხვი კი მართლაც არ მიყვარს,— სწრაფად წამოდგა და ტანსაცმელს წამოავლო ხელი, — აგრილდა უკვე, წასვლის დროა.

ნავახშმევს კინოსურათს უჩვენებდნენ. რეკლამით მიეხვდით, ომზე უნდა ყოფილიყო. მოლაპარაკებულებივით ავუარეთ გვერდი კლუბს და ეკლესიისკენ აქ მოვედით, სადაც ჩვენ ახლა ვზივართ.

— ჩემთვის ინელია ასეთი კინოფილმების ნახვა. თუ თქვენ გსურთ, ნუ მომერიდებით...

— არა-მეთქი, — მივუგე.

პაპიროსი მთხოვა. დიდხანს აწვალა ასანთი, ძლივს მოუკიდა. ბნელოდა. მის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ნერვულობდა.

ამ კაცს რაღაც აწუხებდა და ეს „რაღაც" დაგუბებული სათქმელი იყო. გამოგიცდიათ, ალბათ, ზოგჯერ ლოდივით გაწევს დარდი და სულს გიხუთავს. საკმარისია, გაანდო შენი გულის წუხილი სხვას, სულერთია, ვინც იქნება იგი,— მეგობარი, ნათესავი თუ სრულიად უცნობი, მაშინვე შვებას იგრძნობ მთელ სხეულში.

ჩემი ვარაუდი გამართლდა. პაპიროსი წორს გაიქნია და მითხრა:

— ვიცი, თქვენ მწერალი ხართ. სტუდენტობიდან გიცნობთ. თუ თავს არ შეგაწყენთ, მოგითხრობთ ერთ ამბავს; შეიძლება ოდესმე გამოგადგეთ...

ჩემს თანხმობას არ დალოდებია, პირდაპირ დაიწყო, უბრალოდ, უკვე სრულიად დამშვიდებულმა:

— ინსტიტუტი თბილისში დავამთავრე. ინჟინერი გახლდით. შემეძლო ადგილზე დარჩენა. ოჯახთან ახლოს ყოფნა, მაგრამ ახალგაზრდა ვიყავ და უცოლო; დამოუკიდებელი ცხოვრება, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მესმოდა; ამიტომ გადავწყვიტე დასავლეთ უკრაინაში, ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან მშენებლობაზე მემუშავა.

დიდხანს არ დამცალდა იქ ყოფნა. ომი დაიწყო. განთიადისას პირველი ბომბი ჩვენს ქალაქს დაეცა. რამდენიმე დღეში ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მტრის ზურგში აღმოვჩნდი. ევაკუაცია ვერ მოვასწარით და ერთ საათში საკუთარი ხელით გავანადგურეთ მთელი წლის ნამუშევარი, უძვირფასესი მანქანები.

ქალაქში დარჩენილი კომუნისტებისაგან იატაკქვეშელთა ჯგუფი შეიქმნა; მშენებლობის უფროსი ზახაროვი ჩაუდგა სათავეში. მე არ ვიყავი პარტიის წევრი, მაგრამ ზახაროვმა მაგრძნობინა, თუ ჩემი სურვილი იქნებოდა, შემეძლო შეეერთებოდი მის ჯგუფს. მე დავთანხმდი. მტერთან ბრძოლა ხომ ჩემი ვალი იყო.

ქალაქში გერმანული წესრიგი დამყარდა. ფრონტიდან ცუდი ამბები მოდიოდა, ჩვენი ჯგუფი კი უმოქმედოდ იდგა. ზახაროვი ბიჭებს ადგილზე ველარ ამაგრებდა. თვითეულ ჩვენგანს უნდოდა რაღაც გაეკეთებინა. ზოგიერთები აუჯანყდნენ ზახაროვს. ერთმა მათგანმა, ყველაზე უფრო ფიცხმა, ბურგომისტრს ესროლა, მაგრამ დაჭრა მხოლოდ, თვითონ კი თავი წააგო. მეორემ ლოდინს ვეღარ გაუძლო და ერთ ღამეს მალულად ფრონტისაკენ გაეშურა. აღარ გაგვიგია, მიაღწია თუ არა. ზახაროვი გვამშვიდებდა, თავი შეინახეთ, მალე დადგება შურისძიების ჟამიო. ჩვენც ველოდით.

ერთხელ ზახაროვი მთელი სამი დღით სადღაც გადაიკარგა. ჩამოსვლისთანავე კონსპირატულ ბინაზე მოგვიყარა თავი. მოკლედ გაგვაცნო ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა, შემდეგ გადმოგვცა ცენტრის მითითება, თუ რა უნდა გაეკეთებინა ჩვენს ჯგუფს. ყველამ მიიღო დავალება. ბოლოს, ოთახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთნი დავრჩით — ზახაროვი, ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი, მე და კიდევ ორი ამხანაგი, რომლებსაც მანამდე არ ვიცნობდი.

— ჩვენ დაკისრებული გვაქვს მეტად სერიოზული ამოცანა, — გვითხრა ზახაროვმა, — საიდუმლო სტამბის მოწყობა. უნდა დავბეჭდოთ და გავავრცელოთ საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები, სხვა მასალები, ხალხს ჩავუნერგოთ გამარჯვების რწმენა, რაც მთავარია, ვაგრძნობინოთ ყველას, რომ ქალაქში არსებობს საბჭოთა ხელისუფლება.

სტამბის მთელი მოწყობილობა გვქონდა. წინდახედულმა რედაქტორმა დროზე გადამალა საჭირო მანქანა-მოწყობილობა იმ ორი ასოთამწყობის დახმარებით, რომლებიც ჩვენს ჯგუფში შედიოდნენ. სტამბა უნდა მოგვეწყო ერთ-ერთი მათგანის ბინის სარდაფში, სანაპირო ქუჩაზე № 17. ზახაროვმა გაგვაფრთხილა, რომ სტამბის ადგილსამყოფელი, ჩვენი ხუთეულის გარდა, ძეხორციელს არ უნდა სცოდნოდა. თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით ჩავარდნის შემთხვევაში, ამაზე სიტყვაც არ დაძრულა; ეს უთქმელადაც გასაგები იყო.

მეორე დღესვე შევუდექით მუშაობას. ვჩქარობდით, გვინდოდა, ოქტომბრის დღესასწაულისათვის გამოგვეშვა პირველი ფურცელი. რედაქტორი და ასოთამწყობები სარდაფში ასწორებდნენ დღე და ღამეს. ზახაროვმა მათ სასტიკად აუკრძალა ქალაქში გამოჩენა. სამივეს კარგად იცნობდნენ და, ვინმე საეჭვოს რომ მოეკრა თვალი, ჩავარდნა არ აცდებოდათ. ზახაროვი ჩვენგან არც თუ ისე შორს ცხოვრობდა კონსპირატულ ბინაზე, საიდანაც კავშირი ჰქონდა ქალაქში დარჩენილ სხვა ამხანაგებთან. სტამბაში მხოლოდ ღამით მოდიოდა და ისიც ყოველთვის სხვადასხვანაირად გადაცმული. მე სხვებზე უფრო თავისუფლად შემეძლო ქალაქში გამოჩენა, რადგან ახალჩამოსული ვიყავი და თითქმის არავინ მიცნობდა.

დადგა 1941 წლის 7 ნოემბერი. ამ დღეს უნდა აგვემოქმედებინა ჩვენი სტამბა. ზახაროვი დილიდანვე ჩვენთან იყო და რადიომიმღებს არ შორდებოდა. მოსახლეობისადმი მოწოდება შევადგინეთ და ახლა მას ვაწყობდით. უცებ მიმღებიდან შემოგვესმა დიქტორის საზეიმო ხმა: „ლაპარაკობს მოსკოვი!“ იცით, რას ნიშნავდა ეს ორი სიტყვა მაშინ, როცა ფაშისტთა დივიზიები მოსკოვთან იდგნენ და გერმანიის სარდლობა უკვე ოფიციალურად აცხადებდა საბჭოთა დედაქალაქის დაცემას? ზახაროვმა რადიოს ხმა მოუმატა. სამუშაო მივატოვეთ და რაღაც დიდი ამბის მოლოდინში მიმღებს შემოვეხვიეთ. ჩაირთო წითელი მოედანი... მოგვესმა კრემლის კურანტების ყეფა... შემდეგ ამხანაგ სტალინის მშვიდი, დამაჯერებელი ხმა... ჩვენი ასოთამწყობი, პარტიის ძველი წევრი, რომელსაც ჯერ კიდევ ცხრაას ხუთში უხდებოდა იატაკქვეშ მუშაობა, კუთხეში მიდგა და შევამჩნიე, როგორ ამოიმშრალა სახელოთი თვალის უპე. პირქუში ზახაროვიც საეჭვოდ გვარიდებდა სახეს. შეიძლება მთელ ქალაქში ჩვენ ხუთნი ვისმენდით ამ სიტყვას წითელი მოედნიდან, იქნებ მხოლოდ ჩვენ ვიცოდით, რომ მოსკოვი კვლავ მტკიცედ იდგა და ფაშისტთა დივიზიები ამაოდ აწყდებოდნენ დედაქალაქის მისადგომებს. მინდოდა, ქუჩაში გავვარდნილიყავ და ყველას გასაგონად მეყვირა, რომ მოსკოვი ჩვენია...

— ... ეს მშვენიერი საჩუქარი იქნება მოსახლეობისათვის, — ჩაილაპარაკა ზახაროვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი თავიდანვე იწერდა სტალინის გამოსვლას. ჩვენც მოვკიდეთ ხელი ქაღალდს და ფანქარს, რათა არც ერთი სიტყვა არ გამოგვრჩენოდა. შემდეგ შევადარეთ ჩანაწერები, შევადგინეთ ერთი საერთო ტექსტი და მივუდექით მის აწყობას. ნაშუაღამევს პირველი ფურცელი ამოვიდა მანქანიდან.

ჯერ კიდევ ბნელოდა, ზახაროვი და მე ქუჩაში რომ გამოვედით. ჩვენს ბედზე უმთვარო ღამე იდგა. ერთმანეთს დავცილდით. ზახაროვი კონსპირატული ბინისაკენ გაემართა მდინარის გაყოლებით, რათა სადმე პატრულს არ გადაჰყროდა; თან რამდენიმე დასტა ფურცელი წაიღო სხვებისათვის გადასაცემად. მე კი რამდენიმე ცალის გაკვრა მოვახერხე თეატრთან, ვოგზალთან, მთავარი ქუჩების გადაკვეთაზე, ხეებზე. მეტი ვეღარ მოვასწარი, უკვე თენდებოდა და უკან გამოვბრუნდი. ამხანაგები მოუთმენლად მელოდნენ.

გათენებისთანავე ქუჩაში გავჩნდი და იმ ადგილებს ვუტრიალებდი შორიახლო, სადაც ფურცლები გავაკარი. პირველად ხნიერი რკინიგზელი შეჩერდა კედელთან და გაოცებულმა თვალები მოიფშვნიტა. წაკითხულმა სიფრთხილე დაავიწყა, მიიხედ-მოიხედა, ვიღაც გამვლელს დაუქნია ხელი. მალე კედელთან ჯგუფი შეიკრა. ასეთივე სურათი იყო სხვაგანაც. უნდა გენახათ, როგორი სახე ჰქონდათ ჩვენი ფურცლის წაკითხვის შემდეგ დიდსა და პატარას. თითქოს მძიმე რამ ტვირთი მოეხსნათო ზურგიდან, ამაყად თავაღმართული, იმედიანი თვალებით განაგრძობდნენ გზას. მალე გესტაპოელები გამოჩნდნენ, მგლებივით მიესივნენ ფურცლებს, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

ასე დაიწყო მუშაობა ჩვენმა სტამბამ. გამხეცებული გესტაპოელები აქეთ-იქით აწყდებოდნენ; გრძნობდნენ, რომ სტამბა სადღაც სულ ახლოს იყო. გაძლიერდა ჩხრეკა, დაპატიმრება, მაგრამ ამაოდ — სტამბის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს. ჩვენი ფურცლები მათ მოსვენებას არ აძლევდათ. სად არ ჩნდებოდნენ ისინი! ისე გავთამამდით, რომ ერთხელ ზედ გესტაპოს შენობაზე გავაკარით საინფორმაციო ბიუროს ცნობა მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურების შესახებ.

ერთხელ ზახაროვმა გვაცნობა, მეზობელ საოლქო ცენტრშიც აპირებენ ასეთივე სტამბის მოწყობას და ამხანაგები დახმარებას გვთხოვენო. პირველ რიგში საჭირო იყო შრიფტის მიწოდება. გადაწყდა, რომ მე გავემგზავრებოდი მატარებლით. ეს იყო მეტად სახიფათო ოპერაცია, მაგრამ სხვა უფრო საიმედო გზა არ არსებობდა.

მეორე დღეს ორძირიან ჩემოდანში ჩავაწყვეთ შრიფტი და საღამოს მატარებლის გასვლამდე რამდენიმე წუთით ადრე სადგურში გავედი. ზახაროვი შორიდან მითვალთვალებდა. მან დამინახა, რომ მშვიდობიანად შევედი ვაგონში, შემდეგ ჩემს კუპეში; თვალებით გამოვეთხოვეთ ერთმანეთს და მატარებელიც დაიძრა. ჩემოდანი ზემოთ შემოვდევი და ჩემს ადგილზე ჩამოვჯექი.

მატარებული უკვე თოვლით გადასწორებულ თვალუწვდენ მინდვრებზე მიჰქროდა.

კარი გაიღო და კუპეში ორი მამაკაცი შემოვიდა. მართალი გითხრათ, არ შესიამოვნა მათი მეზობლობა, მაგრამ სამხედროები არ იყვნენ და ამით დავიიმედე გული. შემოვიდნენ თუ არა, მაშინვე გაზეთები გაშალეს. ასეთ დროს პირში წყლის დაგუბებას საუბრის გაბმა ჯობს, მაგრამ თითქოს განგებ, კრიჭა შემეკრა, ხმას ვერ ვიღებდი. ზურგშექცეული ფანჯარასთან ვიდექი და ვფიქრობდი, საიდან ან რაზე დამეწყო საუბარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასობაში მატარებელმა სვლას უკლო. შორს აციმციმდა რომელიღაც პატარა სადგურის თუ პლატფორმის სინათლეები.

შემოვბრუნდი და გავშეშდი: ერთ „თანამგზავრს“ რევოლვერი მოეშვირა ჩემთვის. იგი დამცინავი ღიმილით შემომცქეროდა, ხოლო მეორე ზემოდან ექაჩებოდა ჩემს ჩემოდანს. ჯიბეები მომიჩხრიკეს; იარაღი თან არ მქონდა. თუმცაღა წინააღმდეგობა უაზრობა იყო.

მატარებელი შეჩერდა.

— წინ გაგვიძეხით და ჩადით ვაგონიდან, მხოლოდ უხმაუროდ, — გამაფრთხილეს.

მატარებელი მხოლოდ ერთი წუთით შეჩერდა და, თითქოს არაფერიც არ მომხდარაო, გზა განაგრძო.

ჩაბნელებულ ბაქანზე ჩვენ სამნი დავრჩით. კომენდატურის მხრიდან გავედით ქუჩაში. ვოგზლის წინ მანქანა გველოდა. ამან შემაეჭვა. ესე იგი, ოპერაცია წინასწარ იყო მომზადებული. გამოდის, რომ სტამბა ჩავარდნილა, მაგრამ როგორ, ვისი მიზეზით?

მანქანაში ფარდები ჩამოეშვათ, მაგრამ ვგრძნობდი, ქალაქში ვბრუნდებოდით. ჩემი მხლებლები ხმას არ იღებდნენ.

მალე მანქანა შეჩერდა. მე გესტაპოში მიმიყვანეს.

სარდაფის ოთახში შემაგდეს და მარტო დამტოვეს. ახლა შემეძლო ცოტათი გონს მოვსულიყავ, დავფიქრებოდი ჩემს მდგომარეობას. იგი მეტისმეტად უიმედო ჩანდა. თუ კი სტამბა ჩავარდა, საუბარი მოკლე იქნებოდა, ხოლო თუ მარტო მე ვყავდი ხელთ გესტაპოელებს, მაშინ... მაშინ სამუდამოდ უნდა ამომეშალა მეხსიერებიდან ჩვენი სტამბის ადგილსამყოფელი — „სანაპირო ქუჩა № 17“.

კარი გრუხუნით გაიღო და ორი გესტაპოელი გამოჩნდა. უხმოდ მაგრძნობინეს, გავყოლოდი. ზემო სართულზე შავი დერმატინით გადაკრულ კარებთან შევჩერდი. ერთმა მათგანმა კარი შეაღო და ხელით მანიშნა, შევყოლოდი.

ნახევრადჩაბნელებულ ოთახში ვეებერთელა საწერ მაგიდას გესტაპოს უფროსი ზუმერი უჯდა. იგი წინათაც მენახა. მაღალი ტანის, ბეჭებში ოდნავ მოხრილ ზუმერს შებინტული მარცხენა ხელი გულზე ეკიდა. ამას წინათ ძლივს გადაურჩა პარტიზანებს, მკლავში მიწვდა მათი ტყვია. ჩვენს სტამბაში დაბეჭდილი ფურცლები და ჩემოდნიდან ამოღებული შრიფტი ედო წინ, ალბათ, შესადარებლად; მაგრამ მათ ყურადღებას არც აქცევდა, ჯიბის დანით საგულდაგულოდ იწმენდდა ფრჩხილებს. თითქოს ჩემი შესვლაც არ გაუგია. მივხვდი, თვალთმაქცობდა: აქაოდა, ისეთი არაფერი მომხდარაო. ფრჩხილები გასაპრიალებლად ფრენჩის სახელოზე გაუსვა და, თითქოს სხვათაშორის, თავაუღებლივ მითხრა რუსულად:

—ტყუილუბრალოდ დროს ნუ დავკარგავთ. თქვენს მდგომარეობაში ადამიანმა იმაზე უნდა იფიქროს, თუ როგორ შეინარჩუნოს სიცოცხლე. ამისათვის საკმარისია გვიპასუხოთ ორ შეკითხვაზე — სად გაქვთ სტამბა და ვისთან მიგქონდათ აი ეს შრიფტი?

„აა, ესე იგი სტამბა არ ჩავარდნილა!“,—ცოტათი მომეშვა გულს. გესტაპოელებს ხელში მარტო მე ვყავდი და ჩემგან ელოდნენ პასუხს. ამით მდგომარეობა რთულდებოდა. ჩემსა და ზუმერს შორის იწყებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი და ამ უთანასწორო ორთაბრძოლაში გამარჯვების მეტი შანსი მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეზე იყო. ჩემი დუმილი სისუსტედ არ მიიღოს-მეთქი, შემეშინდა. ამიტომ რაც შეიძლებოდა მშვიდად ვუპასუხე:

— მე არავითარ სტამბასთან არ მაქვს კავშირი. ჩემოდანი მეგონა-მეცოცხლინის. ეს პროვოკაციაა.

ზუმერმა ჩაიცინა და ცხენის კბილები გამოაჩინა. ხელი აიქნია ოდნავ. ოთახის ბნელ კუთხეში ლანდები ამოძრავდნენ; ერთი მათგანი მე მომიახლოვდა.

ზუმერმა ჯიბის ფანარს ხელი დასტაცა და იმ ლანდს სახეში მიანათა.

— იცნობთ ერთმანეთს?

მაშინვე ვიცანი ქალაქში დარჩენილი ერთ-ერთი იატაკქვეშელი, მაგრამ თავი შევიკავე, ვცდილობდი, ერთი კუნთიც არ შემტოკებოდა სახეზე.

— პირველად ვხედავ. — ვთქვი მე.

— თქვენ იცნობთ ამ კაცს? — შეეკითხა ზუმერი ჩემს უკან მდგომს.

— ჩემთან ერთად დარჩა ზახაროვის ჯგუფში; როგორც ვიცი, მონაწილეობდა სტამბის მოწყობასა და ფურცლების გავრცელებაში, — თქვა მოღალატემ.

ფანრის შუქი ჩაქრა და ლანდი კვლავ გაუჩინარდა.

კიდევ კარგი. მოღალატემ არ იცოდა არც სტამბის ადგილსამყოფელი და არც ზახაროვის კონსპირატული ბინის მისამართი. გულს მომეშვა.

—ახლა რაღას იტყვით? — მომიბრუნდა ზუმერი.

— იმასვე, რაც გითხარით.

— ვისთან და რატომ მიემგზავრებოდით სემეროვოში?

სემეროვოში არც ვაპირებდი ჩასვლას. ფრთხილმა ზახაროვმა მირჩია, ყოველი შემთხვევისათვის, სემეროვომდე ამეღო ბილეთი. მე უფრო ახლო სადგურზე მელოდნენ ამხანაგები.

— მინდოდა სამუშაო მეშოვა, სემეროვო უფრო დიდი ქალაქია.

თვითონვე ვგრძნობდი, ასეთი პასუხი ოდნავადაც არ ამსუბუქებდა ჩემს მდგომარეობას. ზუმერი არც ისეთი სულელი იყო, რომ ჩემთვის დაეჯერებინა. ბოროტი ღიმილი აუთამაშდა სახეზე.

— თქვენ ახალგაზრდა ხართ და თანაც ფანატიკოსი, როგორც ყველა კომუნისტი; მერე კიდევ კავკასიელი, ქართველი... თავის განწირვა ყოველთვის მამაცობა გგონიათ. არაფერია, ჩვენ უფრო ჯიუტებიც მოგვიდრეკია. ამაში მალე დარწმუნდებით. ორ საათს გაძლევთ მოსაფიქრებლად. უარის შემთხვევაში სხვანაირად მოვილაპარაკებთ.

ისევ საკანში დამაბრუნეს ჩემმა სიტყვაძუნწმა მედილეგეებმა. მარტო რომ დავრჩი, საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. ფიცრის ნარზე გავიშოტე. ვიცოდი, ორი საათის განმავლობაში არავინ შემაწუხებდა. ორი საათის შემდეგ კი... ალბათ, რაღაც საშინელება მელოდა, მაგრამ რა, არ ვიცოდი და ახლა არც მინდოდა ამაზე მეფიქრა.

უცებ შიშმა ამიტანა. ამხანაგებს მე მატარებელში ვგონივარ. ზახაროვმა ხომ მშვიდობიანად გამაცილა. ახლა მივხვდი გესტაპოელთა მზაკვრულ ოინს. მე ნამდვილად ჯერ კიდევ სადგურში შემნიშნა მოღალატემ. გესტაპოელები ვარაუდობდნენ, რომ შორიდან მითვალთვალებდა ვინმე ჩვენიანი. ამიტომ სადგურში ხელი არ მახლეს, უხმაუროდ შემიპყრეს, რომ არ დაეფრთხოთ იატაკქვეშელები და სტამბა არ მიემალათ სადმე. ზახაროვი მხოლოდ ორსამ დღეში შეიტყობს, რომ ადგილზე არ ჩავედი, სტამბის ბედიღბალი კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გადაწყდეს ამაღამ, ორი საათის შემდეგ, როცა დაიწყება ნამდვილი ორთაბრძოლა ჩემსა და ზუმერს შორის.

სწორედ ეგ ბრძოლა მაშინებდა მე. დიახ, მაშინებდა! მე არ მრცხვენია ამ სიტყვისა. თქვენ მწერალი ხართ, ადამიანის სულის ინჟინერი და, იმედია, გამიგებთ, რისი თქმაც მსურს. ვიცოდი, გესტაპოელები არაფერს დაერიდებოდნენ, რომ გამეცა სტამბის ადგილსამყოფელი. ისინი ხომ ამის ოსტატები იყვნენ! მე გულწრფელად ერთგული ვიყავი ჩემი ქვეყნისა და ჩემი ხალხისა, იმ იდეისა, რომელსაც ვემსახურებოდი სიტყვით და საქმით. მზად ვიყავი სიცოცხლეც გამეწირა... მაგრამ გესტაპოელთა მიზანი იყო არა ჩემი ფიზიკური განადგურება, არამედ სტამბის, მთელი ჯგუფის ხელში ჩაგდება. ამიტომ ორი საათის შემდეგ მელოდა ისეთი აუტანელი წამება, რომელიც სიკვდილსაც კი ანატრებინებდა ადამიანს...

ტკივილს საერთოდ ვერ ვიტან, კბილის ამოღებაც ტანჯვაა ჩემთვის. ამიტომ ვშიშობდი, ვაი-თუ ჩემს სხეულს ვერ გაეძლო იმ ჯოჯოხეთური გამოცდისათვის, რომელსაც ზუმერი მიმზადებდა, და ჩემს ბაგეს, ენას მისდაუნებურად, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ დასცდენოდა საბედისწერო სიტყვები — „სანაპირო ქუჩა № 17“.

წინათ არასოდეს განმეცადა მძაფრი ფიზიკური ტკივილი. მხოლოდ წიგნებში ამომიკითხავს, თუ როგორ უძლებდნენ ტანჯვა-წამებას სულით მაღალი ადამიანები, გმირულად კვდებოდნენ რწმენისა და სამშობლოსათვის. ჩემს გონებაში გაცოცხლდნენ წამებულ გმირთა სახეები: ჯორდანო ბრუნო, ჟანა დარკი, სუსანინი... თვალწინ დამიდგა ქართლის ცხოვრება: შუშანიკი და დიმიტრი თავდადებული, ქეთევან წამებული და მღვდელი თევდორე... „ისინი დიდ საქმეს ეზიარნენ, თავი შესწირეს მამულს, მეცნიერებას. ამიტომ შეინახა მადლიერმა ხალხმა წამებულ გმირთა სახელები. შენ კი გეყოფა ძალა, რომ გასწირო თავი?“ — ჩამძახოდა იდუმალი ხმა.

ზეზე წამოვიჭერ, რომ კრაზანებივით დახვეული ავი ფიქრები მომეცილებინა. კარებში შაურისოდენა ნახვრეტი მოჩანდა. მას არ შორდებოდა მედილეგის თვალი. ზუმერი ამ ორ საათსაც არ მტოვებდა მარტო. ალბათ, ეშინოდა, საკუთარი ხელით არ მომესწრაფა სიცოცხლე და მშრალზე არ დამეტოვებინა იგი.

ერთი წუთით მართლაც გამიელვა თავის მოკვლის ფიქრმა, მაგრამ მერწმუნეთ, ძნელია ამ ნაბიჯის გადადგმა ოცდახუთი წლის ასაკში. სახრჩობელის წინაშე მდგომსაც კი რაღაცის იმედი აქვს და ყულფში თავის გაყრამდე კიდევ ელის სასწაულს. ანდა რითი უნდა მომესწრაფა სიცოცხლე? კედელს ხომ არ ვახლიდი თავს? არ მინდოდა, მტერს აღელვება შეემჩნია ჩემთვის, კვლავ ნარზე მივწევი და მედილეგეს ზურგი შევაქციე. უცებ რაღაც მაგარს მოედო ხელი. დავხედე, — ლურსმანია! ეს უკვე იარაღი იყო ხელცარიელი კაცისათვის. თითებით ჩავაფრინდი; რომ ვერაფერს გავხდი, კბილები მივაშველე; მაშინ ისეთი კბილები მქონდა, რკინას გავკვნეტდი. ძლივს ამოვაძრე; უცნაურმა აზრმა გამიელვა, — მოდი, მოვსინჯავ, ძნელია წამების ატანა? ლურსმანი შიშველ მკლავთან მივიტანე, მაგრამ შევყოყმანდი, ჟანგიანი იყო. ჟანგიანი! ჰმ! გუნებაში გამეღიმა. ტკბილი ყოფილა ეს ოხერი სიცოცხლე. თვალი დავხუჭე და ვიჩხვლიტე. ვერ გავუძელი. მე საკუთარ თავს ვერ ვიმეტებდი, ჯალათი კი დამინდობდა?! ის ლურსმანი თავის ადგილზე ჩავასვე, როგორც ხანჯალი ქარქაშინვინ იცის, იქნებ მართლაც გამომდგომოდა!

მაინც რა ხერხს მიმართავენ გესტაპოელები ჩემს საწამებლად?, ყველაფერი ერთბაშად მომაგონდა, რაც გამიგონია და წამიკითხავს წამებაზე. ინკვიზიციის დროს ცეცხლზე წვავდნენ ერეტიკოსებს. გამიგონია, წინათ ბაბილონში ბამბუკის ჯოხებს სცემდნენ შიშველ ტერფებზე. სადღაც წამიკითხავს, ოავს გადაპარსავენ დამნაშავეს და ერთსა და იმავე ადგილზე წვეთ-წვეთად უშვებენ ყინულივით წყალს. არ ვიცი, ამ დროს საიდან მომაგონდა ჩვენი ეზოს ონკანი, რომლის ქვემოთ ცემენტი გაეხვრიტა წყლის წვეთებს.

კოშმარული ფიქრები არ მასვენებდა. დრო ნელ-ნელა იწურებოდა. მალე გესტაპოელები მომაკითხავდნენ. ერთმა აზრმა გამიელვა: — რა იქნება, რომ როგორმე დავივიწყო, გონებიდან ამოვიგდო სახლის ნომერი „17“. დავიწყე თვლა — ასი... ორასი... ათასამდე ავედი. თითქოს განგებ რიცხვი „17“ ამეკვიატა და აღარ მშორდებოდა. უფრო მეტიც, ისიც მომაგონდა, რომ სწორედ 17 მაისს დავიბადე. საიდანღაც ამოტივტივდა ამ რიცხვთან დაკავშირებული ყველა თარიღი: 17 წლის რევოლუცია, 17 ოქტომბრის მანიფესტი... ვეცადე, ჩემი თავი დამერწმუნებინა იმაში, რომ სტამბა 117 ნომერშია მოთავსებული... არაფერი გამოვიდა, გონება აღარ მემორჩილებოდა!

შევშინდი, ჭკუიდან ხომ არ ვიშლები-მეთქი! დავიწყე საკუთარი თავის გამოცდა. ხმამაღლა წარმოვთქვი პითაგორის თეორემა, შემდეგ ლექსებზე გადავედი. მახსოვს, სკოლაში ყოველთვის მეწლებოდა ბარათაშვილის „მერანი“. ახლა თავიდან ბოლომდე წავიკითხე ზეპირად. გავიხსენე მყინვარისა და თერგის შედარება „მგზავრის წერილებიდან“...

...სადღაც შორს დერეფანში ყრუდ გაისმა ფეხის ხმა. იგი თანდათან ახლოვდებოდა და ჩემი საკნის კარებთან შეწყდა. ურდულმა ღაიგრუხუნა.

გესტაპოელები შემოვიდნენ.

ორი საათი გავიდა. იქ ზუმერი მელოდა.

ზუმერი ისევ თავის ადგილას იჯდა, მაგრამ ამჯერად ფრჩხილების წმენდით აღარ ერთობოდა. თანდათან სულ უფრო ცუდად თამაშობდა თავის როლს. უკვე ვეღარ მალავდა ინტერესს ჩემდამი. მივხვდი, ჩემზე ნაკლებად არ ღელავდა იგი, მოუთმენლად ელოდა ორი საათის გასვლას. დამინახა თუ არა, მაშინვე წამოდგა და მომიახლოვდა. მისი კაფანდარა ტანის ჩრდილი მტაცებელი ფრინველივით აისახა კედელზე.

— მოიფიქრეთ? — წამეკითხა.

მე ხმას არ ვიღებდი.

— მაშ ისევ ჯიუტობთ?

კვლავ ვდუმდი.

ზუმერს რატომღაც არ გაკვირვებია ჩემი ჯიუტობა. ალბათ, სხვა პასუხს არც ელოდა. გულიც არ მოსვლია; თავის ძალაში დარწმუნებულმა დამცინავად შემათვალიერა. შეიძლება გაუკვირდა კიდევაც ჩემი გარეგნობის ადამიანის ასეთი სიკერპე. ისევ მაგიდას მიუჯდა.

— გადაწყვიტე, თავი გასწირო, არა? მერე რამდენ ხანს გეყოფა ეს სიმტკიცე? ორ წუთს, ნახევარ საათს? ხომ არ გგონია, რომ მოგკლავ? არა! — და უცებ მომახალა: — კომუნისტი ხარ?

მე მგონი, გითხარით, რომ არა ვარ პარტიის წევრი, მაგრამ არ ვიცი, მაშინ როგორ მოხდა, ჩემდა უნებურად წამომცდა, ვარ-მეთქი. ეს იყო ერთადერთი პასუხი, რომელიც მე ზუმერის შეკითხვაზე გავეცი და ისიც სიცრუე. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, რატომ მოვიქეცი ასე, დონკიხოტობად ჩამომართვან

ჩემი საქციელი. შემდეგ, დიდი ხნის შემდეგ, ჩემს საქციელს რომ ვაფასებდი, დავრწმუნდი, რომ მაშინ სწორად მოვიქეცი. როცა თავი კომუნისტად, ბოლშევიკად, თითქოს რაღაც ახალი ძალა ვიგრძენი სხეულში და თვითონვე ვიგრძენ ნათქვამი.

ზუმერმა ხელი აიქნია. ლანდები გამოეყვნენ კედელს, ხელი ჩამავლეს და გვერდით, პატარა ოთახში გამიყვანეს. ორი მკლავებდაკარწახებული გესტაპოელი მელოდა იქ... თუ რა მოხდა შემდეგ, ეს აღარაა საინტერესო... არც მახსოვს კარგად... მაგონდება მხოლოდ, რომ ყოველ მძაფრ ტკივილს თან ახლდა შეკითხვა: — „სტამბის მისამართი?“ იმ ორ საათში მე ვერ მოვახერხე დამეგიწყებინა საბედისწერო რიცხვი „17“, გონებაში გარკვევით იყო ამოკვეთილი იგი, მაგრამ ჩემი ბაგეები, ჩემი ენა უარს ამბობდა მის წარმოთქმაზე... აზროვნებასა და მეტყველებას შორის ფესვი გაიდგა რაღაც დიდმა გრძნობამ და იმ რიცხვზე უფრო ჩამეჭედა ის მხსნელი აზრი, რომ ჩემი ხმის ამოღებაზე დამყარებული იყო არა მარტო სტამბის, რამდენიმე ადამიანის ბედი, არამედ მთელი ომის, მთელი ჩემი ქვეყნის, ჩემი საქართველოს ბედი, ჩემი ოჯახის ყოფნა-არყოფნა. როცა ახმახმა გესტაპოელმა მკლავი გადამიტრიალა და გრძნობადაკარგული ჩემივე სახსრის ჭახუნმა გამომარკვია, ტკივილზე უფრო გამოუთქმელი სიბრაზე და სიძულვილი ვიგრძენი ჯალათებისადმი. კიდევ მეტად გავკერპდი და მაშინ დავრწმუნდი, რომ ფიზიკურად მათზე სუსტი სულიერად მათზე ძლიერი ვიყავი და უთანასწორო ბრძოლაში ნამდვილად დავჯაბნე ისინი.

...შეზლონგიდან ლაპარაკი შეწყდა. ასანთი აინთო ჩამქრალი პაპიროსის გასაჩაღებლად. ერთი წამით შუქმა გაანათა მწერლის სახე — სერიოზული და მის მიერვე მოთხრობილი ამბით შთაგონებული.

ღამე და მყუდროება იდგა ირგვლივ.

—შემდეგ? — ვეღარ მოითმინა ვიღაცამ.

— წემდეგ? მეც ასე შევეკითხე მას, შემდეგ-მეთქი. — შემდეგ აღარაფერი იყოო საშიში, მიპასუხა. — ზუმერი კიდევ უფრო გამხეცდა, ახალ-ახალ საშუალებებს იგონებდა, რათა ხმა ამომეღო, მაგრამ უკვე საბოლოოდ ვიყავი გამარჯვებული. ამას გესტაპოელებიც გრძნობდნენ და სწორედ ეს ამხეცებდა მათ.

გონზე რომ მოვედი, საკანში პირდაპირ იატაკზე ვეგდე. რკინით დახერგილი პატარა სარკმლიდან სინათლის შუქი შემოდიოდა მკრთალად. დილა დგებოდა, ახალი დღე. მე კვლავ ვსუნთქავდი, ვარსებობდი, ვცოცხლობდი და ამ სიცოცხლეს ჰქონდა აზრი, რადგან ამ ოთხ კედელს შორისაც ვებრძოდი მტერს, ვებრძოდი და ჯერჯერობით გამარჯვებულიც მე ვიყავ.

...სულ ახლოს ზარს შემოჰკრეს. ძილისკენ გვიხმობდნენ. ხევგაღმა გორაკიდან აღარ ისმოდა მუსიკის ხმები.

ჩვენ ვაგვიანებდით დაშლას.

ხმას არავინ იღებდა, თვით ფილოსოფიის მომავალი კანდიდატიც კი.

მწერალი წამოდგა და სულ სხვა ტონით, ხალისიანად წარმოთქვა:

— აი მოკლედ ეს ისტორია ყოველგვარი შელამაზებისა და პროფესიული ფანტაზიის გარეშე. მას შემდეგ მე არ მინახავს ის კაცი, მაგრამ ბევრჯერ მქონია ფიქრია მასზე, რადგან ეს არ იყო ერთი ადამიანის ბედის ისტორია. მე მასში დავინახე მაღალი, უდრეკი სული ჩვენი ადამიანისა ზოგადად და სწორედ ამან მაიძულა ხელთ ამეღო კალამი.

...მალე მყუდროებამ და სიბნელემ მოიცვა დასასვენებელი სახლი. მხოლოდ ერთადერთ ფანჯარაში მოჩანდა სინათლე. ალბათ, იქ ახლა მაგიდასთან ღამეს ტეხდა კაცი, რომელიც ეძებდა შესაფერ აზრსა და სიტყვას საბჭოთა ადამიანის ყველაზე მაღალი და ძლიერი გრძნობის გადმოსაცემად.

ნახატი დ. დუნდუასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ჯაღაღონია

არსენას საფლავთან

შენ ლურჯა ცხენი გიყვარდა, მეც ლურჯა ცხენით მოვედი,
შენ პურ-მარილი გიყვარდა, მეც პურ-მარილით მოვედი,
შენ ძმა-ბიჭები გიყვარდა, მეც ძმა-ბიჭებით მოვედი,
შენ გულმართალი გიყვარდა, მართალი გულით მოვედი.

მოვედით შენი სტუმრები, სტუმარი მუდამ გინდოდა,
გვეგონა, დაგვიხვდებოდი მგზავრებს მუხფერდის მინდორთან.
მაგრამ ვაჰმე, რომ საფლავში შავმა სიკვდილმა ჩაგრაზა,
ნალ-ქაფიანი ლურჯაით ვერ აამღერებ შარაგზას.

მოვედით, შენი საფლავი ვერ წარუშლია ქარ-წვიმებს,
მოვედით და შენს სამარეს ღვინო და ცრემლი ვაწვიმეთ.
თუმც დაუნდობმა გულებმა შენი გული არ დაინდეს,
არ გაგყოლია მტრის ჯავრი, სევდა ვალად არ დაიდე.

სუფრაზე შემოგისწრეს და მტერსაც არ დახვდი უნდოდა.
შენ კახურ ღვინოს ასმევდი, მათ შენი სისხლი უნდოდათ.
აბა მტერს რაღა დალევდა, ვაჟკაციაო მტრიანი.
შენ პურს აჭმევდი, იმათ კი მიწა გაჭამეს მტვრიანი.

...ცხრაღარიანი ფრანგული ალგეთში დახრა ქვიშამ,
გაშავდეს მისი მარჯვენა, მიჯნური ვინც გაგიშავა.
პირსისხლიანი ხანჯალი, ვინც შენს ჩოხაზე გაწმინდა.
თუ მტრებმა ტყვია გაწვიმეს, მართალთა ცრემლი გაწვიმდა.

შენ ყველა დედამ გიგლოვა, ყველა ქალწულმა გახსენა,
ჩვენ ყველა ქართველ ვაჟკაცებს ვარქმევთ კაკოს და არსენას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სანაძირაძე

რად მეუბნები

ატმის სურნელი მოდის ბაღიდან,
ქარი ალუჩებს ალერსით არწევს,
ამეღამ ისე კარგი დარი დგას,
მინდა ამ ლორთქო ბალახში დავწვე.

მთვარეს ღრუბლების ეტლში სურს ჩაჯდეს,
ო, ამ მიმოზებს რა სიტკბო უდით,
ისე დავწვები, რომ ნათლად ჩანდეს
ცის ტატნობი და ვარსკვლავთა გუნდი.

თუკი ბინდდება, დაბინდდეს ბარემ,
შორს გამიტაცონ ფიქრებმა თანა,
მე გადაღლილი დავხუჭავ თვალებს,
რომ ხეთა რიგმა მიმღეროს ნანა.

რომ ქართულ მიწის სითბო შევიგრძნო,
რომ გავეჯიბრო ფრთამალ არწივებს...
რად მეუბნები, გაცივდებიო,
შვილს დედის უბე განა აცივებს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯაყელი

მეორედ შეხვედრა

მზე საშუადღეოზე ენთო. სიცხე მძლავრობდა. უცებ მანქანის გუგუნი მოისმა და გაძლიერდა. უკანა ბორბლები მწარე და შემხუთავ კვამლში ეხვევოდა. ბოლოს, პლატონ ლიაძის ჭიშკრამდე ძლივს მიაღწია, ჩაითუხთუხა და გაჩერდა.

„ცუდ დროს გაფუჭდა“, — გაიფიქრა შოფერმა და მანქანიდან გადმოხტა. შემდეგ მოტორს კაპოტი ახადა, ბევრი უკირკიტა, მაგრამ ვერა გააწყო რა. ბოლოს იმედგადაწყვეტით თავი გაიქნია და გზატკეცილის ორივე მხარეს გაიხედა. გამოჩნდა სატვირთო მანქანა. შეღონებულმა შოფერმა ხელით ანიშნა...

— რა დაემართა?

— საწვავის მიმწოდებელი გაფუჭდა, ხრახნები გადამუშავებულა და მომძვრალა. ხომ არ გექნებათ?

შოფერმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

სატვირთო მანქანა გუგუნით დაიძრა. „პობედა“ კი იდგა, იდგა დამცხრალი და ჩაყუჩებული. ბევრი იჯახირა შოფერმა, მაგრამ ამაოდ. ხელებზე დაიხედა — სულ გასვროდა, ტანსაცმელზეც ბლომად წასცხებოდა გადამუშავებული, მტვრიანი ზეთი. ნირშეცვლილმა პაპიროსს ჩაბერა, გააბოლა და მგზავრ ქალს მიუბრუნდა:

— შეგიძლიათ ქვეითად წაბრძანდეთ. როგორც ხედავთ, მანქანა გაფუჭდა.

მანქანიდან ჩვილბავშვიანი ქალი გადმოვიდა და ხელბარგი გადმოიტანა: ერთი მოზრდილი ჩემოდანი და ორი ფრთებშეკრული ინდაური.

— როგორ წავიღო ჩვილ ბავშვთან ერთად ეს ხელბარგი? — შეწუხებული სახით იკითხა ქალმა.

—როგორც მოახერხოთ... —მოკლედ მოუჭრა შოფერმა.

თითქოს დედის გასაჭირი იგრძნოო, ბავშვი გულისგამაწვრილებლად აჭყიპინდა. დედამ ძლივს დააშოშმინა იგი და შოფერს მიუბრუნდა:

— მანქანას არავინ გაიტაცებს, მით უფრო, რომ გაფუჭებულია. გთხოვთ, როგორმე მომეშველოთ...

— არ შემიძლია, — ცივად წარმოთქვა შოფერმა და, რადგან შეატყო უხეში პასუხი გამოუვიდა, განმარტა: — შოფრის ზურგზე რომ ტვირთი დაინახონ, ხამიაო, გამცინებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არც შეცდებიან“, — უნდოდა ეთქვა ქალს, მაგრამ თავი შეიკავა.

—მაშ რა ვქნა?

მცირე დუმილის შემდეგ შოფერმა ნიშნისმოგებით უთხრა:

— ხედავ იმ კაცს?

— რომელს?

— აი, ჭიშკართან რომ ზის.

— ეტყობა მღებავია.

— მერედა რა, რომ მღებავია? გასამრჯელოს გადაუხდი და ტვირთს წაგიღებს. იქნებ გაუხარდეს კიდეც.

— რომ არ ვიცნობ?

— ასეთი მოკრძალებით სამოთხეში ვერ შეხვალთ, ქალბატონო. რა საჭიროა ნაცნობობა!.. ტვირთს მიგიტანს და მის საქმეს საღამომდე მაინც მოასწრებს.

ისინი რომ ლაპარაკში იყვნენ, პლატონ ლიაძე ჭიშკრის ზღურბლზე იჯდა და პაპიროსს აბოლებდა. თანაც ჩვილბავშვიანი ქალის უმწეობა აფიქრებდა.

ქალი მასთან მივიდა და გაუბედავად სთხოვა:

— უკაცრავად, ხელბარგის გადატანაში ხომ ვერ დამეხმარებით? თუ საჭიროა, სახლის მფლობელს ვთხოვ ნება დაგრთოს.

პლატონ ლიაძე უყოყმანოდ დაეთანხმა.

— არავითარი ნებართვა არაა საჭირო... მოგეშველებით.

— მაშ წამობრძანდით, გასამრჯელოს არ დავიშურებ.

გასამრჯელოს ხსენებაზე პლატონ ლიაძემ გაიღიმა და თქვა:

— მაგაზე შემდეგ ვისაუბროთ. თქვენ ეს მითხარით, შორს ცხოვრობთ?

— არა, ძალიან ახლოს.

— კეთილი, მომეცით ეგ ჩემოდანი. თქვენ მხოლოდ ერთი ინდაურის წაყვანაში მომეშველეთ.

ქალს გაეღიმა.

მხარზე ჩემოდანს რომ იდგამდა, შოფერი მიეშველა, თანაც უთხრა:

— ამოდენა ბეჭებისათვის ერთი ჩემოდანი, სამფუთიანიც რომ იყოს, არაფერია.

პლატონ ლიაძეს სიტყვა არ დასცდენია, თუმცა ტვირთმა ოდნავ წელში მოხარა. შოფერმა ჩემოდანს დაჭერა ხელი და უცნობი გაამხნევა:

— არაფერია, მაგისთანებს ბევრს მოინაცვლებს თქვენი ბეჭები!—ხოლო, როცა ისინი გზას გაუდგნენ, შოფერმა თავისთვის ჩაილაპარაკა: ამოდენა ბეჭების პატრონია და მაინც დონდლო ჩანს.

მანქანის კაპოტზე წამოსკუპული შოფერი იღიმებოდა და დამცინავად უმზერდა პლატონს, რომელიც მძიმედ და ზანტად მიაბიჯებდა.

პლატონ ლიაძე უიღბლო მგზავრს ეკითხებოდა.

— საიდან მობრძანდებით, ქალბატონო?

— სოფლიდან, — მოკლედ მოსჭრა ქალმა და, რადგან პასუხი მეტად მოკლე აღმოჩნდა, ზრდილობისათვის დაუმატა:

— გათხოვილი ქალი რომ მშობლების ოჯახს ესტუმრება, შიშით ფილთაქვაც დაიმალება, არ წამიღოსო.

— მაგით თქვენ იმას ამბობთ, რომ გათხოვილი ქალი მშობლის ოჯახში თვალხარბია, არა?!

— დიახ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მარგალიტიც კი მძიმეა ძუნწისათვის, თუ ვერ ზიდა...

ქალმა ვერ გაიგო ნათქვამი, მაგრამ არ შეიმჩნია.

პლატონმა ძლივძლივობით მოინაცვლა მხარზე ტვირთი და ქალს მიუბრუნდა:

— სად მუშაობთ?

— ექიმი ვარ! ახლახან დამნიშნეს რესპუბლიკური საავადმყოფოს ორდინატორად... ერთ კვირაში შევუდგები მუშაობას.

პლატონმა მას თვალებში ჩახედა, თითქოს გაუკვირდაო, მაგრამ არა ჰკითხა რა.

როცა პლატონი ოფლში გაწურული მძიმედ მიაბიჯებდა და სიტყვაძუნწი თანამგზავრისაგან მოკლე პასუხებს ისმენდა, მის ეზოში დარბაისელი ქალი გამოვიდა და მიდამოს თვალი მოავლო: „ნეტავ, სად წავიდა პლატონი?“

ჭიშკარს მიუახლოვდა. საღებავის ყუთი და ფუნჯიც იქვე იდო, პლატონი კი არსად ჩანდა.

ქალის მღელვარება შენიშნა გამურულმა შოფერმა და გაესაუბრა:

— ვის ეძებთ, დეიდა?

— არავის, შვილო, აქ რომ კაცი იყო...

— მღებავი?

ქალს აშკარად არ მოეწონა სიტყვა „მღებავი“, მაგრამ თავი შეიკავა.

— სად წავიდა ნეტავ? — ბრაზმორევით ჰკითხა შოფერს.

— მე რას მიბრაზდები, დეიდა, მე ხომ არ გამიგზავნია? რა მოხდა, ტვირთი წააღებინა ჩვილბავშვიან ქალს და მალე მოვა.

— ტვირთი წააღებინაო? — აენთო უცნობი ქალი.

— მე ვუთხარი იმ ქალს, რომ სახლის მეპატრონისაგან ნებართვა აიღე და ისე წაიყვანე-მეთქი ეგ მუშა. მაგრამ ხომ იცი მუშების ხასიათი: ახალი ლუკმაც არ გადააგდო და... მალე დაბრუნდება, თქვენს სამუშაოსაც მოასწრებს საღამომდე.

ქალმა შუბლში ხელი იტკიცა.

— რამდენად ხართ გარიგებული, დეიდა?

— რაზე უნდა ვიყო გარიგებული, რაებს ლაპარაკობ?!

— ჭიშკრის შეღებვაზე, დეიდა, ჭიშკრის შეღებვაზე. მისმა მზემ, ტყუილად შეგიღებავს, მაგათი ამბავი რომ ვიცი...

ქალმა პასუხი არ გასცა შოფერს და ლასლახით შევიდა სახლში.

შოფერმა მიაძახა:

—ორასიოდე მეტრი ჰქონდა გასავლელი, აქეთაც ორასი, სულ ოთხასი. დიდი-დიდი ერთი საათი დასჭირდეს. შრომამოწყურებულისათვის ეს ცოტაც კია.

ამ დროს მღებავის ტანისამოსში გამოწყობილი პლატონი მგზავრ ქალს ეკითხებოდა:

— კიდევ შორს არის თქვენი სახლი, ქალბატონო?

— აი, იმ სახლის იქით, ცოტაღა დარჩა.

რადგან ცხვირსახოცის ამოსაღებად აღარ ეცალა, პლატონმა ხალათის სახელოთი მოიწმინდა შუბლზე ჩამოღვრილი ოფლი და კითხვა გაუმეორა:

— ის აივნიანი სახლი ხომ არაა თქვენი, ექიმო?

— ცოტა იქით-მეთქი, ხომ გითხარით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე დიდი გულმოდგინებით შეუდგა თავის საქმეს. თანდათან ეცნობოდა მუშაობის თავისებურებას, დაწესებულების მუშაკებს...

სამუშაოს დაწყების მეორე დღეს მას განუცხადეს: დღეს ქირურგიის კაბინეტ-ლაბორატორიაში პროფესორი კონსულტაციას ატარებს ახალგაზრდა ქირურგებთანო.

ელენემ დიდი კმაყოფილებით მიიღო მიწვევა.

კაბინეტ-ლაბორატორიაში ქირურგიული ხელსაწყო-იარაღები იყო დალაგებული. თეთრ ხალათში გამოწყობილი სათვალიანი მამაკაცი ცდას ატარებდა. შტატივის ქვეშ მკრთალად ანათებდა სპირტქურა.

ელენემ აბრეშუმის ხელთათმანები მაგიდაზე დააწყო. ღელავდა. რომ გეკითხათ, ვერ გიპასუხებდათ, პროფესორთან შეხვედრას განიცდიდა, თუ... კუთხეში მდგომი მამაკაცი დინჯად მოტრიალდა ელენესაკენ, სათვალე მოიხსნა და მოსულს მიესალმა.

ახალგაზრდა ექიმი ადგილზე გაქვავდა. სიტყვა ბურთივით გაეჩხირა ყელში, დაიბნა, არ იცოდა, რა ექნა, იცნო... იცნო, ვინც იყო ეს პროფესორი, გაფითრდა, მუხლები მოუდუნდა.

პროფესორი პლატონ ლიაძე მიუახლოვდა და მისი დამშვიდება სცადა.

— ნუ ღელავთ, ელენე! მით უფრო, ჩვენ ნაცნობებიც ვართ! — ღიმილით თქვა და სავარძელი შესთავაზა.

ელენემ ძლივს წარმოთქვა:

— მომიტევეთ, ბატონო პროფესორო!

პლატონმა კვლავ მშობლიურად გაუღიმა და მზრუნველობით უთხრა:

— საბოდიშო არა გაქვთ რა!

— შეგაწუხეთ... როგორ ვიფიქრებდი, რომ ის მღებავი... — ძლივს აღმოხდა და ცრემლი მოერია, ხოლო, როცა ოდნავ დამშვიდდა, კვლავ გაიმეორა: — რა უბრალო საქმეზე შეგაწუხეთ!

— არაფერია! მე მხოლოდ ადამიანური მოვალეობა მოვიხადე.



ნახატი დ. დუნდუასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგეი ესენინი

ძაღლის შვილი

ამოტივტივდნენ წლები ბინდიდან —
გვირილის მდელო შრიალებს თითქოს;
მე მომაგონდა ძაღლი იჩქითად,
ჩემი ბავშვობის დოსტი რომ იყო.

შეუწყვეტია შრიალი წარსულს,
როგორც ნეკერჩხლის ფოთლების დასტას.
თეთრად შემოსილს ვიგონებ ასულს,
ძაღლს წერილები დაჰქონდა მასთან.

ყველას ხომ არ ჰყავს თავის სწორფერი.
ის კი ლექსივით გულში მღეროდა,
რადგან არასდროს ჩემს ალალ წერილს
არ ააცლიდა ძაღლს საყელოდან.

წასაკითხავად თან არ მიჰქონდა
და ჩემს ხელს არც კი იცნობდა იგი,
ხოლო ძახველთან დიდხანს ფიქრობდა,
ძახველთან — ყვითელ გუბურას იქით.

მისი დუმილი გულს მიღონებდა.
წავედი — პასუხს ვეღარ ვეღირსე...
გავიდა წლები... ცნობილ პოეტად
ნაცნობ ჭიშკართან მოვედი ისევ.

ის ძაღლი მოკვდა — ვეღარ შევხვდები,
მაგრამ მოცისფრო ბეწვით მოსილი
შემომხვდა ლეკვი გაბმული ყეფით
და მე ვიცანი იმ ძაღლის შვილი.

დედავ! როგორ ჰგავს ერთი მეორეს,
ისევ ვიგრძენი ტკივილი მწველი,
თითქოს ბავშვობას შევხვდი მეორედ,
მზად ვარ ხელახლა ვგზავნიდე წერილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელახლა ვხარობ ძველი გალობით.
ნუღარ ყეფ ლეკვო, ნუღარ ყეფ, კმარა.
მოდი გაკოცო — შენი წყალობით
გულში მაისი კვლავ ჩამეღვარა.

ჩაგეხუტები, შეგიყვან სახლში,
მეგობარივით დაგისვამ გვერდით...
თეთრკაბიანი მიყვარდა მაშინ,
ახლა კი ცისფერკაბიანს ვეტრფი.

* * *

არას ვნაღვლობ, არვის ვუხმობ ცრემლით,
აღსასრული ელის ქვეყნად ყოველს.
ჭკნობის ოქრომ მეც დამრია ხელი,
სიჭაბუკეს სამუდამოდ ვტოვებ.

სურვილებში გავხდი ძუნწი, ფრთხილი,
ცხოვრებაო, მითხრა, ამიხსენი:
სიზმრად გნახე, თუ მაისის დილით
გავაჭენე ვარდისფერი ცხენი.

გეღირსება გულო, ძგერა მშვიდი,
სუსხმა დაგკრა, ცეცხლი გაგინელა.
ვერ მოგხიბლავს არყისხეთა ჩითი,
ფეხშიშველი ვერ გაივლი ველად.

ხეტიალით შეპყრობილო სულო,
გეშრიტება სიმღერების წყარო,
ოი, ყრმობავ, უკვე დაკარგულო,
შლეგო ცქერავ, გრძნობის ნიაღვარო.

ყველაფერი იხრწნება და კვდება,
ოქრო სცვივა ნეკერჩხალის ტოტებს.
საუკუნო კურთხევა და ქება,
ვინც გაჩნდა, რომ აყვავდეს და მოკვდეს.

თარგმნა **გიორგი სალუქვაძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეკ ლონდონი

ერთდღიანი გაჩერება

ასეთი თავბრუდამხვევი რბოლა არასოდეს მინახავს, ათასობით მარხილი მიქროდა ყინულზე. ყველაფერი ბურუსში დანთქმულიყო. ერთი შვედი და ორი სხვაც კიდევ გაიყინენ იმ ღამეს. თორმეტიოდემ კი ფილტვები შესწირა. მეხომ საკუთარი თვალით ვიხილე ყინულჭრილის ფსკერი. მდოგვის საფენივით ყვითლად ბრჭყვიალებდა იქ ოქრო. აი, რატომ შევიტანე განაცხადი და ბალოებით შემოვსაზღვრე ის ადგილი იუკონზე. სწორედ ამიტომ ატყდა ორომტრიალი. შემდეგ კი იქ არაფერი აღმოჩნდა, სრულებით არაფერიმეთქი გეუბნებით, და დღემდე ვერ გამიგია, როგორ ძოხდა ყოველივე ეს.

შორტის ნაამბობი.

ჯონ მესნერი თათმანიანი ცალი ხელით სამართავ ლატანს ჩასჭიდებოდა და მარხილით კვალს მისდევდა, მეორეთი კი ლოყებსა და ცხვირს ისრესდა. იგი წამდაუწუმ ისრესდა ლოყებსა და ცხვირს. ნამდვილი რომ ვთქვათ, იშვიათად შეასვენებდა ხელს და ხანდახან, როცა სახე უფრო ეთოშებოდა, მეტი გაცხარებით განაგრძობდა სრესას. შუბლსა და ყურებს ბეწვის ქუდი უფარავდა. სახის დანარჩენ ნაწილს შეყინული ხშირი ოქროსფერი წვერი იცავდა.

მის უკან მძიმედ დატვირთული იუკონური მარხილი მისრიალებდა, ხოლო წინ საცოდავად მიბობღავდა მასში შებმული ხუთი ძაღლი. ღვედი, რომლითაც ისინი მარხილს ეზიდებოდნენ, მესნერს ფეხზე ედებოდა. რაკი მოსახვევი ბევრი ხვდებოდათ, მასაც ხშირად უწევდა გადაბიჯება. დროგამოშვებით ღვედს წამოედებოდა და ფორხილობდა. მესნერი უგერგილოდ მოქმედებდა. იგი ისე იყო დაღლილი, რომ ხანდახან მარხილი ფეხებზე გადაუვლიდა.

სწორ გზაზე რომ გავიდა,. სადაც მარხილი უმისოდაც წავიდოდა, მესნერმა სამართავ ლატანს ხელი უშვა და მარჯვენა რამდენჯერმე მძლავრად დაჰკრა მაგარ ხეს. იოლი არ იყო ხელში სისხლის მიმოქცევის აღდგენა. მაგრამ ერთი ხელით რომ ხეს ურტყამდა, მეორეთი განუწყვეტლივ ისრესდა ცხვირსა და ლოყებს.

„შეუძლებელია ასეთ ყინვაში მგზავრობა,“ — თქვა მან. იგი ხმამაღლა ლაპარაკობდა, როგორც ეს ხშირად მარტოობას შეჩვეულ ადამიანებს ჩვეიათ — „ამ სიცივეში უჭკუოს - მეტი გზას არავინ დაადგება. ოთხმოცი თუ არა, სამოცდაცხრამეტი გრადუსი ყინვა მაინც იქნება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესნერმა საათი ამოიღო, რამდენჯერმე ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და ისევ სქელი ბეწვის ქურქის შიგა ჯიბეში შეინახა. შემდეგ ეარიცხა სამხრეთისაკენ გადაჭიმული ცის თეთრი ზოლი შეათვალიერა.

„თორმეტი საათია," — წაიბუტბუტა მან. — „ცა კრიალაა, მზე კი არა ჩანს." ათი წუთის განმავლობაში კრიზტი აღარ დაუძრავს. მერე, თითქოს ლაპარაკი არ შეეწყვიტოს, ფიქრმიყოლებით განაგრძო: „ცოტა მანძილი გამოვიარე, შეუძლებელია ასეთ ყინვაში მგზავრობა."

„ჰო-უ!" უყვირა უცებ ძაღლებს და შეჩერდა. თავზარდაცემულმა, მარჯვენა ხელი მთლად არ გამიშშდესო, მომეტებულად დაუშინა სამართავ ლატანს.

„უბედურებო!" — მიმართა მან ძაღლებს, რომელნიც ყინულზე გაწვნენ სულის მოსათქმელად. გაშეშებულ ხელს მესნერი ისე ძალუმად ურტყამდა ხეს, რომ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა — „ისეთი რა დაგიშავებიათ, რომ ორფეხა ცხოველებმა მარხილში შეგაბეს, ყველა თქვენს ბუნებრივ მიდრეკილებას ლაგამი ამოსდეს და მონებად გაქციეს."

ანგარიშმიუცემლად, გაშმაგებით ისრესდა ცხვირს, რათა შიგ სისხლის მოძრაობა გამოეწვია. შემდეგ ძაღლები ფეხზე წამოჰყარა და გზას გაუდგა. იგი ყინულით დაფარულ დიდ მდინარეს მიუყვებოდა. მესნერის უკან ის რამდენიმე მილის მანძილზე მიიკლაკნებოდა, მერე კი ერთმანეთში უცნაურად გადახლართულ თოვლითა და გარინდებით დაყურსულ ქედებში იკარგებოდა; წინ ვდინარე აუარებელ ტოტს ქმნიდა და საკუთარ მკერდზე თავშესაფარს აძლევდა კუნძულებს, რომლებიც მდუმარებასა და სითეთრეს მოეცვა. არც ერთი სულიერი არ არღვევდა სიჩუმეს, არ ისმოდა მწერის ზუზუნიც. გაყინულ ჰაერს არ სერავდა ფრინველი. კაცის ჭაჭანება არსად იყო, არც რაიმე მისი ნიშანწყალი ჩანდა. მკვდრული ძილით ეძინა ქვეყანას.

თითქოს ყოვლისმომცველ აპათია დაეუფლაო, ჯონ მესნერს სიცივემ გონება დაუზრო. თავჩაქინდრული წინ მილასლასებდა, ყურადღებას არაფერს აქცევდა და ანგარიშმიუცემლად ისრესდა ცხვირსა და ლოყებს. სწორ გზაზე გავლისას გაშეშებულ ხელს ლატანს ურტყამდა.

მაგრამ ძაღლები ფხიზლობდნენ. ფეცრად ისინი შედგნენ და თავები პატრონისაკენ მოაბრუნეს. კითხვითა და მწუხარებით სავსე იყო მათი გამოხედვა. ყინვას დაეთრთვილა ყველა მათგანის ტუჩი და წამწამი. ისე გაითოშნენ და მოიქანცნენ, რომ დავარდნას არაფერი უკლდათ.

მესნერს უნდოდა გაერეკა ძაღლები, მაგრამ თავი შეიკავა, ძალა მოიკრიბა და ირგვლივ მიმოიხედა. ძაღლები ყინულჭრილს მიდგომოდნენ. ეს ნაპრალი არ იყო, არამედ ადამიანის მიერ სამნახევარი ფუტის სიგანის ყინულში ცულით გულმოდგინედ ამოჩეხილი ახალი ჭრილი. ყინულის სქელი ფენა მოწმობდა, რომ კარგახანია მისგან არავის უსარგებლია. მესნერმა თვალი მიმოავლო იქაურობას. ძაღლებმა უკვე მოძებნეს გზა. თვითეული მათგანის დაღრეჯილი და დათრთვილული ტუჩი მისჩერებოდა თოვლზე ძნელად შესამჩნევ ბილიკს, რომელიც მთავარი სამდინარო გზიდან უხვევდა და კუნძულის ნაპირს აღმა მიჰყვებოდა.

„დაე, აგრე იყოს ბეჩავებო!" — თქვა მან — „წავალ, ყველაფერს მივათვალ-მოვათვალიერებ, ჩემზე მეტად მაინც არ გენდომებათ დასვენება".

იგი ბილიკს შეუყვა და მიიმალა. ძაღლებს დაწოლა არც კი უფიქრიათ, მოუთმენლად ელოდებოდნენ მის გამოჩენას. ის რომ დაბრუნდა, მარხილის ცხვირზე მიბმული თოკი მოხსნა და მხრებზე დაიმაგრა. მერე ძაღლები მარჯვნივ მიაბრუნა და სანაპიროსკენ გარეკა. ძნელი იყო მარხილის ათრევა, მაგრამ ძაღლებს აღარ ახსოვდათ დაღლილობა და უკანასკნელი ძალების დაძაბვით წინ მიიწევდნენ. მოუთმენლობითა და სიხარულით აღსავსენი წკმუტუნებდნენ. როცა რომელიმე მათგანი ყინულზე დაცურდებოდა ან წაიბორძიკებდა, უკან მდგომი ფეხზე ჰკბენდა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ადამიანი გამამხნევებელი შეძახილებით ეხმარებოდა ძაღლებსაც მუქარას დააყოლებდა და მთელი ტანით თოკს აწვებოდა.

თავგამეტებული მონდომებით ძაღლებმა მარხილი ზევით აათრიეს. მერე მარცხნივ შეუხვიეს და პატარა, ძელურ ქოხს მიაშურეს. უკაცრიელი ქოხის ერთადერთ ოთახს რვა ფუტი სიგრძე და ათი ფუტი სიგანე ჰქონდა. მესნერმა ძაღლები გამოხსნა, მარხილი გადმოტვირთა და სადგომს დაეპატრონა. უკანასკნელ მგზავრს აქ ცოტა შეშა დაეტოვებინა. მესნერმა თავისი მსუბუქი რკინის ღუმელი დადგა და ცეცხლი შეანთო. მერე ზედ ხუთი გამხმარი ორაგული დააწყო ძაღლებისათვის. ყინულჭრილიდან წყალი ამოიღო და ჭურჭლები გაავსო.

სანამ წყალი ადუღდებოდა, მესნერს სახე ღუმელთან ახლოს ეჭირა. სქელი ყინულის ფენა, რომლითაც წვერი ჰქონდა დაფარული, დნობას იწყებდა. წვეთები ღუმელზე ეცემოდა და შიშინი გაჰქონდა. მესნერი თითებით იგლეჯდა ყინვის ლოლუებს და ისინი ხმაურით ეცემოდნენ იატაკზე.

გარეთ ძაღლები გააფთრებით აყეფდნენ, მაგრამ მესნერი თავის საქმეს განაგრძობდა. მას ესმოდა ძაღლების წკავწკავი და ყმუილი, მერე ვიღაცეების ხმაც გაიგონა. კარებზე დააკაკუნეს.

„შემოდით," — გასძახა მან დახშული ხმით, რადგან იმ წუთში ზედა ბაგეზე დარჩენილ ყინულის ნაჭერს ილოკავდა.

კარი რომ გაიღო, ორთქლის ბურუში გახვეულმა მესნერმა კარის ზღურბლთან ატუზული ქალი და კაცი შეამჩნია.

„შემოდით და კარი მიხურეთ," — მბრძანებლური კილოთი მიმართა მან.

სადგომში ისეთი ბუღი იდგა, რომ მესნერმა ძლივს გააჩრია შემოსულები. ქალს სახე გულმოდგინედ შეეფუთნა და მხოლოდ შავი თვალები მოუჩანდა. მამაკაციც შავთვალა იყო. სახე სუფთად გაეპარსა. ყინვით დაჩთვილული ულვაშები ტუჩებს უფარავდა.

„იქნება იცით, ახლომახლო სხვა სადგომი ხომ არ მოიპოვება?" — ჰკითხა მან მესნერს და ქოხის ღარიბ მოწყობილობას ახედ-დახედა. — „გვეგონა აქ არავინ იყო."

„ეს ქოხი ჩემი არ არის," — უპასუხა მესნერმა, — „მე თვითონ რამდენიმე წუთის წინ ვიპოვე იგი. შემოდით, მოეწყეთ. დავეტევით როგორმე. ღუმელის დადგმა აღარ დაგჭირდებათ. ოთახი ყველას იკუთვნის."

მესნერის ხმა რომ გაიგონა, ქალმა ცნობისმოყვარეობით შეხედა მას.

„გაიხადე!" — მიმართა ქალს მისმა თანამგზავრმა. — „მე წავალ ძაღლებს გამოვხსნი დ წყალს მოვიტან საჭმლის მოსამზადებლად."

მესნერმა გამხმარი თევზი აიღო და ძაღლებს წაუღო. ცოტახანს იმათ უთვალთვალებდა, სხვა ძაღლებმა საჭმელი არ წაართვანო. მერე ქოხში შემობრუნდა. ახალმოსულს უკვე მოესწრო მარხილის გადმოტვირთვა და წყალიც მოეტანა. მესნერის ყავადანი დუღდა. მან ჩაყარა ყავა, ნახევარი ჭიქა ცივი წყალიც თან ჩაუმატა და ღუმელიდან ჩამოდგა. შემდეგ რამდენიმე ცალი ორცხობილა დააწყო ზედ და ცერცვის შეჭამანდი გააცხელა, წინალამით რომ მოხარშა და გაყინული მთელი დღე მოჰქონდა.

ღუმელიდან რომ ჭურჭელი ჩამოდგა და ახალმოსულებს საჭმლის გაკეთების საშუალება მისცა, მესნერი ქვეშაგების თუთაზე ჩამოჯდა, კერძი სურსათის ყუთზე დაიდგა და ყბები აამოძრავა. ჭამის დროს გზისა და ძაღლების შესახებ ელაპარაკებოდა უცნობს, რომელსაც თავი ღუმელთან მიეახლოებინა და ულვაშებზე ყინვას იდნობდა. ქოხში ორი საწოლი იდგა. როცა მან ბოლოს ტუჩები გაითავისუფლა, ქვეშაგების შეკვრა ერთ-ერთ მათგანზე შეაგდო.

„ჩვენ აქ დავიძინებთ, თუ თქვენ ეს საწოლი არ გირჩევნიათ." — უთხრა მან მესნერს. — „თქვენ პირველი მოხვედით და არჩევანიც თქვენია."

„ჩემთვის სულერთია." — მიუგო მან. — „ორივე კარგია."

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მეორე საწოლზე გაშალა ლოგინი და კიდეზე მოთავსებული უცნობმა სამგზავრო საექიმო ჩანთა საბანქვეშ ამოდო ბალიშს ზურგვრად.

„ექიმი ხართ?“—ჰკითხა მესნერმა.

„დიახ“,—დაუდასტურა მან: — „მაგრამ გარწმუნებთ, კლონდაიკში პრაქტიკის მისაღებად არ მოვსულვარ.“

ქალი საჭმელს ამზადებდა, ხოლო მამაკაცი შაშხს ჭრიდა და ღუმელში შეშას უმატებდა. ქოხში მკრთალი სინათლე იდგა, რომელიც პატარა სარკმლიდან შემოდიოდა, სარკმელზე გაქონილი ქაღალდი იყო გაკრული. ამიტომ ჯონ მესნერმა კარგად ვერ გაარჩია, როგორი იყო ქალი. იგი არც ცდილა ამას. როგორც ჩანდა, ეს ქალი მას არ აინტერესებდა. მაგრამ ის, თავის მხრივ, ხშირად აპყრობდა ცნობისწადილით სავსე მზერას იმ კუთხისკენ, სადაც მესნერი იჯდა.

„ოჰ, დიდებულია აქ ცხოვრება!“ — აღტკინებით წარმოთქვა ექიმმა და ღუმელის მილზე დანის ლესვას თავი ანება. — „ო, როგორ მიტაცებს ყოველდღიური ჭიდილი სიცოცხლისათვის, ბრძოლა საკუთარი ლუკმისათვის, მიყვარს მისი პრიმიტიულობა, მისი რეალურობა!“

„აქ ტემპერატურა მართლაც რომ საკმაოდ რეალურია,“ — გაეცინა მესნერს.

„იცით, ახლა რამდენი გრადუსია?“ — შეეკითხა ექიმი.

მან თავი გააქნია.

„მაშინ მე გეტყვით. სპირტის თერმომეტრი, მარხილში რომ მაქვს, სამოცდათხუთმეტ გრადუს ყინვას უჩვენებს.“

„ე. ი. ას ექვსს — გაყინვის წერტილს ქვემოთ. მგზავრობისათვის მეტისმეტია, არა?“

„ნამდვილი თვითმკვლელობაა“ — დასძინა ექიმმა, — „ადამიანს ღონე ელევა. მძიმედ სუნთქავს, ხარბად ნთქავს გათოშილ ჰაერს, ქსოვილების კიდეებს რომ უყინავს. მერე მას მშრალი, მკვეთრი ხველება შემოეჩვევა და მკვდარ ქსოვილს ამოახველებს. მომავალ გაზაფხულზე კი იგი კვდება ფილტვების ანთებისაგან, რომელიც ვერ გაუგია საიდან დაემართა. თუ ტემპერატურა ნულს ქვემოთ 50 გრადუსამდე მაინც არ აიწია, ამ ქოხიდან ერთ კვირას ფეხს არ მოვიცვლი.“

„აბა, შეხედე ტეს,“ — დააყოლა მან.—„მგონი, ყავა კიდევაც დუღს!“

ქალის სახელი რომ მოესმა, ჯონ მესნერი უეცრად შეკრთა, მერე მას ელვისებური მზერა ესროლა და სახე მოეღუშა. დიდი ხნის მოშუშებულმა იარამ პირი მოიხსნა. მაგრამ იმ წამსვე დაიოკა მღელვარება, სახეზე სიმშვიდე გამოეხატა, თუმცა შინაგანად აფორიაქებული და უკმაყოფილო იყო, რადგან მკრთალი შუქი ქალის გარკვევით დანახვის საშუალებას არ აძლევდა.

ქალმა ანგარიშმიუცემლად, პირველ რიგში, ღუმელიდან ყავადანი გადმოდგა და მერე მესნერს დააკვირდა. მას უკვე აღარაფერი ემჩნეოდა, საწოლის კიდეზე იჯდა და გულგრილად დაცქეროდა საკუთარ მოკასინებს. მაგრამ შემდეგ, ტესი რომ კვლავ თავის საქმეს მიუბრუნდა, მესნერმა სწრაფად შეხედა მას და ანაზდად მობრუნებულმა ქალმა დაიჭირა ეს გამოხედვა. მესნერმა მზერა საჩქაროდ ექიმზე გადაიტანა და ბაგეზე ღიმილი აუთამაშდა, ეს რა ხაფანგი დამიგოო.

ქალმა ყუთიდან სანთელი ამოიღო და აანთო. მესნერისათვის ერთი შეხედვაც საკმარისი აღმოჩნდა მის განათებულ სახეზე. პატარა ქოხში ქალმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა და მას გვერდით გაუჩერდა. სანთელი განზრახ მესნერის თავს მიუახლოვა და სახეში შეაჩერდა. ქალის გაფართოებული თვალები მოწმობდნენ, რომ მან იცნო ის. მესნერმა მშვიდად გაუღიმა.

„რას ეძებ, ტეს?“ — ჰკითხა ექიმმა.

„თმის დასამაგრებელს,“ — უპასუხა მან და საწოლზე დადებულ ტანსაცმლის ფუთა გახსნა.

ახალმოსულებმა საჭმელი საკუთარ ყუთზე დადგეს და თვითონ მესნერის პირდაპირ მოთავსდნენ. ის კი ლოგინზე გაიშხლართა და ხელები თავქვეშ ამოიწყო. ასე გეგონებოდათ, ამ მცირე ქოხში სამივე ერთ მაგიდას შეეძოსხდომიაო.

„საიდან ხართ?“ — იკითხა მესნერმა.

„სან-ფრანცისკოდან,“ — აუხსნა ექიმმა, — „თუმცა, ორი წელია აქა ვარ.“

„მეც კალიფორნიელი გახლავართ,“ — განაცხადა მესნერმა.

ქალმა ვედრებით შეხედა მას. მაგრამ მან გაიღიმა და განაგრძო — „ბერკლიდან.“

ექიმი დაინტერესდა.

„კალიფორნიის უნივერსიტეტიდან?“ — შეეკითხა.

„დიახ. 86 წელს დავამთავრე.“

„ერთი შეხედვით, პროფესორი მეგონეთ,“ — დასძინა ექიმმა.

„სამწუხაროა,“ — გაუღიმა მესნერმა. — „მე მირჩევნია, ვინმეს ოქროს მაძიებელი ანდა ძაღლების გამრეკი ვეგონო“.

„ჩემის აზრით, იგი ისე ჰგავს პროფესორს, როგორც შენ ექიმს,“ — ჩაურთო ქალმა.

„გმადლობთ,“ — უთხრა მესნერმა და კვლავ მამაკაცს მიუბრუნდა: „სხვათაშორის, ექიმო, რა გვარი ხართ?“

„ჰეითორნი, — მშრალ სიტყვას თუ დაიჯერებთ. სავიზიტო ბარათები ცივილიზაციასთან ერთად მივატოვე.“

„და თქვენ მისის ჰეითორნი, არა?“ — გაუღიმა მესნერმა ქალს და თავი დაუკრა.

მან ბრაზიანი თვალები შეაგება.

ახლა ჰეითორნს თვითონ უნდოდა გაეგო მისი გვარი, მაგრამ კითხვა რომ დააპირა, მესნერმა დაასწრო:

„ექიმო, ხომ არ შეგიძლიათ დააკმაყოფილოთ ჩემი ცნობისმოყვარეობა! ამ ორი-სამი წლის წინათ პროფესორთა წრეებში სკანდალური ამბავი მოხდა. ერთ-ერთი პროფესორის ცოლი, — მაპატიეთ, მისის ჰეითორნ, — გაიქცა რომელიღაც სან-ფრანცისკელ ექიმთან ერთად. ვიცოდი მისი გვარი, მაგრამ ახლა არ მაგონდება. გახსოვთ ეს შემთხვევა?“

ჰეითორნმა თავი დაუქნია.

„ამ ამბავმა თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მისი გვარი იყო უომბლი—გრეჰემ უომბლი. კარგი პრაქტიკა ჰქონდა. მე შორიდან ვიცნობდი მას.“

„საინტერესოა, რა მოუვიდათ? ბევრი ვეცადე, მაგრამ მათი ასავალ-დასავლის ვერაფერი გავიგე. იქნებ თქვენ რაიმეს მოჰკარით ყური. ისინი უკვალოდ გაჰქრნენ.“

„ეს მართალია. უომბლმა ყველა კვალი მარჯვედ მოსპო.“ — ჰეითორნმა ჩაახველა. — „მაშინ ხმა გავარდა, თითქოს ისინი სამხრეთ ზღვებისკენ გაემგზავრნენო და სავაჭრო ხომალდი, რომლითაც მიცურავდნენ, ტაიფუნის დროს ჩაიძირაო. ბევრ ამის მაგვარს ლაპარაკობდნენ კიდევ.“

„პირველად მესმის,“ — თქვა მესნერმა, — „თქვენ გახსოვთ ეს ამბავი, მისის ჰეითორნ?“

„საუცხოოდ.“ — მშვიდად მიუგო ქალმა, მიუხედავად სახეში მოწოლილი სიბრაზისა, და, ჰეითორნს რომ არ შეემჩნია, თავი მიიბრუნა.

ამ უკანასკნელს კიდევ უნდოდა მესნერისათვის გვარი ეკითხა, მაგრამ მან კვლავ დაასწრო:

„ის უომბლი, ამბობენ, ძალიან ლამაზი იყო და... ქალებში წარმატებით სარგებლობდაო.“

„შესაძლოა აგრეც იყო, მაგრამ ამ საქმემ საბოლოოდ მოატეხა კისერი,“ — ჩაიბუზღუნა ჰეითორნმა.

„ის ქალი კი ნამდვილი მეგერა ყოფილა, ყოველ შემთხვევაში მე ასე მითხრეს. უმეტესობა ბერკლში იმ აზრისა იყო, რომ მის ხელში ქმრის ცხოვრება სამოთხეს ნაკლებად ჰგავდაო.“

„მე ეს არ გამიგონია,“ — უპასუხა ჰეითორნმა, — „სან-ფრანცისკოში სულ სხვა რამეს ამბობდნენ.“

„ტანჯული ქალი, ა? — ცოლ-ქმრული მოვალეობით ჯვარცმული?“

ექიმმა თავი დაუქნია. მესნერის თვალებში მსუბუქი ცნობისწადილი აციგლიგდა, და მან განაგრძო:

„ეს მოსალოდნელიც იყო, — აქ საკითხის ორი მხარეა. — სანამ ბერკლში ვცხოვრობდი, ჩემთვის მხოლოდ ერთი მხარე იყო ცნობილი. როგორც ჩანს, ეს ქალი ხშირად დადიოდა სან-ფრანცისკოში.“

„გეთაყვა, ყავა დამისხი,“ — მიმართა ჰეითორნმა.

ქალმა ჭიქა გაუვსო და ძალდაუტანებლად გაიცინა.

„როგორ ბებრუხანებივით ჭორაობთ,“ — უსაყვედურა ქმარს.

„ეს მეტად საინტერესოა,“ — გაულიმა მესნერმა და მერე ექიმს მიუბრუნდა: „მე მგონია, ქმარი დიდი ვერაფერი სახეირო რეპუტაციით სარგებლობდა სან-ფრანცისკოში, ა?“

„პირიქით, იგი მაღალზნეობრივ პიროვნებად ითვლებოდა.“ — ზედმეტი თავგამოდებით თქვა ჰეითორნმა, — „ცივსისხლიანი იყო, ნამდვილი პედანტობის განსახიერება.“

„თქვენ მას იცნობდით?“

„თვალიც არასოდეს მომიკრავს — მე უნივერსიტეტის წრეებში არ ვტრიალებდი.“

„ძვლავ საკითხის ერთი მხარე!“ — ისეთი ტონით დასძინა მესნერმა, თითქოს საქმის ყოველმხრივ მიუკერძებელ განხილვას შეუდგაო. — „ეს ბართალია, რომ გარეგნობით იგი, თუ დიდი ბედენა ვერა, სხვებზე ნაკლებიც არ ყოფილა. სტუდენტთა სპორტულ შეჯიბრებებს ცხოველი ინტერესით ეკიდებოდა. ცოტაოდენი ტალანტიც გააჩნდა. ერთხელ საშობაო პიესაც კი დასწერა, რომელმაც კარგი შეფასება დაიმსახურა. მე ისიც გავიგონე, მას ინგლისური განყოფილების კათედრის გამგედ ნიშნავენო. მაგრამ იმ ხანებში სწორედ ეს ამბავი მოხდა. მერე მან ყველაფერზე უარი თქვა და სადღაც გადაიკარგა. როგორც ჩანს, ამ საქმემ ბოლო მოუღო მის კარიერას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან მას დაღუპულ ადამიანად სთვლიდნენ. ამბობენ, ცოლს თავზე ევლებოდაო.“

ჰეითორნმა ჭიქა გამოსცალა, გულგრილად რაღაც ჩაიდუდუნა და ყალიონი გააჩაღა.

„კიდევ კარგი, რომ ბავშვები არ ჰყავდათ,“ — განაგრძობდა მესნერი. მაგრამ ღუმელს რომ შეხედა, ჰეითორნმა ქუდი და ხელთათმანები აიღო.

„წავალ, ცოტა შეშას მოვიტან“, — თქვა მან. — „შემდეგ მოკასინებს გავიხდი და რიგიანად მოვიწყობი.“ — კარი რომ მიიხურა, ქოხში კარგახანს სიჩუმე ჩამოვარდა. მესნერი გაუნძრევლად იწვა ლოგინზე. ქალი პირდაპირ კუთხეზე იჯდა.

„რას აპირებთ?“ — უცებ ჰკითხა ქალმა.

მესნერმა ყოყმანით შეხედა მას. „თქვენის აზრით, მაინც რა უნდა გავაკეთო? იმედი მაქვს, სცენის გათამაშება არ დამჭირდება. ხომ ხედავთ, საშინლად დაღლილი ვარ და ლოგინზე წოლა მეტად მსიამოვნებს.“

სიბრაზისაგან ქალმა ქვედა ბაგეზე იკბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მაგრამ...“ ცხარედ დაიწყო მან, მერე ხელი ხელს მოუჭირა და დადუმდა.

„იმედი მაქვს, არ მომთხოვთ მისტერ... ჰეითორნის მოკვლას,“ — ეჭვიანად მესნერმა თითქმის მავედრებელი ხმით. — „ეს ერთობ სამწუხარო იქნებო-და და, გარწმუნებთ, სრულებით საჭირო არ არის.“

„მაგრამ თქვენ უნდა იღონოთ რამე,“ — იყვირა ქალმა.

„პირიქით, სავსებით მოსალოდნელია არაფერიც არ გავაკეთო.“

„თქვენ აქ დარჩებით?“

მან თავი დაუქნია.

ქალმა სასოწარკვეთილებით შეათვალიერა ქოხი და ლოგინი, მეორე საწოლზე რომ იყო გაშლილი.

„შალე დაღამდება. თქვენი აქ დარჩენა შეუძლებელია, შეუძლებელი! გეუბნებით, არ შეიძლება-მეთქი!“

„რატომ არა, შეიძლება. ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ ეს ქოხი მე პირველმა ვიპოვე და თქვენ ჩემი სტუმრები ხართ.“

ქალმა ისევ ახედ-დახედა ოთახს და, როცა თვალები მეორე საწოლს მიებჯინა, ისინი შიშით აღივსნენ.

„მაშინ ჩვენ წავალთ,“ — შეუვალი ხმით განაცხადა მან.

„ეს შეუძლებელია. თქვენ, სწორედ იმ მშრალი, მკვეთრი ხველებით ახველებთ, რომელიც ასე ზუსტად აღწერა მისტერ... ჰეითორნმა. თქვენი ფილტვები უკვე ცოტათი გაცვეთილია. ის ხომ ექიმია და ეს საქმე კარგად ესმის. იგი ამის უფლებას არ მოგცემთ.“

„კი მაგრამ, მაშინ თქვენ რაღას იზამთ?“ — ისევ იკითხა მან თავშეკავებული სიმშვიდით, რაც კარგს არაფერს მოასწავებდა.

მესნერმა მამობრივი მზრუნველობით შეხედა ქალს. მისი მზერა უღრმეს თანაგრძნობასა და მოთმინებას გამოხატავდა.

„ძვირფასო ტერეზა, მე ხომ გითხარით, არ ვიცი-მეთქი. ამაზე ჯერ არ მიფიქრია.“

„ოჰ, თქვენ მე ჭკუიდან შემშლით!“ — უთხრა ქალმა. მერე ზეზე წაშოიჭრა და უმწეო სიბრაზისაგან ხელები დაიმტვრია. „არასოდეს თქვენ ასეთი არ ყოფილხართ.“

„მართალია. მთელი ჩემი არსებით თვინიერებისა და მორჩილების განსახიერება ვიყავი,“ — დაეთანხმა ის. — „განა ამისათვის არ მიმატოვეთ?“

„თქვენ ძალზე გამოცვლილხართ. ეგ შემაძრწუნებელი სიმშვიდე მაშინებს. თითქოს ვგრძნობ, რომ რაღაც საშინელს ამზადებთ. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ნუ ჩაიდენთ გამოუსწორებელს, ნუ აღელდებით.“

„მას შემდეგ, რაც თქვენ წამოხვედით, მე არ ვიცი რა არის აღელვება,“ — შეაწყვეტინა მესნერმა.

„თქვენ შესამჩნევად წინ წასულხართ,“ — მკვახედ მოუჭრა მან.

მესნერი ღიმილით დაეთანხმა.

„ვიდრე მე მოვიფიქრებდე, რა უნდა ვქნა, უთხარით მისტერ... ჰეითორნს ჩემი ვინაობა. ეს კი ჩვენს ქოხში ყოფნას, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო გააადვილებს.“

„რატომ დამედევნეთ ამ საძაგელ ქვეყანაში?“ — მოულოდნელად ჰკითხა ქალმა.

„არ გეგონოთ, რომ აქ თქვენს საძებნელად გამოვეშურე, ტერეზა, ნუ მოატყუებთ თქვენს პატივმოყვარეობას. ჩვენი შეხვედრა სავსებით შემთხვევითია. როცა უნივერსიტეტთან კავშირი გავწყვიტე, სადმე ხომ უნდა წავსულიყავ. სიმართლე რომ ვთქვა, კლონდაიკში სწორედ იმიტომ მოვედი, რომ აქ თქვენს ნახვას ყველაზე ნაკლებ მოველოდი.“

გარეთ საგდულის ჩხარუნი გაისმა. მერე კარი გაიღო და შეშა ამოღლიავე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ჰეითორნი გამოჩნდა. ტერეზა მაშინვე, თითქოს აქ არაფერიაო, ჰურშლის ალაგებას შეუდგა. ჰეითორნი კვლავ შეშის მოსატანად გავიდა.

„რატომ არ გაგვაცანი ერთმანეთი?“ — შეეკითხა მესნერი.

„მე ვეტყვი მას. ნუ გგონიათ, რომ მეშინია.“

„არასოდეს შემიმჩნევია, რომ თქვენ რაიმესი განსაკუთრებით გშინებოდეთ.“

„აღსარების თქმისაც არ შემეშინდება.“ — რბილად უპასუხა ქალმა და მორჩილება აისახა.

„ვშიშობ, რომ თქვენ აღსარებას შენიღბული ინტერესებისათვის გამოიყენებთ, მოხერხებულად ეცდებით საკუთარ სარგებლობას, თვითგანდიდებას ღმერთის ხარჯზე.“

„მეტად მწიგნობრულად მსჯელობთ,“ — ტუჩები აიბზუა მან, თუმცა ხმაში მეტი სირბილე შეეპარა.

„ვერ ვიტან ასეთ ბრძნულ კამათს. მიუხედავად ამისა, არ შემეშინდება პატიების თხოვა.“

„აქ საპატიებელი არაფერია, ტერეზა. ნამდვილად მე უნდა გითხრათ მადლობა. ისიც მართალია, რომ პირველად ძალზე განვიცდიდი, მაგრამ შემდეგ გაზაფხულის მაცოცხლებელმა ფშვინვამ ბედნიერება მაგრძნობინა, აუწერელი ბედნიერება, და ეს ჩემთვის საოცარი აღმოჩენა იყო.“

„რა იქნებოდა, რომ დაგბრუნებოდით?“ — ჰკითხა ქალმა.

„ეს ერთობ მძიმე მდგომარეობაში ჩამაყენებდა,“ — მიუგო მან და უცნაურად შეხედა.

„მე თქვენი ცოლი ვარ, ჩვენ ხომ განქორწინებული არა ვართ.“

„არა,“ — ჩაფიქრდა იგი, — „ამისთვის არ მიზრუნია. მაგრამ პირველ რიგში ამ საქმეს მოვაგვარებ.“

ქალი მივიდა მასთან და მკლავზე ხელი მოჰკიდა.

„მე თქვენ აღარ გჭირდებით, ჯონ?“ — მისი ხმა სავსე იყო ალერსით, ხელის შეხება კი — ცთუნებით.

„რომ გითხრათ შევცდი-მეთქი? რომ გითხრათ მეტად უბედური ვარ-მეთქი? — მე მართლაც შევცდი, ნამდვილად უბედური ვარ.“

მესნერი შიშმა შეიპყრო. ის გრძნობდა, როგორ სუსტდებოდა ქალის მსუბუქი ხელის შეხებისაგან, როგორ ეცლებოდა ნებისყოფა, სულის სიმშვიდე. ქალი ნაზად უცქერდა და ისიც თანდათან დნებოდა. ცხადად ხედავდა, რომ უფსკრულში ვარდებოდა, მაგრამ მბიძგავ ძალასთან შებრძოლება აღარ შეეძლო.

„მე ისევ თქვენი ვიქნები, ჯონ, თქვენი ვიქნები დღესვე... ახლავე.“

მესნერი ცდილობდა გასხლტომოდა ხელს, რომელიც მაჯლაჯუნასავით აწვა — ქალის ხმა ლორელაის ტკბილ სიმღერასავით ელამუნებოდა. თითქოს სადღაც შორს მუსიკას უკრავდნენ და აკორდები მთელ სხეულში ეღვრებოდა.

უცებ იგი წამოიჭრა, მოსახვევად გამზადებული ქალის ხელები მოიშორა და კარისკენ გახტა დაფეთებულივით.

„საშინელებას ჩავიდენ!“ — იყვირა მან.

„მე ხომ გაგაფრთხილეთ, არ აღელდეთ-მეთქი...“ — გაიცინა ქალმა და ჰურშლის რეცხვას მიუბრუნდა. „არავის თქვენ არ უნდიხართ. ეს მხოლოდ ხუმრობა იყო. მე ბედნიერი ვარ მის ხელში.“

მაგრამ მესნერმა არ დაუჯერა. მას ახსოვდა, რა ადვილად იცვლიდა ის ქალი ტაქტიკას. ამჯერადაც ასე მოიქცა. იგი სხვის ხელში თურმე [illegible] რია და აღიარებს შეცდომას. მესნერის თავმოყვარეობა დაკმაყოფილებული იყო. ქალს უნდოდა დაბრუნება, მაგრამ მას აღარ სურდა ის. მისდაუნებურად, ხელით კარის ურდულს მისწვდა.

„ნუ გარბიხართ, არ გიკბენთ," — დასცინა ქალმა.

„მე არ გავრბივარ," — ბავშვური სიფიცხით მიახალა მან და ხელთათმნები ჩამოიცვა, — „წყალი უნდა მოვიტანო". შემდეგ კარი გააღო და შემოტრიალდა.

ეს თქვა და ცარიელ ვედროებს წამოავლო ხელი.

„არ დაგავიწყდეთ, მისტერ... ჰეითორნს უთხარით ვინცა ვარ."

მესნერმა ჩაამტვრია თხელი ყინული, ერთ საათში რომ გადაკვროდა ყინულჭრილის ძირს და ვედროები წყლით აავსო, მაგრამ ქოხში დაბრუნებას არ ჩქარობდა. ვედროები გზაზე დადგა და, რომ არ გათოშილიყო, ბოლთას სცემდა. ყინვა საშინლად იკბინებოდა. ბოლოს მას შუბლი მოეწმინდა და სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება გამოეხატა. წვერი ყინვას დაერთვილა. უკვე მოიფიქრა როგორ მოქცეულიყო და გაფითრებულ ტუჩებზე კმაყოფილების ღიმილი მოეფინა. მერე ვედროები აიღო და ქოხისკენ გაემართა.

შიგ რომ შევიდა, ღუმელთან მდგომ ექიმს მოჰკრა თვალი. სახის გამომეტყველება მას დაძაბული და გაუბედავი ჰქონდა. მესნერმა ვედროები დადგა.

„მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, გრეჰემ უომბლ," — ოფიციალური ტონით მიმართა მესნერმა, თითქოს ეს-ეს არის ერთმანეთი გაიცნესო.

მას ხელი არ გაუწვდია. უომბლი უხერხულად იშმუშნებოდა. ამ წუთში მას შესძულდა მესნერი ისე, როგორც სძულთ ხოლმე ადამიანი, რომელსაც ვნება მიაყენეს.

„მაშ ეს თქვენა ხართ, მეგობარო," — თითქოს გაიოცა მესნერმა. — „კარგია, კარგი. მე მართლაც მიხარია, რომ შეგხვდით. მინდოდა გამეგო... თუ რა ნახა ტერეზამ თქვენში და კიდევ, თუ შეიძლება ასე ითქვას, რითა ხართ მიმზიდველი. ძალიან კარგია, ძალიან კარგი."

მერე მას გასაყიდი ცხენივით თავიდან ფეხებამდე ახედ-დახედა.

„მე თქვენ გაგიგეთ," — დაიწყო ჰეითორნმა.

„ო, რას ამბობთ," — შეაწყვეტინა მესნერმა გაზვიადებული ვულგრფელობით, — „ამაზე ლაპარაკიც არა ღირს. მაინტერესებს მხოლოდ, რას იტყოდით ტერეზაზე. გაგიმართლათ მოლოდინი? კარგად იქცეოდა? თქვენი ცხოვრება მას შემდეგ, ალბათ, ტკბილ სიზმარს ჰგავს, ხომ?"

„ნუ სულელობთ," — ჩაერია ტერეზა.

„მე იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ," — უკმაყოფილოდ მოუჭრა მესნერმა.

„ყოველ შემთხვევაში, გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოთ", — შეუტია უომბლმა. — „ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რას აპირებთ?"

მესნერმა თავი მოიკატუნა და უმწეოდ ჩაილაპარაკა:

„მართალი გითხრათ, არ ვიცი რა ვქნა. ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალს ადვილად ვერ მონახავს კაცი."

„სამივე ამაღამ ვერ დავრჩებით ქოხში."

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესნერი დაეთანხმა.

„მაშინ ვინმე უნდა წავიდეს.“

„ესეც უდაოა,“ — კვერი დაუკრა მესნერმა. — „როცა სამი სხეული მოცემულ სივრცეში ერთდროულად ვერ თავსდება, ერთ-ერთი უნდა მოეცალოს.“

„ეს ერთ-ერთი თქვენ იქნებით,“ — მტკიცედ განაცხადა უომბლმა. — „უახლოეს სადგომამდე ათი მილი იქნება, მაგრამ თქვენ ამ მანძილს როგორმე გაივლით.“

„აი ეს არის თქვენი მსჯელობის პირველი შეცდომა,“ — შეაწყვეტინა მესნერმა,— „რატომ მაინცდამაინც მე უნდა წავიდე? მე პირველმა ვიპოვე ეს ქოხი.“

„მაგრამ ტესი ხომ ვერ წავა. ფილტვები უკვე გაციებული აქვს,“ — აუხსნა უომბლმა.

„გეთანხმებით. ასეთ ყინვაში იგი ვერ გარისკავს ათი მილის გავლას. გამოდის, რომ ის უნდა დარჩეს.“

„მაშინ ისე იქნება, როგორც მე ვთქვი,“ — გადაწყვეტით განაცხადა უომბლმა.

მესნერმა ჩაახველა.

„თქვენი ფილტვები ხომ წესრიგშია?“

„დიახ, მერე რა?“

მესნერმა კვლავ ჩაახველა და გულგრილი ტონით, ნელა წარმოთქვა:

„არაფერი, გარდა იმისა, რომ თქვენივე მსჯელობის თანახმად, არ გაგიჭირდებათ ამ ყინვაში რაღაც ათიოდე მილის გავლა. თქვენ ამას როგორმე მოახერხებთ.“

უომბლმა დაეჭვებით შეხედა ტერეზას და მის თვალებში საამო გაოცების შუქი შენიშნა.

„აბა რას იტყვი?“ — შეეკითხა.

ქალი ყოყმანობდა. უომბლს ბოღმისაგან სახე მოეღუშა და მესნერს მიუბრუნდა:

„კმარა! თქვენი აქ დარჩენა შეუძლებელია.“

„რატომ? შეიძლება.“

„ნებას არ მოგცემთ. აქ მე ვარ ბატონ-პატრონი,“— მხრები შეაქანა უომბლმა.

„მე მაინც დავრჩები,“ — ჯიუტობდა მესნერი.

„გაგაგდებთ.“

„დავბრუნდები.“

უომბლი ერთ წამს შეჩერდა, რათა ხმისთვის მეტი სიმტკიცე მიეცა და მღელვარება დაეცხრო. მერე მან ნელი, თავშეკავებული ხმით განაგრძო:

„გამიგონეთ მესნერ, თუ არ წახვალთ, მაგრად მიგბეგვავთ. აქ კალიფორნია როდია. ამ მუშტებით გვერდებს დაგიზელთ.“

მესნერმა მხრები აიჩეჩა.

„თუ თქვენ ამას ჩაიდენთ, მე დავუძახებ ოქროს მაძიებლებს და ვისეირებ, როცა პირველსავე ხეზე ჩამოგკიდებენ. აქ კალიფორნია არ არის. ოქროს მაძიებლები უბრალო ხალხია და ჩემთვის საკმარისი იქნება მათ ნაცემი ადგილები ვაჩვენო, ვუამბო სიმართლე თქვენს შესახებ და უფლება ვანვაცხადო საკუთარ ცოლზე.“

გაციფრულია ეროვნული ბიბლიოთეკის

ქალმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ უომბლი დააცხრა თავს.

„შენ შენთვის იყავი!“ — დაუყვირა მან.

„გეთაყვა, ნუ ჩაგვერევით, ტერეზა,“ — სავსებით საწინააღმდეგო ტონით მიმართა მესნერმა.

სიბრაზისა და მღელვარებისაგან ქალს მშრალი, მჭახე ხველება აუტყდა. სახეში სისხლი მოაწვა, ცალი ხელი მკერდზე მიიდო და შეტევის დაცხრომას დაელოდა.

ხველების ხმა რომ გაიგონა, უომბლი უფრო მოიღუშა.

„რაღაც უნდა გადაწყდეს!“ — თქვა მან. — „მისი ფილტვებით ღია ჰაერზე გასვლა არ შეიძლება. სანამ ტემპერატურა არ აიწევს, ის ვერსად წავა. გარდა ამისა, არ ვაპირებ იგი თქვენ დაგითმოთ.“

მესნერმა ხმა გაიწმინდა, ჩაახველა და მერე ნახევრად ბოდიშის კილოთი თქვა:

„მე ფული მჭირდება.“

უომბლის სახე მყისვე ზიზღით აღივსო. ბოლოსდაბოლოს, მესნერი მასზე საძაგელი აღმოჩნდა, სამარცხვინოდ დაეცა.

„თქვენ ფულით გატენილი ტომარა გაქვთ“,— განაგრძო მესნერმა, — „მარხილიდან რომ გადმოგქონდათ, მაშინ დავინახე“.

„რამდენს მოითხოვთ?“— შეეკითხა უომბლი. მისი ხმა ისეთსავე ზიზღს გამოხატავდა, როგორსაც სახე.

„მე დაახლოებით ვივარაუდე ტომარაში ჩაყრილი ოქროს რაოდენობა და მგონია... ის ოც გირვანქას გადააჭარბებს. რას იტყვით ოთხი ათასზე?“

„მაგრამ ეს ხომ მთელი ჩემი ავლადიდებაა!“— წამოიძახა უომბლმა.

„სამაგიეროდ ტერეზა ხომ თქვენია“,— ანუგეშა მესნერმა,— „იგი ამ ფასად უთუოდ ღირს—ხომ ხედავთ, რას ვიმეტებ. ჭეშმარიტად, ეს სწორედ შესაფერისი თანხაა“.

„მაგრე იყოს!“— უომბლი ოქროთი გავსებულ ტომარასთან მიიჭრა. — „ოღონდ ჩქარა მოვრჩე ამ საქმეს. ო, თქვე არარაობავ!“

„ახლა კი ცდებით,“— ღიმილით შეედავა მესნერი, — „განა ეთიკის თვალსაზრისით ის კაცი, ქრთამს რომ იძლევა, უკეთესია იმაზე, ვინც ამ ქრთამს იღებს? ნაქურდალის შემნახველი ისეთივე ცუდი ადამიანია, როგორც ქურდი. ამიტომ თავს ნუ დაიმშვიდებთ ვითომდა მორალური უპირატესობით ამ პატარა საქმეში.“

„ჯანდაბას თქვენი ეთიკა!“ — აფეთქდა უომბლი,—„აქ მოდით და მიყურეთ ოქროს აწონვაზე. მე შემიძლია მოგატყუოთ.“

ქალს კი, საწოლს რომ მიყრდნობოდა, ახრჩობდა სიბრაზე და საკუთარი უძლურების გრძნობა, როცა ხედავდა, როგორ სწონიდნენ ყუთზე დადგმულ სასწორზე მის საფასურ ყვითელ ოქროს. რაკი სასწორი მომცრო იყო, ნაწილ-ნაწილ წონიდნენ. და მესნერიც ზუსტად ამოწმებდა ანგარიშს.

„აქ ბევრი ვერცხლია,“ — შენიშნა მან, ტომარას რომ თავი მოუკრა. — „არა მგონია, რომ წმინდა წონამ თექვსმეტს გადააჭარბოს გირვანქაზე. თქვენ მე ცოტათი გამაცურეთ, უომბლ.“

მერე მან ფრთხილად ასწია ტომარა, როგორც ეს მის სიმდიდრეს შეეფერებოდა, და მარხილისაკენ წაიღო. უკან რომ დაბრუნდა, ჭურჭელი შეაგროვა, სასურსათო ყუთი შეკრა და ლოგინი აკეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მარხილის დატვირთვა მოათავა და უკმაყოფილო ძაღლები შეაბა, იგი ქოხში შემობრუნდა ხელთათმანებისათვის.

„მშვიდობით, ტეს!“ — კარიდან დაუძახა მესნერმა.

ქალი მოტრიალდა, ეტყობოდა, რაღაცის თქმა სურდა, რათა ბოლმა მოეკლა.

„მშვიდობით, ტეს!“ — რბილად გაიმეორა მან.

„მხეცი!“ — ძლივს მოახერხა ქალმა.

იგი შებრუნდა და ბარბაცით მივიდა ლოგინთან. მერე ზედ პირქვე დაემხო და ქვითინი აუვარდა.

„მხეცები! მხეცები!“

მესნერმა კარი ნელა გამოიხურა, ძაღლები გარეკა და, ქვევით რომ ჩავიდა, უდიდესი კმაყოფილების გრძნობით გამოხედა ქოხს. მარხილი ყინულჭრილთან შეაყენა და ოქროთი გატენილი ტომარა გადმოიღო. წყალს უკვე გადაჰკროდა ყინულის თხელი ფენა. მან იგი მჯიღით ჩაამტვრია, მერე ტომარას თავი მოხსნა და ოქროს წყალში გადაუძახა. აქ მდინარე თხელი იყო და მესნერმა ორი ფუტის სიღრმეზე დაინახა ფსკერი, რომელიც ყვითლად ელვარებდა მიმწუხრის მკრთალ შუქზე. მან ჩააფურთხა შიგ.

ძაღლები იუკონისაკენ გარეკა. ისინი საწყალობლად წკმუტუნებდნენ და ურჩობდნენ. მარჯვენა ხელით რომ სამართავი ლატანი ეჭირა, მესნერი მარცხენათი ცხვირსა და ლოყებს ისრესდა. როცა ძაღლებმა მოუხვიეს, იგი ღვედს წამოედო და წაიბორძიკა.

„აბა, მოუსვით, დაფეხვილებო!“ — დასჭყივლა მან, — „აბა, მოუსვით!“

ინგლისურიდან თარგმნა **გ. მაჭუტაძემ.**

ნახატი ნ. ოსკანოვისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იასონ ცერცვაძე

სამშობლოსათვის თავდადებული

მიმდინარე წლის 23 თებერვალს საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს ორმოცი წელი შეუსრულდათ. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი მთელმა ჩვენმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა.

სამოქალაქო ომისა და უცხოეთის სამხედრო ინტერვენციის მკაცრ წლებში ახალგაზრდა წითელმა არმიამ სასტიკი დამარცხება აგემა საბჭოების ყველა ჯურის მტრებს და ბრწყინვალედ დაიცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვარნი.

შეუდარებელი გმირობა, მამაცობა და მხედრული ოსტატობა გამოიჩინეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დიდ სამამულო ომში. ეს ძით უფრო საამაყოა, რომ ამ ომს ვერც ერთი წინანდელი ომი ვერ შეედრება ვერც თავისი მასშტაბით, ვერც ჯარებისა და ტექნიკის სიმრავლით, ვერც ბრძოლების გაფთრებული და დაძაბული ხასიათით.

ჩვენი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანი გამარჯვება დიდ სამამულო ომში უზრუნველყო კომუნისტური პარტიის ბრძნულმა ხელმძღვანელობამ. პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით, რომელსაც სათავეში ი. ბ. სტალინი ედგა, საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად დაირაზმა მომხდური მტრის აღსაგავად და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა. ამ სახელოვანმა გამარჯვებამ განუზომლად გაზარდა სსრ კავშირის ავტორიტეტი და მისი როლი მთელ საერთაშორისო ცხოვრებაში.

ომმა ახალი ძალით ცხადყო ჩვენი სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების სიმტკიცე, საბჭოთა არმიის ძლეკამოსილება. მან ცხადყო, თუ როგორ ურღვევია სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, რა ძლიერად უყვართ სოციალისტური სამშობლო საბჭოთა ადამიანებს.

დიდი რუსი ხალხისა და სხვა მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად ომის პირველი დღეებიდანვე საქართველოს საუკეთესო ვაჟკაცები იარაღით ხელში გაეშურნენ ფრონტზე სამშობლოს დასაცავად. რუსეთისა და უკრაინის ტრამალებში, ბელორუსიის ტყეებში, ბალტიისპირეთში, მოსკოვთან და ლენინგრადთან, კავკასიონის მისადგომებთან, ყირიმში, სტალინგრადის კედლებთან — ყველგან, ფრონტის ყველა უბანზე გვიჩვენებდნენ ისინი მამაცობის, გმირობისა და მხედრული ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშებს.

...1943 წლის დამდეგს ჩრდილო კავკასიის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ცხარე ბრძოლები გაიმართა, რაც ოთხ დღე-ღამეს გრძელდებოდა. უსახელო გორაკი, რომელიც მძაფრი ბრძოლების ცენტრში მოექცა, ხელიდან ხელში გადადიოდა... აქ შეიჭრა სეოჟანტ ნიკოლოზ ივანეს-ძე გოგიჩაიშვილის ათეული. მებრძოლებმა გორაკზე გამართეს დაზგის ტყვიამფრქვევი. გერმანელები კონტრიერიშზე გადმოვიდნენ. მდგომარეობა სახიფათო გახდა. ცეცხლის წვიმა მოდიოდა ჰაერიდან. ირგვლივ სკდებოდა მსხვილყალიბიანი ნაღმმტყორცნებისა და ქვემეხების ყუმბარები. ყველაფერი ცეცხლის კვამლში გაეხვია. გოგიჩაიშვილის 12 მებრძოლიდან გმირთა სიკვდილით დაეცა რვა.

— ვიდგეთ სიკვდილამდე! — წარმოთქვა ამ მრისხანე მომენტში სერჟანტმა გოგიჩაიშვილმა. მეგობრებმა ერთგულება შეჰფიცეს ერთმანეთს და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე გმირულად იბრძოდნენ.

ოთხმა მეტყვიამრფქვევემ ჰიტლერელებს გრიგალისებური ცეცხლი დაუშინა და განუწყვეტელი გამანადგურებელი სროლით მტრის ჭარბი ძალები უკუაქცია. გერმანელებმა კვლავ მოიტანეს იერიში, მაგრამ ამაოდ. გმირმა მეტყვიამრფქვევემ 15 ათასი ვაზნა გაისროლა, ასობით ჰიტლერელი გაჟლიტა და მტერს არ მისცა საშუალება დახმარება გაეწია წინ წამოწეული თავისი ჯარისკაცებისათვის. უკანასკნელად ფაშისტებმა სინჯეს კონტრიერიშზე გადმოსვლა, მაგრამ უნაყოფოდ. ამ დროს ერთი ჩვენი ბატალიონი კონტრშეტევაზე გადავიდა და გერმანელები კვლავ უკუაქცია. როცა მტრის მიერ დაკავებული ადგილები გაწმინდეს, ჩვენმა მებრძოლებმა ნახეს ტყვიამფრქვევთან მიმჯდარი გოგიჩაიშვილი, რომელიც მცირე ჯერებით ესროდა უკანდახეულ მტერს.

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა

და გმირობის გამოჩენისათვის სერჟანტ ნ. ი. ეოგინაიშვილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. 1943 წლის 11 ივნისს ფრონტის სამხედრო საბჭომ სპეციალურად მოწყობილ მიტინგზე, რომელსაც რამდენიმე ათასი მებრძოლი ესწრებოდა, სახელოვან მეომარს გადასცა მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

საქართველოს ფარგლებს გარეთაც ცნობილია ბათუმის რაიონის მკვიდრის მახინჯაურელ ისრაფილ ჯინჭარაძის სახელი.

დიდი სამამულო ომის გადამწყვეტ ოპერაციებში მან გვიჩვენა უმაგალითო გმირობა. სტალინგრადისა და ვორონეჟის ფრონტებზე 23 წლის გულადი ოფიცერი კომუნისტი ჯინჭარაძე 92-ჯერ აიჭრა ჰაერში და ფაშისტ სვავებთან ბევრი უთანასწორო ბრძოლა გამართა. მან მტრის უმრავი ავტომანქანა, ტანკი, თვითმფრინავი, საარტილერიო ბატარეა, ჯარისკაცი და ოფიცერი გაანადგურა, რისთვისაც მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურა, ხოლო 1944 წლის 4 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისა და ამასთან გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. სხვებთან ერთად სახელოვან თანასოფლელს დიდ პატივს სცემენ მახინჯაურელი კოლმეურნეები. შარშან მათ თავიანთი სოფლის კოლმეურნეობას მიანიჭეს დიდი სამამულო ომის გმირის ისრაფილ ჯინჭარაძის სახელი. მთელი აჭარა მღერის პოეტ ფრიდონ ხალვაშის ლექსს:

გიგონებს მახინჯაური,
შენი გამზრდელი მთა-ბარი,
დედა ნატრული ცრემლებით
შენს ნაწერ ბარათს დაჰხარის,
მეც მიხარია — შენა ხარ
პირველი გმირი აჭარის.

სამამულო ომის დღეებში თავი ისახელა ქობულეთის რაიონის მკვიდრმა კაპიტანმა აბდულ წულუკიძემ.

1943 წლის შემოდგომის ბობოქარი დღეები... 414-ე ქართული დივიზიის პირადი შემადგენლობა ყოველმხრივ მზად არის ყირიმში შეტევითი ოპერაციების დაწყებისათვის... დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლები... ჯერი მიდგა ქერჩზე. ერთ-ერთი სასტიკი ბრძოლის დროს ბატალიონის მეთაური მწყობრიდან გამოვიდა. იგი შეცვალა მისმა მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში კაპიტანმა ა. წულუკიძემ, გაბედულად წაიყვანა მეომრები იერიშზე და მტერი განდევნა მნიშვნელოვანი მაღლობიდან. ამ საბრძოლო დავალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის უშიშარმა ოფიცერმა მთავრობის ჯილდო — სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენი დაიმსახურა.

ერთ-ერთი სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს კაპიტანი წულუკიძე გმირთა სიკვდილით დაეცა. გულადი მეომრის დაკარგვის ამბავი ივლის სისწრაფით მოიდო მთელ დივიზიას. ნაწილის პარტბიუროს სხდომაზე, რომელიც იმავე დღეს გაიმართა, მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება:

„კაპიტან წულუკიძის გმირულად დაღუპვა ბრძოლის ველზე უდიდესი დანაკლისია მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციისათვის. [illegible] მარტოს ყველას, რომ ორგზის [illegible] კაპიტანმა წულუკიძემ მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს დაცვის საქმეს. წულუკიძის გმირულად დაღუპვას უნდა ვუპასუხოთ ახალ წარმატებათა მოპოვებით და ფაშისტებზე სასტიკი შურისძიებით“.

და მართლაც, ყირიმის ბრძოლებში ქართველმა მეომრებმა სასტიკად იძიეს შური გერმანელ ფაშისტებზე და 1944 წლის 12 მაისს ყირიმის მიწა-წყალი გაწმინდეს ჰიტლერელებისაგან. აჭარის ამ სასიქადულო შვილის შესახებ ფრიდონ ლექსად ასე მღერიან:

გკითხულობენ მთა-გორები,
დაგეძებენ ნარინჯები,
ველარ გნახეს, ომის ცეცხლში
შეწყდა შენი ნაბიჯები.
მაგრამ ისევ იბრძვი თითქო,
გაბედულად ისევ უტევ,
შენ გმირულად დაცემული
მშობელ მიწას ჩაეხუტე.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს აგრეთვე ასეულის მეთაურს კაპიტან ახმედ ვერულიძეს, რომელიც ფაშისტებმა კოცონზე დაწვეს იმისათვის, რომ მტერს არ გაუმხილა ბატალიონის ადგილსამყოფელი.

უშიშარი რადისტი ჰურიე ინაიშვილი კარპატების მთებში ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის შესრულების დროს გულადობისა და მამაცობისათვის დაჯილდოებულ იქნა „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით. ახლა ის ფიჭვნარის რვაწლიანი სკოლის დირექტორია და ენერგიას არ ზოგავს მომავალი თაობის კომუნისტური აღზრდისათვის.

დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობენ ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრნი: პოლკოვნიკები ასლან ბაჯელიძე და ხუსეინ ბეჟანიძე, პოდპოლკოვნიკი დურსუნ შავიშვილი, ლეიტენანტები მიხეილ ბაჟუნაშვილი, ასლან გოგიტიძე და ბევრი სხვა.

ა. ბაჯელიძე, ხ. ბეჟანიძე და დ. შავიშვილი პოლკებს მეთაურობდნენ და საბჭოთა არმიაში უმწიკვლოდ 25-30 წელზე მეტი იმსახურეს. მათ თავი ისახელეს სამამულო ომშიც და მთავრობის მაღალი ჯილდოები — ბევრი ორდენი და მედალი დაიმსახურეს.

ასლან ბაჯელიძის გულმკერდს, მაგალითად, ამშვენებს ლენინის, სამი წითელი დროშის, სამამულო ომის ორდენები და ექვსი მედალი. ექვსი ორდენი და ოთხი მედალი დაიმსახურა პოლკოვნიკმა ხუსეინ ბეჟანიძემ.

პოდპოლკოვნიკი რიფათ ართმელაძე 1939 წლიდან საბჭოთა არმიის რიგებშია. ჩრდილო კავკასიისა და სმოლენსკის ბრძოლებში არაერთხელ გამოიჩინა თავი როგორც მამაცმა ოფიცერმა. მის გულმკერდს მთავრობის ექვსი ჯილდო ამშვენებს. იგი საბჭოთა არმიაში მოვიდა როგორც პედაგოგი და მართლაც ხელქვეითების ნამდვილი აღმზრდელია. გასულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს მან წარმატებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება და ამჟამად მუშაობს აჭარის ასსრეს პუბლიკის სამხედრო კომისრად.

აჭარის სამხედრო კომისარიატიდან საბჭოთა არმიის რიგებში 1941 წელს ქართველებთან ერთად მობილიზაციით გაწვეულ იქნენ რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ებრაელი და სხვა ეროვნების ვაჟკაცებიც. ბევრი მათგანი კვლავ ბათუმში დაბრუნდა და ახლა წარმატებით ძუძაობს ბრომის ფოიტზე.

სხვადასხვა დროს ბათუმში მუშაობდნენ და აქედან გაიწვიეს საბჭოთა არმიაში, მაგალითად, ა. ი. გორბაჩევსკი და ნ. მ. გორბაჩევი, რომლებსაც დიდი სამამულო ომის პერიოდში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ აგრეთვე მაიორი დ. ე. თავაძე, უფროსი ლეიტენანტი ჰ. ა. მერკვილაძე, ხოლო ტანკისტმა ა. სულაბერიძემ ეს საპატიო წოდება მოიპოვა 1939 წელს ფინეთის ბრძოლებში.

რუსი მეომარი ალექსი ლომანიუკი მონაწილეობდა ბერლინის ბრძოლებში. ომის დამთავრების შემდეგ კვლავ ბათუმშია და ამჟამად არტელ „მზიდავში“ მუშაობს.

სერჟანტია უკრაინელი მოსე გლადკო. იგი მონაწილეობდა პრაღის, ბუდაპეშტისა და ბერლინის განთავისუფლებაში. გლადკო მშენებელია და ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სარემონტო კანტორაში მუშაობს.

ბელორუსი მეზღვაური ეფიმ ბრელი 1942 წლიდან 1945 წლამდე შავი ზღვის ფლოტში იყო და თავი ისახელა როგორც მამაცმა მებრძოლმა. მან მთავრობის რამდენიმე ჯილდო დაიმსახურა. ამჟამად ე. ბრელი კოფეინის ქარხანაში მუშაობს მემანქანედ.

სომეხმა აშოტ არამიანცმა პრაღისა და ბერლინის განთავისუფლებაში ასპარეზი

ბრძოლა.

ბერძენი ალექსი ვასილიადი მონაწილეობდა ბერლინის იერიშში როგორც რიგოსანი-მესანგრე. დიდი სამამულო ომის წლებში მან მთავრობის ოთხი ჯილდო დაიმსახურა და ახლა მე-5 სამშენებლო ტრესტის კალატოზია.

ასე სახელოვნად გაამართლეს საქართველოს წარგზავნილებმა წინაპართა ტრადიციები, გაამართლეს დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას სიტყვები:

არ მივცემთ სხვასა სამშობლოს
ჩვენის ცოცხალი თავითა.

ამიტომ შემთხვევითი როდი იყო, რომ გაზეთი „პრავდა“ 1944 წლის ივნისში წერდა:

„ბედნიერია საქართველო, რომელსაც ასეთი შვილები ჰყავს, უძლეველია საბჭოთა ქვეყანა, რომელმაც თავისი ხალხი აღზარდა ურღვევი მეგობრობით“.

საკმარისია ითქვას, რომ სამამულო ომში მამაცობისა და გმირობისათვის 120 ქართველ მეომარს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, 40 ათასზე მეტს კი გადაეცა მთავრობის მაღალი ჯილდოები — ორდენები და მედლები.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე კვლავ ფხიზლად დგანან ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალები და, თუ აგრესორი გაბედავს თავს დაესხას ჩვენს სამშობლოს, გამანადგურებელ პასუხს მიიღებს.

დიდება საბჭოთა არმიას — მშვიდობისა და სოციალიზმის ძლევამოსილ გუშაგს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ კიღაძე

მისი ცხოვრების გზა

პირველკლასელი გოგონა ხარბად ათვალიერებდა ნახატებიან წიგნს და თან ფეხდაფეხ მისდევდა ჭაღარა მამას, რომელსაც ჩაქვიდან შინისაკენ მიეჩქარებოდა. მათ გზაში მანქანა წამოეწიათ. ხუსეინმა მოკრძალებით სთხოვა შოფერს, დიდჯამეში ამიყვანეო. პატარა ფიქრიემ წიგნი დახურა და გაკვირვებით შეხედა მამას: შინ არ მივდივართო? — ჰკითხა მას.

ხუსეინს პირველად გაუკვირდა ბავშვის ასეთი შეკითხვა: „რაღას ისწავლის, თავისი სოფლის სახელი დავიწყნიაო“, გაიფიქრა, მაგრამ შემდეგ მოაგონდა, რომ ფიქრიეს მეხსიერებაში აღარ არის დიდი ჯამე, ძველი სოფელი. ბავშვმა მხოლოდ და მხოლოდ ახალი სოფელი იცის, რომელსაც თავისუფალი შრომის სიყვარულით ხალხმა ჩაისუბანი დაარქვა.

— კი, შვილო, შინ მივდივარ, — ღიმილით უთხრა მან გოგონას და იგი მანქანაში ჩასვა, შემდეგ თვითონ გვერდით მიუჯდა და, თითქოს შეცდომის გასწორება სწადიაო, თავისი სახლისაკენ ხელი გაიშვირა და ბავშვს უთხრა: — ამ სოფელს წინათ ჩაისუბანი კი არა, დიდი ჯამე ერქვა. ჩაისუბანი მაშინ დავარქვით, როცა ჩაი ბლომად გავაშენეთ და მისი შემოსავლით სხვა სიკეთესთან ერთად შენთვის ასეთი წიგნების ყიდვაც შევძელით.

„რატომ, რატომ გადაარქვეს სოფელს სახელი“?—მაინც გაურკვეველი რჩებოდა ბავშვისათვის, მაგრამ ფიქრიეს მაშინ ეს არ უკითხავს მამისათვის. შინ მისვლისთანავე ბოსელში შეირბინა, ხბოს წაეთამაშა, შემდეგ სუფთა ბაგა ბალახით გაუვსო და, თითქოს მოვალეობა მოიხადაო, კმაყოფილმა მიირბინა სამზარეულოში, სადაც დედა ვახშამს ამზადებდა. აქაც საკმაო საქმეს აკეთებდა გოგონა, ქალის საქმე ოჯახში დაულეველია. მას უკვე ხანშესული შაზენი ვერ აუვა.

სწავლობდა და თან შრომობდა ფიქრიე ყურშუბაძე. ხუსეინ ყურშუბაძისათვის რომ გეკითხათ, ვაჟებსა და ქალიშვილებს შორის ვინ უფრო გიყვარსო, იგი უთუოდ ფიქრიეზე განიშნებდათ: „ყოჩაღია, კაცის საქმესაც აკეთებს და ქალისაცო, მეც მშველის და დედამისსაცო.“

დიდი სამამულო ომის წლებში ფიქრიე უკვე შეგხვებული ქალიშვილი იყო. ... სოფელში ახალგაზრდების კრება გაიმართა. ყველაფერი ფრონტისათვის! — ასე დაამთავრა მომხსენებელმა თავისი სიტყვა. კომკავშირელებიც გამოვიდნენ და ეს ამაღელვებელი სიტყვები ყველამ გაიმეორა. ფიქრიეს სიტყვა არ უთქვამს. კრების დამთავრებისთანავე იგი შინ გაიქცა. უჯრა გამოაღო, პირადად მის მიერ გამომუშავებულ შრომადღეებზე მიღებული ფულიდან ყოველი შემთხვევისათვის შემონახული დანაზოგი მთლიანად ამოიღო და სასოფლო საბჭოში მიიტანა, სადაც ფრონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის დასახმარებლად სახსრებს აგროვებდნენ. მეორე დღეს კი საკოლმეურნეო კომკავშირულ ორგანიზაციაში განცხადება შეიტანა ლენინურ კომკავშირში მიღების შესახებ და, რა თქმა უნდა, თანასოფლელმა კომკავშირელებმა იგი კმაყოფილებით მიიღეს თავიანთ რიგებში.

„რა სარგებლობა შემიძლია მოვუტანო სოფელს?“ ბევრჯერ დაუსვამს ასეთი კითხვა ფიქრიე ყურშუბაძეს. რა თქმა უნდა, ყველაზე სასარგებლო საქმეს გავაკეთებ ჩაის მოსავლიანობის გადიდებით, — მტკიცედ გადაწყვიტა ფიქრიემ. იგი საგულდაგულოდ უვლიდა ჩაის ბუჩქებს, მაგრამ შედეგი დიდხანს არ ჩანდა. მაშინ პლანტაციებს ერთად, ნადურად ამუშავებდნენ. აბა ვინ გაარკვევდა, ვისმა მოვლილმა ბუჩქებმა რამდენი მოსავალი მისცა კოლმეურნეობას?! ზარმაცებიც ხომ იყვნენ.

— არა, ასე არ შეიძლება, — გადაწყვიტეს მეჩაიეებმა, — ჩაის პლანტაციას ვინც უვლის, ფოთოლიც ან მოკრიფოს. მაშინ გამოჩნდება, ვინ კარგად შრომობს და ვინ ცუდად.

ფიქრიე ერთ-ერთი პირველი აღფრთოვანებით შეეგება ამ გადაწყვეტილებას. ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის ოსტატთან, ამჟამად სოციალისტური შრომის გმირ ასიე ყურშუბაძესთან ერთად, იგი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება, ნახევარი ჰექტარი ფართობი აიღო მოსავლელად და პირობა დადო, გეგმის გადამეტებით ხუთას კილოგრამ ფოთოლს მოვკრეფო.

სამამულო ომის წლებში ნიადაგს სასუქები მოაკლდა. ბევრი ბუჩქი გახმა, მწკრივები გამეჩხრდა. ერთი ხელის დაკვრით ამ მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი იყო, მაგრამ გამრჯე ქალის მარჯვენამ ეს წინააღმდეგობა დაძლია. მოსავლის გადიდებისათვის მან მთავრობის ჯილდო—მედალი „მამაცური შრომისათვის“ დაიმსახურა. მეორე წელს ფიქრიე შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს.

მაგრამ ყველაზე დიდ სიხარულს ფიქრიე ყურშუბაძე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებში განიცდიდა. ჩაისუბნელმა კოლმეურნეებმა, ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა, მოსამსახურეებმა და სპეციალისტებმა თავიანთ წინასაარჩევნო კრებებზე იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს. ამის გამო ხალხმრავალი კრება შედგა ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის კლუბში. აქ მოვიდნენ წარმომადგენლები ხუცუბნის, დაგვის, ბობოყვათის, ქვედა და ზედა ულიანოვკის, აჭყვის, სახალვაშოს კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან, აგრეთვე ჩაის ფაბრიკებიდან, რომელთა მშრომელებმაც მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ფიქრიე ხუსეინის ასულ ყურშუბაძის დასახელებას. საოლქო წინასაარჩევნო კრების თხოვნით ფ. ხ. ყურშუბაძე დათანხმდა ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ჩაქვის № 392 საარჩევნო ოლქში კენჭი ეყარა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

ახსოვს და არასოდეს არ დაავიწყდება ფიქრიეს მამის ნაყიდი ნახატებიანი წიგნი, პირველი მოგზაურობა ჩაქვიდან ჩაისუბნამდე ავტომანქანით, ის სიკეთე, რაც ამ სოფლის მშრომელებს მოუტანა ჩაის კულტურამ, ციტრუსებმა, საზოგადოებრივმა მეცხოველეობამ.

შარშან კოლმეურნეებმა იმდენი ჩაის ფოთოლი და ციტრუსოვანთა ნაყოფი მოიყვანეს, რომ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში ფართო ჩვენებით მონაწილეობის უფლება დაიმსახურეს.

ყველაფერი ეს ახარებს ფიქრიე ყურშუბაძეს, რადგან სოფლის ამ დიდ წარმატებებში თვალსაჩინოა მისი წვლილიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ქურციძე

პარტიულობის პრინციპი საბჭოთა ლიტერატურის ძირითადი პრინციპია

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საბჭოთა ლიტერატურა მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ლიტერატურაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არაერთი შესანიშნავი ნაწარმოებით გაამდიდრა მსოფლიო კულტურის საგანძური და უდიდესი ღვაწლი მოახდინა ამ კულტურის მთელ განვითარებაზე. მაქსიმ გორკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, მიხეილ შოლოხოვის, ალექსი ტოლსტოის, ალექსანდრე ფადეევის, ლეო ქიაჩელის, გიორგი ლეონიძის, მირზო ტურსუნ-ზადესა და სხვა საბჭოთა მწერლების მხატვრულ თხზულებებს ახლა დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში იცნობენ და მათ მილიონობით მკითხველი ჰყავთ.

თავისთავად ცხადია, რომ ეს წარმატებანი თავისით არ მოსულა, ისინი ბრძოლით, დაუცხრომელი შრომით მოვიპოვეთ. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მზრუნველობით ზრდიდნენ მწერალთა და ხელოვანთა მძლავრ არმიას, განუმარტავდნენ მათ ლიტერატურისა და ხელოვნების წინაშე მდგომ ამოცანებს და სულ უფრო მჭიდროდ რაზმავდნენ ამ ამოცანების პირნათლად გადაწყვეტისათვის. სწორედ ამის შედეგია, რომ ჩვენმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ ხალხის საყოველთაო მხარდაჭერა და უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა. თვითეული ახალი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოები, ლიტერატურისა და ხელოვნების რა დარგსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, ჩვენს ხალხს სამართლიანად მიაჩნია დიდ გამარჯვებად კომუნიზმის მშენებლობაში, მისი სულიერი კულტურის გამდიდრების მკაფიო გამოხატულებად.

სხვა პირობებთან ერთად საბჭოთა ხელოვნებისა და ლიტერატურის განუხრელი წინსვლა უზრუნველყო პარტიულობის პრინციპის მტკიცედ დაცვამ მთელ შემოქმედებითს საქმიანობაში. ეს პრინციპი, როგორც ცნობილია, პირველმა წამოაყენა და ყოველმხრივ დაასაბუთა დიდმა ლენინმა. ვენიალურ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. მაგრამ მისი ჩანასახი მკაფიოდ ჩანს ფრ. ენგელსის ერთ-ერთ პირად წერილში. „მე, — წერდა ენგელსი კ. კაუტსკის, — არავითარ შემთხვევაში არა ვარ ტენდენციური პოეზიის, როგორც ასეთის, წინააღმდეგი. ტრაგედიის მამამთავარი ესქილე და კომედიის მამამთავარი არისტოფანე ორივენი მკვეთრად გამოვლენილი ტენდენციური პოეტები იყვნენ; სწორედ ასევე დანტეც და სერვანტესიც. ხოლო შილერის „ვერაგობა და სიყვარულის“ უმთავრესი ღირსება ის არის, რომ ეს პირველი გერმანული პოლიტიკურ-ტენდენციური დრამაა. თანამედროვე რუსი და ნორვეგიელი მწერლები, რომლებიც ჩინებულ რომანებს წერენ, ყველანი მთლიანად ტენდენციურები არიან. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ტენდენცია თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს მდგომარეობიდან და მოქმედებიდან, მასზე საგანგებო მითითების გარეშე, და რომ მწერალი ვალდებული არ არის მკითხველს მზა სახით მისცეს მის მიერ გამოსახული საზოგადოებრივი კონფლიქტების მომავალი ისტორიული გადაწყვეტა“.

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ფრ. ენგელსს მიაჩნია, რომ მსოფლიო ლიტერატურის ყველა საუკეთესო ნაწარმოები გაჟღენთილია გარკვეული ტენდენციით, ემსახურება გარკვეულ პოლიტიკურ ინტერესებს. ვ. ი. ლენინმა

შემდგომ განავითარა ფრ. ენგელსის ეს დებულება და გენიალურად განსაზღვრა ლიტერატურის პარტიულობის არსი. იგი, ერთი მხრივ, ნიშნავს იმ უდავო ფაქტის აღიარებას, რომ ლიტერატურა საერთოდ აუცილებლად ემსახურება პოლიტიკას, გამოხატავს და იცავს ამა თუ იმ კლასის ინტერესებს, რომ იგი არც ერთ კლასობრივ საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური საქმე, ცალკეულ შემოქმედთა კერძო საქმე. ხოლო, მეორე მხრივ, რაკი ეს ასეა, პროლეტარიატის პარტია, კომუნისტური პარტია აუცილებლად უნდა ხელმძღვანელობდეს და წარმართავდეს ლიტერატურისა და ხელოვნების მთელ განვითარებას, როგორც საერთოპოლიტიკური საქმის ნაწილს, ამასთან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს.

* * *

ლიტერატურა და ხელოვნება უხსოვარი დროიდან იყო და არის საზოგადოებრივი ბრძოლის მძლავრი იარაღი. ყოველი კლასი ცდილობდა და ცდილობს გამოიყენოს ისინი თავისი კლასობრივი ინტერესებისათვის, მისცეს მათ ისეთი შინაარსი, რომელიც მთლიანად და სავსებით უპასუხებდა მის მოთხოვნებს საზოგადოებრივი ბრძოლის მსვლელობაში. ბურჟუაზია, მაგალითად, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რათა ლიტერატურა და ხელოვნება ასრულებდეს ექსპლოატატორთა სოციალურ დაკვეთას. კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში იგი მოითხოვს ლიტერატურის მთავარი გმირი გახდეს ბიზნესმენი, ამასთან ისეთი ბიზნესმენი, რომელიც წარმატებას წარმატებაზე აღწევს. და ოფიციალური ამერიკული ლიტერატურაც წელზე ფეხს იდგამს, რათა შეასრულოს ეს დაკვეთა, თავისი „წვლილი" შეიტანოს გარდუვალი დაღუპვისაგან კაპიტალიზმის გადარჩენაში, გამსჭვალოს მასები ომის ფსიქოზით, მოწამლოს მათი შეგნება რეაქციული ბურჟუაზიული იდეებით. ერთ-ერთი ამერიკელი მწერალი დოს-პასოსი, რომელიც რამდენიმე ათეული წლის წინათ კაპიტალისტური სინამდვილის მახინჯ მოვლენებს არცთუ ცუდად ხედავდა, ახლა უსირცხვილოდ აცხადებს, თითქოს ამ ბოლო დროს კაპიტალიზმი საგრძნობლად გამოკეთდა და ცუდიდან გახდა კარგი, რომ კაცობრიობას მხსნელად მოევლინა რუზველტი და არა მარქსი და ენგელსი.

სავსებით აშკარაა, რომ დოს-პასოსი და მისი თანამოკალმენი გამოხატავენ და იცავენ კაპიტალისტთა კლასობრივ ინტერესებს. მაგრამ ბურჟუაზიას მიაჩნია, რომ ამ უდავო ფაქტის პირდაპირი აღიარება სასარგებლო არ არის, სახელს გაუტეხს ბურჟუაზიულ ლიტერატურას და ხელი ჩასჭიდა „თეორიას" ლიტერატურისა და ხელოვნების ვითომდა ობიექტურობის, შემოქმედის ვითომდა აბსოლუტური თავისუფლების შესახებ. ამავე დროს ცდილობენ საქმე ისე წარმოგვიდგინონ, თითქოს არა სხვა რომელიმე საზოგადოებრივი წყობილება, არამედ მხოლოდ კაპიტალიზმი უზრუნველყოფს შემოქმედის სრულ დამოუკიდებლობას და მის აბსოლუტურ თავისუფლებას. სწორედ ასეთი ბინძური მიზნით, ლიტერატურისა და ხელოვნების კლასობრივი არსის მისაჩქმალავად გამოიგონეს უბადრუკი და საქვეყნოდ **უბადაღებული თეორია „ხელოვნება ხელოვნებისათვის"**. ხელოვნება, ამბობენ ბურჟუაზიის მოსყიდული იდეოლოგები, ეს არის სპილოს ძვლისაგან ნაგები ტაძარი, რომელსაც ვერ წვდება „კაცთ ჟრიამული", და მას ისევე სუსხავს სოციალური იდეების სამსახური, როგორადაც გაზაფხულის ყინვა ნორჩ ყვავილებს. რაკი ეს ასეა, ამავე „თეორიის" მიხედვით, შემოქმედი აბსოლუტურად თავისუფალია და ქმნის მხოლოდ იმას, რაც პირადად მას აინტერესებს და აღელვებს. ლიტერატურა და ხელოვნება მისი პირადი საქმეა და არა საზოგადოებრივი.

ფრიად დამახასიათებელია, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ლიტერატურული კრიტიკა, უარყოფს რა რეალიზმს, ხელოვნების კავშირს სინამდვილესთან, ცხოვრებასთან, არ ერიდება ფროიდიზმის პირდაპირ ქადაგებასაც კი, ოღონდ მკითხველებს მოაჩვენოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დამოუკიდებლობა ყოფიერებისაგან, სინამდვილისაგან. ამერიკელი კალვან ჰოლი, მაგალითად, პირდაპირ წერს, რომ გარკვეულ წრეებში მიაჩნიათ, თითქოს შექსპირის სონეტები, უოლტ უიტმენის პოეზია, ჩაიკოვსკის მუსიკა და პრუსტის დიდი რომანი სხვა არაფერია, თუ არა მათი ჰომოსექსუალურ მისწრაფებათა სუბლიმაციური გამოხატულება. სავსებით აშკარაა, რომ ეს საზიზღარი ჭორი იმისათვის შეთხზეს, რათა „ცხადეყოთ", თუ რა შორს დგას ხელოვნება ცხოვრების დუღილისაგან და რა ვიწროპირადული ინტერესებით ცოცხლობს თითქოს იგი.

მაგრამ ნათქვამია: „შუბი ხალთაში არ დაიმალებაო", და მართლაც, განა დღესავით ნათელი არ არის, რომ ზღაპარი ბურჟუაზიული შემოქმედის აბსოლუტური თავისუფლების, მისი სრული დამოუკიდებლობისა საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან საზიზღარი თვალთმაქცობაა, რომელიც მიზნად ისახავს გააბრიყვოს მკითხველები და შეუქმნას მათ ყალბი წარმოდ-

გენა ლიტერატურისა და ხელოვნების არსისა და დანიშნულების შესახებ. უსინდისოდ, ურცვად შენიღბოს ბურჟუაზიული მწერლისა თუ ხელოვნებას მუშაკის პირდაპირი დამოკიდებულება ფულის ქისაზე. ჯერ კიდევ ბალზაკმა, მოპასანმა და სხვა საქვეყნოდ სახელგანთქმულმა მწერლებმა დამაჯერებლად ცხადყვეს, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში შემოქმედის ბურჟუაზიული „თავისუფლება“ — იგი არის თავისუფლება შექმნა კაპიტალიზმის სადიდებელი ნაწარმოები და სამაგიეროდ უზრუნველყო პირადი კეთილდღეობა. ასე, მაგალითად, მოპასანის „ლამაზი მეგობრის“ მთავარ პერსონაჟს, ჟორჟ დიურუას, თავისი ჟურნალისტური მოღვაწეობა მიაჩნია მხოლოდ ფულის შოვის საშუალებად და მისთვის არაფერი წმიდა არ არსებობს. ამავე დროს მან ძალიან კარგად იცის, რომ მისი „თავისუფლება“ მაშინვე გაქრება, როგორც კი გადაწყვეტს აღარ შეასრულოს შეფის სურვილები თუ განკარგულებანი. და ეს სავსებით კანონზომიერია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, სადაც ბატონობს ჯუნგლის კანონები და სადაც ყველაფრის საზომი ყვითელი ოქროა.

წინააღმდეგ ბურჟუაზიისა, პროლეტარიატი აშკარად აცხადებს, რომ ლიტერატურა და ხელოვნება არ შეიძლება იყოს და არ არის აპოლიტიკური. იგი მუდამ ემსახურებოდა ამა თუ იმ კლასს და ახლაც ასევე ემსახურება. ამის გამო პროლეტარიატს არ შეუძლია ისინი, ლიტერატურა და ხელოვნება, დატოვოს კარიერისა და ანგარების წყაროდ, მით უმეტეს, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში კიდევ უფრო იზოდება როგორც მთელი იდეოლოგიური მუშაობის, ისე ლიტერატურისა და ხელოვნების როლი და მნიშვნელობა. მათ ეკისრებათ უდიდესი საპატიო ამოცანა — ხელი შეუწყონ მასების, უპირველეს ყოვლისა კი ახალგაზრდობის, კომუნისტურ აღზრდას, მათ გამსჭვალვას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სულისკვეთებით, კომუნიზმისა და მშვიდობის გამარჯვებას. თავისთავად ცხადია, ეს ისეთი გრანდიოზული და უაღრესად პასუხსაგები ამოცანაა, რომ მშრომელებს ლიტერატურა და ხელოვნება სამართლიანად მიაჩნიათ საერთოსახელმწიფოებრივ საქმედ, ჩვენი საერთოპარტიული საქმის ნაწილად, ამასთან მის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად.

სწორედ ამის გამო ნამდვილად თავისუფალი შეიძლება იყოს და მართლაც არის საბჭოთა ლიტერატურა. ეს იმიტომ, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში შემოქმედს ამოძრავებს არა კარიერა, არა ანგარება, არამედ კომუნიზმის დიადი იდეა. იგი ემსახურება არა ჭონმოდებულ ბურჟუას, არამედ ხალხს, მშრომელებს, რომლებსაც ეკუთვნით აწმყოც და მომავალიც. საბჭოთა მწერალი თუ ხელოვანი [illegible] იბრძვის კომუნიზმის გამარჯვებისთვის. [illegible] ბედს აშკარად, შეუნიღბავად უკავშირებს პროლეტარიატის, მთელი ხალხის ბედს და სამართლიანად ამაყობს, რომ იგი ხალხის მსახურია. მან კარგად იცის, რომ ცხოვრობდე საზოგადოებაში და თავისუფალი იყო მისგან შეუძლებელია, რომ მხოლოდ საერთოპოლიტიკური საქმისათვის შეგნებული ბრძოლით შეუძლია მოიპოვოს შემოქმედის ნამდვილი და არა მოჩვენებითი, არა ფარისევლური თავისუფლება.

ეს არის სწორედ ის ლიტერატურა, რომელიც ჯერ კიდევ 1905 წელს თავის გენიალურ სტატიაში „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ ვ. ი. ლენინმა დაახასიათა როგორც „ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან **აშკარად** დაკავშირებული ლიტერატურა“. ეს იმიტომ, რომ „არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების გულმოყირჭებულ „გმირ-ქალს“, არა მოწყენილ და სისუქნის ჭონით შეწუხებულ „ზედა ფენის ათეულ ათასებს“, არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ“.[1]

დიდი პროლეტარული მწერალი, სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ შემოქმედის ნამდვილი ბედნიერებაა გულწრფელად და პატიოსნად ემსახურებოდეს მშობლიურ ხალხს. მხოლოდ ხალხის უანგარო სამსახური აძლევს შემოქმედს შესაძლებლობას სრულად, ყოველმხრივად გამოავლინოს თავისი ნიჭი და უნარი. ამის მკაფიო მაგალითია თვითონ მაქსიმ გორკის შემოქმედება. პროლეტარიატის დიად განმათავისუფლებელ მოძრაობასთან დაკავშირებამ, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებით გამსჭვალვამ საშუალება მისცა დიდ მწერალს შეექმნა უკვდავი „დედა“ და სხვა ბრწყინვალე ნაწარმოებნი, რომლებიც შევიდნენ და მტკიცედ დამკვიდრდნენ კაცობრიობის კულტურის საგანძურში.

ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელმაც ესოდენ ბევრი რამ გაიკეთა საბჭოთა პოეზიის განვითარებისათვის, კანონიერად ამაყობდა იმით, რომ ხალხს ემსახურებოდა, ასრულებდა პროლეტარიატისა და ყველა მშრომელის სოციალურ დაკვეთას. იგი

1. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. X, გვ. 40.

თავს გრძნობდა საბჭოეთის ქარხნად, ბედნიერებას რომ ჭედდა. მაიაკოვსკის უმაღლესი იდეალი კომუნიზმი იყო, და მან პირველმა შეაერთა პოეზია და კომუნიზმი.

მე კომუნიზმში
პოეზიის ლაჟვარდებიდან
დავეშვი,
რადგან
მინდა მხოლოდ
მისი ტრფიალი.

ასე განსაზღვრავდა ვლადიმერ მაიაკოვსკი თავისი შემოქმედების დანიშნულებას და სურდა ლექსი ხიშტს გატოლებოდა, უკლებლივ ყველა მათგანი ყოფილიყო რევოლუციის ერთგული ჯარისკაცი, ჰქონოდა საყოველთაო-სახალხო ღირებულება.

ჩვენი დროის ერთ-ერთმა ყველაზე საუკეთესო მწერალმა მიხეილ შოლოხოვმა, ლაპარაკობდა რა შემოქმედის თავისუფლებაზე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ თვითეული საბჭოთა მწერალი თავის ნაწარმოებს ქმნის საკუთარი გულის კარნახით, ეს გული კი მთლიანად ეკუთვნის მშობლიურ ხალხს, რომელიც კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ასე დიდი წარმატებით აშენებს ახალ საზოგადოებას — კომუნიზმსო.

ამრიგად, წინააღმდეგ ბურჟუაზიული მწერლებისა, რომლებიც კაპიტალიზმს ემსახურებიან, საბჭოთა მწერლები ხალხის სამსახურში დგანან და თავიანთ ნაწარმოებებში ასახავენ ბის დაუცხრომელ ბრძოლას კომუნიზმის, მშვიდობის კეთილშობილური საქმის გამარჯვებისათვის. მათ ბედნიერებად მიაჩნიათ გამოხატონ მშობლიური ხალხის გულისთქმა, ფიქრები და გრძნობები, ხელი შეუწყონ მშრომელთა აღზრდას ეპოქის მოწინავე იდეების, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სულისკვეთებით. ეს კი არის ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი მოქმედებაში.

* * *

რამდენადაც ლიტერატურა და ხელოვნება წარმოადგენენ კლასობრივი ბრძოლის მძლავრ იარაღს, ე. ი. ემსახურებიან პოლიტიკას, კერძოდ ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში — მასების კომუნისტური აღზრდის დიად ამოცანას, ეს მოითხოვს ყველა შემოქმედებითი ორგანიზაციის საქმიანობას ხელმძღვანელობდეს და წარმართავდეს კომუნისტური პარტია, ლიტერატორთა და ხელოვანთა მთელ არმიას ზრდიდეს მარქსიზმ-ლენინიზმის, ხალხისადმი ერთგულების სულისკვეთებით. მხოლოდ ამ პირობით შეუძლია სოციალისტურ ლიტერატურასა და ხელოვნებას იზრდებოდეს და ვითარდებოდეს განუხრელად ... ბოლშევიზმის, შეუნელებელი წინსვლის გზით.

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს შემქმნელი დიდი ლენინი, ითვალისწინებდა რა ლიტერატურისა და ხელოვნების მთელ სპეციფიკას, მუდამ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პარტიას არ შეუძლია განზე გაუდგეს იდეოლოგიის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფეროსადმი ხელმძღვანელობას, და პრაქტიკულად ახორციელებდა ამ პრინციპს. უაღრესად ერთგული დიდი ლენინის მოძღვრებისა, კომუნისტური პარტია განვითარების ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ხელმძღვანელობას ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა მათ პირნათლად შეესრულებინათ თავიანთი წმიდა მოვალეობა მშობლიური ხალხის წინაშე. და როგორც საბჭოთა ლიტერატურის, ისე საბჭოთა ხელოვნების განვითარების მთელი ისტორია მკაფიოდ მოწმობს, თუ რა გრანდიოზული მუშაობა ჩაატარა ამ მხრივ კომუნისტურმა პარტიამ, როგორ უზრუნველყო სსრ კავშირის ყველა ხალხის შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების შეუნელებელი აღმავლობა.

კომუნისტური პარტია განსაკუთრებული მზრუნველობით ზრდიდა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს, ეხმარებოდა მათ გაეფართოებინათ თავიანთი რიგები ხალხის უღრმესი წიაღიდან გამოსული ტალანტებით, განუწყვეტლივ ემაღლებინათ იდეური და მხატვრული დონე, მოენახათ სწორი გზა, გაერთიანებულიყვნენ ერთი საერთო მიზნის — ხალხისადმი უანგარო სამსახურის საფუძველზე. საკმარისია აღინიშნოს, თუ რა დიდი როლი შეასრულა, კერძოდ, მწერალთა კონსოლიდაციის საქმეში პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებამ, პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გაუქმებამ და საბჭოთა მწერლების კავშირის შექმნამ. ამ კავშირში, როგორც ცნობილია, გაერთიანდა ჩვენი ქვეყნის ყველა მწერალი, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობის მიზნად ხალხისადმი უანგარო სამსახური დაისახეს. ამ საერთო მიზანმა შექმნა ლიტერატურის მუშაკთა ურღვევი ერთიანობა და უზრუნველყო მთელი შემოქმედებითი ძალების აქტივიზაცია, განვითარების მოცემულ ეტაპზე ლიტერატურის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით

ჩვენს ქვეყანაში წარმატებით აშენდა სოციალიზმი და დამკვიდრდა ადამიანთა ახალი ურთიერთობა, რამაც ხელი შეუწყო საბჭოთა ლიტერატურის ნოვატორული როლის ამაღლებასა და გაძლიერებას. პარტია ამჯერადაც დაეხმარა მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს ყოველმხრივ გაეაზრებინათ თავიანთი ახალი ისტორიული მისია და ხელი შეუწყო ახალი, ნოვატორული შემოქმედებითი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის გავრცელებას. სოციალისტური რეალიზმის გამარჯვებამ უზრუნველყო საბჭოთა ლიტერატურის გიგანტური ზრდა და ახალი ფურცელი გადაშალა მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში. ყველაფერი, რაც საუკეთესოა საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებაში, შექმნილია ამ მეთოდით, მათ შორის მ. შოლოხოვის, ა. ტოლსტოის, კ. ფედინის. ლ. ლეონოვისა და სხვა გამოჩენილ მწერალთა საქვეყნოდ ცნობილი ნაწარმოებები. სოციალისტური რეალიზმის მეთოდი საშუალებას აძლევს მწერალს ყოველმხრივ და ღრმად ასახოს სინამდვილე, გვიჩვენოს არა მარტო ის, თუ როგორ ვითარდებიან მოვლენები აწმყოში, არამედ ისიც, თუ როგორ განვითარდებიან ისინი მომავალში.

პარტიის მზრუნველობითა და დახმარებით ჩვენი სოციალისტური ლიტერატურა გახდა საბჭოთა ადამიანის აღზრდის მძლავრი და შთამაგონებელი იარაღი. იგი მილიონობით მკითხველში ზრდის საუკეთესო მორალურ თვისებებს, ხელს უწყობს საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური ჰუმანიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობების გაღვივებას, გვიჩვენებს ახალი ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის უმდიდრეს და ულამაზეს სულიერ სამყაროს, მოწინავეთა მაგალითზე ზრდის მასებს, კიცხავს ჩამორჩენილებს, რომელთა შეგნებაში ჯერ კიდევ შემორჩენილა კაპიტალიზმის გადმონაშთები, და ეხმარება მათ ამ გადმონაშთების დაძლევაში. საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას დიდი წვლილი შეაქვთ სოციალისტური საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის განმტკიცებაში, რაც უზრუნველყოფს ახალ-ახალ წარმატებათა მოპოვებას კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე.

ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე. ისინი განსაზღვრავდნენ პარტიის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანებსა და ძირითად პრინციპებს ლიტერატურისა და ხელოვნების [illegible], რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ თავიანთ ძალას. ამ დიდმნიშვნელოვანი პარტიული [illegible] ყველილებების განუხრელი [illegible] გახდა შესაძლებელი ის თვალსაჩინო წარმატებები, რომლებიც საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ მოიპოვეს გარკვეულ პერიოდში ომის შემდეგ.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობაში უდიდეს როლს ასრულებს ისეთი ღირსშესანიშნავი პარტიული დოკუმენტი, როგორიცაა „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“. მან ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მოღვაწე აღჭურვა რევიზიონიზმისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის სხვა გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი იდეური იარაღით. მასში ნათქვამია, რომ „კომუნისტურ პარტიას ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები მიაჩნია თავის ერთგულ მეგობრებად, თანაშემწეებად, საიმედო დასაყრდენად იდეოლოგიურ ბრძოლაში“, მითითებულია, რომ „ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულებაა ხალხის დარაზმვა კომუნიზმის მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად“ და განსაზღვრულია განვითარების მთავარი ხაზი — ლიტერატურისა და ხელოვნების განუყოფელი მჭიდრო კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან, რომელიც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს შეადგენს.[1]

ამრიგად, პარტიულობის პრინციპი თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ ლიტერატურა ემსახურება ხალხს, პოლიტიკას და რომ მის განვითარებას ხელმძღვანელობს და წარმართავს კომუნისტური პარტია.

* * *

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს აღმოჩნდნენ მწერლები, რომლებსაც არასწორად ესმით შემოქმედის თავისუფლება, რომელთაც თურმე აწუხებთ პარტიული ხელმძღვანელობა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისადმი და ფაქტიურად გამოდიან ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის წინააღმდეგ, პრინციპისა, რომელიც დიდმა ლენინმა წამოაყენა და გენიალურად დაასაბუთა. იუგოსლავიელი მწერალი მლადენოვიჩი, მაგალითად, იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთ თავის გამოსვლაში განაცხადა, თითქოს ლენინს არც კი წამოეყენებინოს

1. ნ. ს. ხრუშჩოვი, „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“, გვ. 26, 27.

ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი. ჩინეთში დინ-ლინმა და ზოგიერთმა სხვა მწერალმა აგრეთვე განაცხადეს, თითქოს ლიტერატურა და ხელოვნება დამოუკიდებელი უნდა იყვნენ პოლიტიკისაგან, მიიჩნიეს რა პარტიის ხელმძღვანელობა და კონტროლი შემოქმედის კაბალად. იმათ შორის, რომლებმაც გაილაშქრეს ლიტერატურისადმი პარტიული ხელმძღვანელობის წინააღმდეგ, აღმოჩნდა საბჭოთა პოეტი მ. ალიგერიც.

ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ მსგავს არაჯანსაღ შეხედულებებს საფუძვლად უდევს ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი. სავსებით აშკარაა, რომ იგი, ვინც უარყოფს პარტიული ხელმძღვანელობის უდიდეს მნიშვნელობას ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, შემოქმედებას განიხილავს როგორც თავის კერძო საქმეს, როგორც დიდების მოპოვებისა და კარიერისტულ მისწრაფებათა განხორციელების საშუალებას და სურს ეს მიჩქმალოს მწერლისა თუ ხელოვნების მუშაკის აბსოლუტური თავისუფლების მოთხოვნით. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ „სოციალისტური საზოგადოების პირობებში, სადაც ხალხი ნამდვილად თავისუფალია, თავისი ბედის ნამდვილი ბატონ-პატრონი და ახალი ცხოვრების შემოქმედია, მხატვრისათვის, რომელიც ერთგულად ემსახურება თავის ხალხს, არ არსებობს საკითხი იმის შესახებ, თავისუფალია, თუ თავისუფალი არ არის იგი თავის შემოქმედებაში. ასეთი მხატვრისათვის სინამდვილის მოვლენებისადმი მიდგომის საკითხი ნათელია, მას არ სჭირდება ეგუებოდეს, საკუთარ თავს აიძულებდეს, კომუნისტური პარტიულობის პოზიციებიდან ცხოვრების მართალი გაშუქება მისი სულის მოთხოვნილებაა, იგი მტკიცედ დგას ამ პოზიციებზე, იცავს მათ თავის შემოქმედებაში“.1

ლიტერატურის პარტიულობის მოწინააღმდეგენი, რევიზიონისტები ბრალად დებენ ჩვენს ლიტერატურას აგრეთვე, რომ იგი თითქოს ერთფეროვანია, რაც, თურმე ნუ იტყვით, ლიტერატურისადმი პარტიული ხელმძღვანელობისა და სოციალისტური რეალიზმის შედეგია. თავისთავად ცხადია, ეს „ბრალდებაც“ სავსებით უსაფუძვლოა, ფაქტებს არ ემყარება და ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც ლიტერატურაში შემოვიდა ახალი გმირი, ადამიანი, რომელიც თავდადებით იბრძვის ახალი ცხოვრებისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისათვის, რომლისგანაც განუყოფელია მისი პირადი ბედნიერება, მწერლობის წინაშე გადაიშალა განვითარების არნახული პერსპექტივები, იგი გახდა გასაოცრად მრავალფეროვანი და მდიდარი. და მართლაც, განა ოდესმე წინათ ლიტერატურას ჰქონდა ისეთი მდიდარი მასალა, როგორიც დღესა აქვს? საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყარო უაღრესად მდიდარი და ლამაზია. არც ერთი სხვა ეპოქის ადამიანი არ შეიძლება შეედაროს მას ამ მხრივ. იგი მთელი თავით მაღლა დგას ყველა დროისა და ქვეყნის ადამიანზე მაღალი იდეურობით, საუკეთესო მორალური თვისებებით და ინტერესების მრავალფეროვნებით. მაშასადამე, ლიტერატურაც, რომელიც ამ ახალი ადამიანის ცხოვრებას, მის ფიქრებსა და გრძნობებს, შრომასა და ბრძოლას ასახავს, არ შეიძლება არ იყოს უაღრესად მრავალფეროვანი, უაღრესად ნოვატორული, უაღრესად მდიდარი ხასიათებითა და ტიპებით. უკვე იმით, რომ სოციალისტურ სინამდვილეს ასახავს, საბჭოთა ლიტერატურა ისე მრავალფეროვანია, როგორიც არც ერთი ლიტერატურა არ ყოფილა წინათ და არ არის ამჟამად, რადგან თვითონ ცხოვრება, თვითონ სინამდვილე არ ყოფილა უფრო მრავალფეროვანი, ვიდრე ჩვენი დღევანდელობა, ვიდრე ჩვენი საბჭოური სინამდვილეა.

რა თქმა უნდა, ბურჟუაზიული იდეოლოგებისათვის ხელსაყრელი არ არის აღიარონ ეს უცილობელი ფაქტი. იყო დრო, როცა ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქოს სოციალიზმი ახდენს ადამიანთა ნიველირებას, ერთფეროვანს ხდის მათ, აცლის ინდივიდუალობას, გასაქანს არ აძლევს პიროვნების განვითარებას. მაგრამ ყველაფერი ეს ფუჭ ლაყბობად დარჩა. ამიტომ ახლა მათ შეცვალეს დარტყმის მიმართულება და თანამედროვე რევიზიონისტებთან ერთად „ამტკიცებენ“, თითქოს საბჭოთა ლიტერატურა ერთფეროვანია იმიტომ, რომ ლიტერატურის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში ხელმძღვანელობს პარტია, ხოლო საბჭოთა მწერლები თავიანთ შემოქმედებით მეთოდად აღიარებენ სოციალისტურ რეალიზმს, რომელიც დიდი ხანია იქცა პროკრუსტეს სარეცელადო. მსგავსი შეხედულება განვითარა ზოგიერთმა ლიტერატორმა იუგოსლავიაში, პოლონეთში, უნგრეთში და სხვ. ისინი, ეს ლიტერატორები, ფიქრობენ, რომ რაკი საბჭოთა მწერლების დადებითი გმირების დიდი უმრავლესობა იმარჯვებს სიძნელეებთან, დაბრკოლებებთან ჭიდილში და პირად ბედნიერებას პოულობს საერთო ბედნიერებისათვის ბრძოლაში, ეს უკვე პროკრუსტეს სარეცელია, ერთფეროვნებაა.

1. ნ. ს. ხრუშჩოვი, „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“, გვ. 32-33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილაშქრებენ რა სოციალისტური რეალიზმის წინააღმდეგ, რევიზიონისტები მისაბაძად სახავენ იუგოსლავიელი ე. წ. მოდერნისტების შემოქმედებას, ამტკიცებენ, თითქოს ეს მოდერნიზმი ახალი სიტყვა იყოს ლიტერატურაში. ნამდვილად კი მოდერნისტი მწერლების შემოქმედებაში შინაარსობლივად ახალი არაფერია. მასში გაბატონებულია პესიმიზმის, ადამიანის ურწმენობის, ცხოვრებაში ადამიანის ჩაურევლობის მოყირჭებული და გაცვეთილი მოტივები.

გამოიყენონ სოციალისტური რეალიზმი — ეს ნიშნავს ასახო ცხოვრება მართლად, სრულად, მთელი მისი მრავალფეროვნებით. სწორი არ იყვნენ ის ლიტერატორები, რომლებიც ვერ იცნობდნენ რა ცხოვრებას, არ ჰქონდათ რა საჭირო პოლიტიკური გამოცდილება და იმის უნარი, რომ შეენიშნათ მთავარი და განმსაზღვრელი, შეუდგნენ უარყოფითი ფაქტების შეგროვებას, ყველგან და ყველაფერში ეძებდნენ ნაკლოვანებებს, განზრახ ამუქებდნენ ფერებს და არსებითად ქმნიდნენ ცილისმწამებლურ ნაწარმოებებს. ამავე დროს მათ ჩირქი მოსცხეს იმ პატიოსან საბჭოთა მწერლებს, რომლებიც წერდნენ დადებითზე, ჩვენს წარმატებებზე და სრულიად უსაფუძვლოდ მიაკერეს ასეთ მწერლებს „შემლამაზებლის“ სალანძღავი სახელი. პარტია, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა ამას. მან განმარტა, რომ ლიტერატურამ უნდა გვიჩვენოს ჩვენი სინამდვილე მთელი მისი მრავალფეროვნებით და დაუშვებელია რაიმე ცალმხრივობა, სიყალბე. საბჭოთა ადამიანები უარყოფენ ისეთ ცილისმწამებლურ წიგნს, როგორიცაა დუდინცევის „არა პურითა ერთითა“, და ისეთ სიყალბესაც, როგორსაც შეიცავს კინოფილმები „დაუვიწყარი 1919 წელი“ ან „ყუბანელი კაზაკები“.

პარტია გვასწავლის, რომ მწერალს, ხელოვნების მუშაკს მხოლოდ მაშინ შეუძლია სწორად, სრულყოფილად, მრავალფეროვნად ასახოს სინამდვილე, როცა იგი სისტემურად უკავშირდება პარტიას, ხალხს, როცა მტკიცედ მიჰყვება ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარ ხაზს. ეს ხაზი კი ის არის, რომ ლიტერატურა და ხელოვნება, როგორც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, „მუდამ განუყოფელად იყონ დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მართლად ასახავდნენ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრესა და მრავალფეროვანებას, მკაფიოდ და დამჯერებლად გვიჩვენებდნენ საბჭოთა ხალხის დიდ გარდამქმნელ საქმიანობას, მის მისწრაფებათა და მიზანთა კეთილშობილურ, ამაღლებულ მორალურ თვისებებს“.[1]

ხალხთან, ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი კი არ უპირისპირდება ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს, როგორც ამას ზოგიერთი გზააბნეული ლიტერატორი „ამტკიცებდა“, არამედ, პირიქით, გარდუვალად გულისხმობს მას. ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში პარტია არის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, იგი წინ მიუძღვის მშრომელებს, მთელ ხალხს სანუკვარი მიზნის — კომუნიზმის განხორციელებისათვის ბრძოლაში და საბჭოთა ადამიანები სამართლიანად უმადლიან მას ჩვენი ქვეყნის ყველა წარმატებას. ნახევარსაუკუნოვანი პირადი გამოცდილებით ხალხი დარწმუნდა, რომ კომუნისტური პარტია გამოხატავს და ბოლომდე იცავს მის ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს, რომ პარტიას არა აქვს არავითარი სხვა ინტერესები, გარდა ხალხის, მშრომელების ინტერესებისა. ამიტომ ხალხმა საკუთარი ნებით, საკუთარი სურვილით მიანდო კომუნისტურ პარტიას თავისი ბედი და უყოყმანოდ უჭერს მხარს მის პოლიტიკას, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძველს. სწორედ ამიტომ განა სასულელე არ არის ფიქრობდე, რომ შეიძლება ემსახურო ხალხს ისე, რომ უაღრესად აქტიურად არ მონაწილეობდე პარტიის პოლიტიკის განხორციელებაში, არ იზიარებდე პარტიის შეხედულებებს, არ მიგაჩნდეს ისინი, ეს შეხედულებები, ხალხისა და პირადად შენს შეხედულებებად? პარტია და ხალხი განუყოფელია, მათი კავშირი ურღვევია და არავითარ ძალას არ შეუძლია შეარყიოს მისი სალიკლდისებური სიმტკიცე. ვინც ხალხთან არის, ის პარტიასთანაც არის, ვინც პარტიასთან არის, ის ხალხთანაც არის.

საბჭოთა ლიტერატურის ძალაც ის არის, რომ იგი განუყოფელად დაკავშირებულია პარტიასთან, ხალხთან, ცხოვრებასთან. ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა, რევიზიონისტებმა ამაოდ სცადეს შეერყიათ ჩვენი იდეოლოგიური და ისტორიული პოზიციების სიმტკიცე. საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება აეცდინათ სწორი გზიდან, იდეოლოგიური ფრონტი გამოეყენებინათ სოციალიზმის ძალების შესასუსტებლად. მაგრამ ეს ცდა, როგორც მოსალოდნელი იყო, სრული მარცხით დამთავრდა. საბჭოთა მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა, რო-

1. ნ. ს. ხრუშჩოვი, „ხალხის ცხოვრებასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო კავშირისათვის“, გვ. 27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მლებიც აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობაში კომუნიზმისათვის, ცხადყვეს, რომ მათ ბოლომდე შეგნებული აქვთ ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის უდიდესი მაორგანიზებელი და მამობილიზებელი მნიშვნელობა და თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა ვერც კი წარმოუდგენიათ ამ ხელმძღვანელობის გარეშე. მათ ერთსულოვნად დაგმეს ყველა ისინი, ვინც ცდილობდა ლიტერატურასა და ხელოვნებაში გაეპარებინა საბჭოთა ადამიანების სულისკვეთებისათვის უცხო ბურჟუაზიული შეხედულებანი, ვინც ილაშქრებდა პარტიულობის პრინციპის წინააღმდეგ ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ვისაც სურდა დაეჩლუნგებინა იდეოლოგიური ბრძოლის, მასების აღზრდის ისეთი ბასრი იარაღი და ნაცადი საშუალება, როგორიცაა ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება.

საბჭოთა მწერლების წინაშე გადაშლილია ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის უდიდესი პერსპექტივები და შესაძლებლობანი. და ეჭვი არ არის, პარტიის მზრუნველობითა და დახმარებით ისინი ამომწურავად [illegible] ამ შესაძლებლობებს, კიდევ უფრო გაბედულად თავიანთ წვლილს კომუნიზმის მშენებლობაში.

„საბჭოთა მწერლების მთელი მრავალეროვანი კოლექტივის სახელით, — ნათქვამია სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის IV პლენუმის მიმართვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, — ჩვენ პირობას ვაძლევთ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ვემზადებით რა მწერალთა III ყრილობისათვის, ლიტერატურის განვითარებისათვის მაქსიმალურად სასარგებლოდ განვახორციელებთ ცხოვრებაში პარტიის მიერ მოცემულ რჩევა-დარიგებებს. ჩვენ ყოველი საბჭოთა მწერლის მოვალეობად მიგვაჩნია, რომელი ეროვნებისაც არ უნდა იყოს იგი, განუყრელ კავშირში იყოს ხალხის ცხოვრებასთან და, აიღებს რა მასალებს თავისი შემოქმედებისათვის ხალხის გმირული შრომიდან, შექმნას იდეურად და მხატვრულად სრულყოფილი ნაწარმოებები ჩვენი განუმეორებლად მშვენიერი დროის შესახებ, რათა უფრო გაამდიდროს და განავითაროს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი“.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲚᲐᲓᲝ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ

ᲓᲐᲛᲐᲕᲘᲬᲧᲓᲐ... ᲣᲜᲓᲐ ᲛᲔᲗᲥᲕᲐ*

თეთრი ღამე, მთვარის თენთვა...
ჩნდება ჩუმად ჩრდილთან ჩრდილი,
მესმის შენი გულის ფეთქვა,
როგორც ახლა, ისე დილით.

დამავიწყდა, უნდა მეთქვა,
მზეა, წყნარი დარი არი, —
ვერ დაადნობს შენს სინათლეს
შავი ღამე დარიალის.

ბევრჯერ უთქვამთ სხვებს წინათ ეს,
დამავიწყდა, ვერ გითხარი,
რომ ქარი ფრთებს ატკაცუნებს
და ირხევა ხე, ვით ქალი.

კვლავ გაისმის ვაქკაცური
შენი ხმა, და ხმებს კრიალას
მოაქვს ვარდის სურნელება
ბარდებით და ეკლიანად.

ამ დროს სხედან სულელები
და ცის თაღზე ჰკრეფენ მთვარეს,
დამავიწყდა და ვერ გითხარ,
მზე ვერ დასწვავს, დავ. შენს თვალებს
და იელვებს იგი დიდხანს.

დამავიწყდა, უნდა მეთქვა,
როგორც ახლა, ისე დილით,
მესმის შენი გულის ფეთქვა,
მიმზერს შენი სახის ჩრდილი.

1938 წელი.

*ლადო ასათიანის ეს ლექსები ქვეყნდება პირველად. ხელნაწერები მოგვაწოდა პოეტის მეგობარმა ნელი დუმბაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

„ქრიზანტემები, თეთრი ვარდები
მოგაგონებენ წარსულის ღიმილს“.

ვნახე წარსულის ერთი ფურცელი,
„ქრიზანტემები, თეთრი ვარდები“,
თუ მწუხარებას ვერ გავუძელი,
წავალ და კლდეზე გადავვარდები.

ვნახე წერილი, სადაც ვარდია
ისევ ცოცხალი, ისევ მზიანი,
ჩემი გრძნობის და სიყრმის გვარდიავ,
სალამი ჩემგან იმედიანი.

დაჭანგებული გული გიგონებს,
გული — ვარამის მარმაშიანი.
ნაძვნარში ვჩმახავ მე ამ სტრიქონებს, —
არ მიატოვა ქარმა შრიალი.

თითქოს ათასი წელიწადია,
რაც არ მენახოთ, ისევ დარდია.
ო, თქვენი ნახვა როგორ მწადია,
ჩემი გრძნობის და სიყრმის გვარდიავ.

ჩემი ვარამის დამტირებელი
გულზე მაწვება ეს თვე მთლიანად,
სექტემბერში კი მატარებელი,
ალბათ, მოიტანს ღიმილს კრიალას.

სხვა არაფერი მინატრია-რა.

1935 წელი, 24 ივლისი.

საინტერესო ნაშრომი მხატვრულ ლიტერატურაში ხალხთა მეგობრობის ასახვის საკითხზე

ხალხთა მეგობრობა მეტად აქტუალური თემაა. თუ როგორ არის იგი ასახული თანამედროვე ქართულ მწერლობაში, ამ საკითხს ეხება ა. მირიანაშვილის ნაშრომი „ხალხთა მეგობრობის ასახვა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში", რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა.

ნაშრომი შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან.

შესავალში ავტორი არკვევს მხატვრულ ლიტერატურაში ხალხთა მეგობრობის ასახვის ზოგად თეორიულ საკითხებს და მოკლედ ჩამოთვლის იმ ძირითად ფორმებს, რომლებიც დაგვიტოვა რევოლუციამდელმა ქართულმა მწერლობამ ხალხთა მეგობრობის გამოსახატავად. განსაკუთრებით ვრცლად არის დახასიათებული ის ძირითადი ფორმები, რომლებიც გააჩნია ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ხალხთა მეგობრობის იდეის ხელოვნების ენაზე გადმოსაცემად: სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლების დამეგობრება, ნაწარმოების მიძღვნა მთლიანად მოძმე ხალხებისადმი და სხვ. რასაკვირველია, საბჭოთა ლიტერატურა იყენებს ზოგიერთ იმ ფორმასა და ხერხს, რომლებიც ახასიათებდა რევოლუციამდელ ლიტერატურას, მაგრამ მას გააჩნია სპეციფიკური ფორმებიც ხალხთა მეგობრობის გამოსახატავად. მაგალითად, სოციალისტური შრომითი გმირობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას ახასიათებს, რადგან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არ იყვნენ სოციალისტური შრომის გმირები. საბჭოთა ხელისუფლება, კომუნისტური პარტია ხელს უწყობენ გმირობის გავრცელებას, რათა ერთი ერის შრომითი გმირობის გამოცდილება განზოგადდეს და იქცეს ყველა მოძმე საბჭოთა ერის კუთვნილებად, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ხალხთა მეგობრობას. დასასრულ ავტორი დაასკვნის: „...რევოლუციამდელ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურას შორის ძირითადი განსხვავება იმაშია, რომ ძველად ჩვენი მწერლები გამოხატავდნენ ძირითადში სურვილს სხვა ხალხებთან მჭიდრო ურთიერთობისა, რის საშუალებასაც მათ არ აძლევდა არსებული სახელმწიფოებრივი წყობილება. ახლა კი სხვაგვარი მდგომარეობა გვაქვს: ქართველი ხალხი მტკიცე ლენინური მეგობრობით არის დაკავშირებული სხვა ხალხებთან. ეი ეს ცხოვრებისეული განსხვავება იწვევს განსხვავებას მხატვრული ფორმების თვალსაზრისითაც". (გვ. 13).

ნაშრომის პირველი თავი „ხალხთა მეგობრობის მოტივები რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში" ეხება იმ ტრადიციებს, რომლებიც დაგვიტოვა ქართულმა კლასიკურმა მწერლობამ ხალხთა მეგობრობის ასახვაში. მოკლედ განხილულია შ. რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა შემოქმედება. ეს თავი, ჩვენი შეხედულებით, მეტად მოკლეა და სქემატური. მართალია, ხალხთა მეგობრობის მოტივი სწორად არის დახასიათებული, მაგრამ ზოგიერთი ნაწარმოები გამოტოვებულია. მაგალითად, ი. ჭავჭავაძის „ქართვლის დედა", კერძოდ, ამ ნაწარმოების ის ადგილი, სადაც შვილი ეუბნება დედას:

მოვიდა დიდ ხნის სანატრელი,
დედავ ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო,
გაღვიძებულა,
მთელი კავკასი,
მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,
ერთისა აზრით,
ერთის გრძნობით აღელვებულა.

როგორც აქედან ჩანს, მთელი კავკასიის ბრძოლა, ესე იგი კავკასიის ყველა ერის ერთიანობა, ილიას მიაჩნია თვითმპყრობელობის დამხობის პირობად. ეს არის ერთა მეგობრობის ქადაგების ბრწყინვალე გამოხატულება და იგი ხაზგასმით უნდა ჩანდეს ნაშრომში.

ნაშრომის მეორე, მესამე და მეოთხე თავებში ავტორი შესაბამისად განიხილავს ხალხთა მეგობრობის ასახვას ქართულ საბჭოთა პოეზიასა, პროზასა და დრამატურგიაში, კერძოდ, გ. ტაბიძის, ს. ეული-ქურიძის, გ. ქუჩიშვილის, ნ. ზომლეთელის, ს. ჩიქოვანის, გ. ლეონიძის, ი. გრიშაშვილის, ა. მირცხულავას, ი. მოსაშვილის, ალ. აბაშელის, ხ. ბერულავას, ი. ნონეშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, შ. დადიანის, ლ. ქიაჩელის, მიხ. ჯავახიშვილის, ი. ლისაშვილის, ს. შანშიაშვილის, ბ. ჩხეიძის, ა. ჭეიშვილის, რ. გვეტაძის, ელ. ზედგინიძის, თ. დონეაშვილის,

თ. გოგოლაძის, კ. გოგიავას, კ. გამსახურდიას, კ. ლორთქიფანიძის, დ. შენგელაიას, ს. კლდიაშვილის, ს. თავაძის, დ. ბაქრაძის, ა. ბელიაშვილის, გ. ნახუცრიშვილის, ვ. დარასელის, ი. ვაკელის ნაწარმოებებში, რომლებიც ეხებიან ხალხთა მეგობრობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგი ნაწარმოები მხოლოდ მოხსენიებულია, ზოგი მოკლედ არის განხილული, ზოგი კი ვრცლად და ღრმად. ამ შემთხვევაში მოტანილია სათანადო ტექსტობრივი მასალები და წარმოდგენილია ღრმა მეცნიერული ანალიზი. წიგნის დიდი ღირსებაა, რომ თავიდან ბოლომდე გასდევს ღრმა ანალიზი იმ ნაწარმოებებისა, რომლებშიც ასახულია ქართველი ხალხის მეგობრობა დიდ რუს ხალხთან, გვიჩვენებს ამ მეგობრობის დიდ პროგრესულ მნიშვნელობას.

მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დროს ავტორი ყოველთვის წინ წამოსწევს არსებითს, დამახასიათებელს, ტიპობრივს და ამის მიხედვით გვაძლევს სათანადო დასკვნებს. ეს დასკვნები სწორი და მისაღებია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ წიგნის ორი ძირითადი ნაკლი.

ავტორი, მართალია, ეხება ნაწარმოების მხატვრულ ფორმასაც, მაგრამ ზოგჯერ ეს ანალიზი მეტად მოკლეა, ზოგჯერ კი მის შესახებ არაფერს ამბობს.

ავტორი მართებულად უსაყვედურებს ჩვენს მწერლებს იმის გამო, რომ სამამულო ომის პერიოდის პოეზიაში იყო შემთხვევები, როცა „ხშირად ლექსების ლირიკული გმირები... სრულიად მშვიდად, აუღელვებლად, ყოველგვარი გულისტკივილის გარეშე ტოვებენ ოჯახს, ცოლ-შვილს, მოხუც მშობლებს, სატრფოებს და სხვა ახლობელ ადამიანებს. შინ დარჩენილნიც ასევე გულდინჯად აცილებენ მათ, თითქოს არც კი წარმოუდგენიათ, თუ რა საფრთხე მოელის მათ საყვარელ ადამიანს ბრძოლის ველზე“ (გვ. 46). აქვე შევნიშნავთ, რომ კარგი იქნებოდა ავტორს ასეთი „ლირიკული გმირის“ ანუ „ლირიკული პერსონაჟის“ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი დაესახელებინა.

ავტორი იქვე დასძენს: „ზემოთ აღნიშნული ერთფეროვნების ფონზე თავისებურად გაისმის ალ. მირცხულავას ლექსში ფრონტზე წასული ვაჟკაცის დედის სიტყვები:

„მუდამ გიგონებ დარდით სნეული,
თვალწინ მიდგახარ-ყოველ ცისმარე,
აღარ მასვენებს შემოსეული
დღისით ფიქრი და ღამით სიზმარი“
(გვ. 47).

ჩვენი აზრით, ავტორი ამ შემთხვევაში არ უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ერთი მწერლის ერთი ლექსის ანალიზით, მას უნდა დაესახელებინა და განეხილა სხვა მწერლების ნაწარმოებებიც და, კერძოდ, არ შეიძლებოდა უყურადღებოდ დაეტოვებინა აჭარაში მომუშავე პოეტ ნესტორ მალაზონიას ისეთი ბრწყინვალე ლექსი, როგორიც არის „მოდიან შეილო ჯარისკაცები“.

...„მეორე ზარი — შენაც წახვედი,
გულში კი მძიმე ჭიდილი გაჩნდა:
იქაც მინდოდი, აქაც მინდოდი,
ბოლოს შეერთდა ეს ორი განცდა.
... და ყველაფერი გახდა ძვირფასი,
რასაც კი შენი უგრძნია თითი —
შენი სურათი, წიგნი თუ თასი,
შენი მაგიდის ყოველი ნივთი,
დღედაღამ პირზე გვეკერა ყმაწვილი
შენი სახელი და მაგალითი.

გაცილების დროს მშობელმა გულის მძიმე ჭიდილი განიცადა, მაგრამ როდესაც ძინ დაბრუნდა და სახლის კარი შეაღო, პატრიოტი მშობლის განცდით თქვა:

გულში ჩამიდგა სხვა სიამაყე:
მტკიცედ მეჩვენა ეზო და ბინა
და შვილი სახლში, ჯარის გარეშე
წუთითაც ვეღარ წარმომედგინა.

ჩვენ შემთხვევით არ დაგვისახელებია ქ. ბათუმში მცხოვრები მწერლის ნ. მალაზონიას ლექსი. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი მკვლევარი, კრიტიკოსი რომელიმე თემის გაშუქების დროს **აანალიზებს მხოლოდ იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ეკუთვნით თბილისში მცხოვრებ მწერლებს.** ეს ტენდენცია ახასიათებს სარეცენზიო ნაშრომსაც. ა. მირიანაშვილი არ ასახელებს და არ განიხილავს არც ერთი იმ მწერლის ნაწარმოებს, რომლებიც ბათუმში ცხოვრობენ და აშუქებენ ხალხთა მეგობრობის თემას. ნაშრომის სათაური კი არის „ხალხთა მეგობრობის ასახვა **ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“.** ცნობილია, რომ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში შედის ყველა ის ნაწარმოები, რომლებიც დაიწერა სუხუმში, სტალინირში, ბათუმსა თუ ქუთაისში. კერძოდ, აჭარაში მუშაობენ მწერლები, რომლებიც დიდი ხანია ცნობილი არიან თავიანთი ნაყოფიერი შემოქმედებით, მაგრამ ზოგიერთი კრიტიკოსი ამ გარემოებას რატომღაც ანგარიშს არ უწევს.

ხალხთა მეგობრობის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის გამოირჩევა, მაგალითად, ნ. მალაზონიას ისეთი ლექსები, როგორიცაა „მეგობრები“, „პუშკინის სურათთან“, „ვლადიმერ მაიაკოვსკის“ და სხვ. ბევრი კარგი ლექსი აქვს პოეტ ფრიდონ ხალვაშს ხალხთა მეგობრობის თემაზე: „თერგი“, „ლერმონტოვი პიატიგორსკში“, „ვიეტნამელი სტუმარი“, „წინ“, „ეს ბავშვი ცხოვრობს ბერძნულ ციხეში“, „იულიუს ფუჩიკი მშვიდობის ფესტივალზე“, „რობსონი მღერის“ და სხვ.

ხალხთა მეგობრობა და მშვიდობის დაცვა განუყოფელია. ხალხთა მეგობრობა მშვიდობის ბურჯია, რადგან ხალხთა მეგობრობას, მის მძლავრ გაქანებას შეუძლია ალაგმოს პირსისხლიანი აგრესორები და მშვიდობა განამტკიცოს. ამ თემისადმია მიძღვნილი პოეტ გიორგი სალუქვაძის ლექსი „რუკასთან“. ამ ლექსში მოცემულია მხატვრული სახე ლამაზი ბიჭუნასი, რომელიც რუკას შესცქერის და საზღვარს ხაზავს. ბიჭუნა გმობს იმ თურქს, რომელიც კორეაში ასკერს გზავნის და ომის ხანძარით ემუქრება

შრომის,
სიკეთის,
მშვიდობის მხარეს.

როგორც ცნობილია, აჭარა სამი საუკუნის განმავლობაში განიცდიდა თურქების ბატონობას და მათი ბარბაროსული მოქმედების შესახებ ბევრი თქვეს და დაწერეს აჭარის როგორც პოეტებმა, ისე პროზაიკოსებმა და დრამატურგებმა. მაგრამ ამასთან ერთად ისინი ავლენენ დიდ პატივისცემას თურქი ხალხისადმი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სასახელო მოღვაწეობისადმი. ამის მაჩვენებელია ლექსების ციკლი, რომელიც შეიქმნა თურქი ხალხის საამაყო შვილის ნაზიმ ჰიქმეთის შესახებ. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს პოეტ მამია ვარშანიძის ლექსები „შეხვედრა“, „ნაზიმის სიტყვა ახალგაზრდებთან“, „ნახვამდის“ და სხვ.

დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი: აჭარაში არსებობს მწერალთა კავშირის განყოფილება, რომელსაც უკვე გააჩნია თავისი ბეჭდვითი ორგანო, სახელგამი უშვებს ბათუმში მომუშავე მწერლების წიგნებს, თეატრებში იდგმება მათი პიესები. შეიქმნა არაერთი ბიოგრაფიები, რომლებიც უკვე შევიდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში. ამ მოვლენამ თავისი ასახვა უნდა ჰპოვოს უპირველეს ყოვლისა ისეთ წიგნებში, რომლებშიც ესა თუ ის თემა განხილულია **მთელი** ქართული საბჭოთა ლიტერატურის მასალებზე.

დოც. ალ. ჩავლეიშვილი

აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ანთროპოლოგიისათვის

ეთნოგენეზის საკითხი, რომლის ერთ მხარესაც — ხალხის ფიზიკურ აღნაგობას, ანთროპოლოგია შეისწავლის, საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. იგი ძირითადად ეთნოგრაფიის კომპეტენციაში შედის, მაგრამ ეთნოგრაფია მას ვერ გადაჭრის ისტორიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ანთროპოლოგიისა და მეცნიერების ზოგიერთი სხვა დარგის დაუხმარებლად. მხოლოდ ყველა ამ დარგის მონაცემთა კომპლექსური გამოყენებით არის შესაძლებელი ეთნოგენეზის საკითხის მართებული მეცნიერული გაშუქება.

აჭარის ასსრ მკვიდრი მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებათა გამოკვლევა-დადგენასა და ამავე მოსახლეობის ეთნოგენეზის ზოგიერთი საკითხის გაშუქებას ისახავს მიზნად ო. ახვლედიანის წიგნი „К антропологии коренного населения Аджарской АССР“, რომელიც აჭარის სახელგამმა გამოსცა.

აჭარის მოსახლეობის ანთროპოლოგიური კვლევა ოთარ ახვლედიანმა სარფისა და გონიის ჭ.ნების (ლაზების) შესწავლით დაიწყო 1951 წელს. აქედან მოკიდებული ავტორი წლების მანძილზე გულმოდგინედ სწავლობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებებს და მნიშვნელოვანი წარმატებისთვისაც მიუღწევია.

სარეცენზიო წიგნი მდიდარ მასალებს ემყარება. ავტორს შეუსწავლია აჭარის მოსახლეობის რვა ტერიტორიული ჯგუფი 732 კაცის რაოდენობით და ერთი კრანიოლოგიური სერია (61 თავის ქალა). გარდა ამისა, ანთროპოლოგს გამოუკვლევია და შესადარებლად გამოუყენებია გურული ეთნოტერიტორიული ჯგუფების მასალები, რომელიც 297 ინდივიდს შეადგენს. სულ მკვლევარმა შეისწავლა 1.029 ინდივიდი.

წიგნი ავტორს ექვს თავად დაუყვია, რომელსაც უძღვის შესავალი და ერთვის მოკლე დასკვნები, დამატებაში წარმოდგენილია სომატოლოგიური და კრანიოლოგიური მასალების ცხრილები და ფოტოტაბულები.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი (IV-V თავები) ეძღვნება ავტორის პირველი მთავარი ამოცანის — აჭარის მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებათა დადგენას. მკვლევარი დიდი გულისყურით ეკიდება ამ საკითხს და ანთროპოლოგიური ნიშნების საფუძვლიან ეთნოტერიტორიულ დიფერენციაციას გვაძლევს (თავი IV, § 6-17). მკვლევარს რომ ძირითადად დიდი და ფაქიზი ანთროპოლოგიური კვლევა-ძიება ჩაუტარებია, ეს უდავოა, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ო. ახვლედიანი ამა თუ იმ ანთროპოლოგიური თავისებურების განსაზღვრის დროს თითო-ოროლა ინდივიდით კი არ კმაყოფილდება, როგორც რევოლუციამდელი ავტორები იქცეოდნენ, არამედ მრავალი ინდივიდის გულმოდგინე შესწავლაზე აფუძნებს თავის დასკვნებს.

გამოკვლევაში რიგიანად არის დახასიათებული სომატოლოგიური და კრანიოლოგიური მასალები (თავი III), აჭარის ცალკეული ეთნოტერიტორიული ჯგუფების მორფოლოგიური თავისებურებანი და მთელი რიგი სხვა საკითხები.

ანთროპოლოგი ენერგიულად იკვლევს აგრეთვე ეთნოგენეზის საკითხებს (თავი VI) და მეტწილად სწორ დასკვნებსაც იძლევა.

თურქთა სამსაუკუნოვანმა ბატონობამ აჭარაში ზოგიერთი ცვლილება შეიტანა ამ მხარის ეთნოგრაფიულ ყოფაში, ზნე-ჩვეულებებში, ლექსიკაშიც შევიდა უცხოური წარმოშობის სიტყვები. მაგრამ ქართულმა ენამ გაუძლო თურქულის ასიმილატორულ მოძალებას და შეინარჩუნა თავისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი.

მნიშვნელოვანი გავლენა ასიმილაციას არც აჭარის მკვიდრთა ანთროპოლოგიურ ტიპზე მოუხდენია. მოსახლეობამ აქაც მამაცურად გადაიტანა განსაცდელი. საფუძვლიან ანთროპოლოგიურ გამოკვლევას ემყარება ავტორი ამ საკითხში და სწორ დასკვნამდეც მიდის (გვ. 150).

განსაკუთრებით საყურადღებოა ო. ახვლედიანის დებულება აჭარის მკვიდრთა ავტოქტონური წარმომავლობის შესახებ (გვ. 139).

ეს დებულება ჯეროვან ანთროპოლოგიურ

მონაცემებს ემყარება და სარწმუნოც ჩანს, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მას აუცილებელი ისტორიული დასაბუთება აკლია.

სწორი და მართებულია ავტორის დებულება ქობულეთის რაიონისა და მახარაძე-ლანჩხუთის რაიონების მცხოვრებთა უახლოესი ეთნიკურ-ანთროპოლოგიური მსგავსებისა და ამ ეთნოტერიტორიულ ჯგუფთა საერთო გენეტიკური წარმომავლობის შესახებ (გვ. 146).

ქობულეთის რაიონში, ისე როგორც მთელ ისტორიულ ქვემო გურიაში (მდინარე ჩოლოქიდან ჭოროხამდე), ძველთაგანვე გურული ეთნოტერიტორიული ჯგუფის მოსახლეობა იყო. ეს ისტორიული ჭეშმარიტებაა, რომელიც შეუძლებელია ანთროპოლოგიურადაც არ დადასტურდეს. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ბათუმის რაიონის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილიც, რომელიც აგრეთვე ამ ეთნოტერიტორიული ჯგუფის ძველისძველ სამკვიდრებელს წარმოადგენდა, ანთროპოლოგიურად ძირითადში იმასვე მოგვცემდა, რაც ქობულეთმა გამოავლინა. თუმცა ავტორს თავისი სომატოლოგიური გამოკვლევით დღეს ასეთი შედეგი არ მიუღია, მაგრამ ისტორიული, ეთნოგრაფიული და ენობრივი თავისებურებანი ცხადყოფს, რომ წარსულში ამ კუთხის მოსახლეობა უაღრესად მახლობელი იყო ქობულეთ-გურიასთან.

წიგნში ვხვდებით შეცდომა-უზუსტობათა ცალკეულ შემთხვევებს, როგორც ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის თარიღში, ისე სხვა საკითხშიც.

მაგალითად, წინა აზიაში თურქ-ოსმალთა შემოსევების დაწყების თარიღად წიგნში დასახელებულია XI საუკუნე (გვ. 17), ნამდვილად კი ამ დროს მოდიან თურქი-სელჯუკები, ხოლო თურქ-ოსმალები შემოიჭრნენ უფრო გვიან, XIII საუკუნეში.

გურიიდან აჭარა-ჭანეთის ჩამოცილება რომელიც მზეჭაბუკ ათაბაგმა (1502-1516 წ.) განახორციელა 1511 წელს, ავტორს თურქთა მიერ ამ ოლქების ოკუპაციად აქვს მიჩნეული (იქვე).

იმავე გვერდზე ო. ახვლედიანი ვახუშტი ბაგრატიონის დამოწმებით აცხადებს, რომ „ადრე ძველად აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებ-ში იყო და მხოლოდ VIII საუკუნის შეორე ნახევარში უერთდება აფხაზეთის სამეფოსო. ასეთი შეხედულებაც მცდარია. აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში გურია არასოდეს არ ყოფილა. აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში შესვლამდე მერმინდელი გურიის მიწა-წყალი ჯერ კოლხეთის, ხოლო შემდეგ ლაზიკის სამეფოს ფარგლებში ერთიანდებოდა.

ოსმალთა მიერ ქობულეთის მიტაცების თარიღად ავტორი მიუთითებს 1710 წელს (გვ. 19). სინამდვილეში თურქებმა ქობულეთი დაიპყრეს XVIII საუკუნის 60-იან წლებში.

უზუსტობას იჩენს აგრეთვე ავტორი, როცა წერს, რომ თანამედროვე აჭარის ასსრ მხოლოდ ზემო და ქვემო აჭარისა და გურიის ნაწილისაგან შედგებაო (გვ. 19-20). ისტორიული აჭარისა (აჭარისწყლის ხეობა) და ქვემო გურიის (ქობულეთის რაიონი და ბათუმის რაიონის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) გარდა, აჭარის რესპუბლიკაში შევიდა ისტორიული შავშეთის ნაწილიც — ქვემო მაჭახელი, ასევე ნიგალის (ლივანა) ნაწილი (კირნათ-მარადიდიდან მირვეთამდე), გონია (ახლანდელი თხილნარისა და გონიის სასოფლო საბჭოები) და ჭანეთის უკიდურესი ჩრდილოეთი ნაწილი მსქიბუღალ-ტიბაშიდან კვარიათამდე.

ეს შენიშვნები ვერ ამცირებენ ო. ახვლედიანის ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას. იგი უთუოდ საყურადღებო გამოკვლევაა, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ თავისებურებათა და ეთნოგენეზის საკითხების შემდგომ ღრმა შესწავლას. სასურველია იგი ქართულადაც დაიბეჭდოს.

ᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ.

ალექსანდრე სამსონია

მეზობლები

ალმასხანმა არაყი დაასხა და ერთი ჭიქა მე გადმომაწოდა.

— აბა, დაილოცე, სტუმარი კაცი ხარ.

სანამ არ დავცალე, არ მომეშვა.

— ტირილი თუ იცოდი, ჩემო ბიძიკო, სიდედრის დასაფლავებაზე რა ღმერთი გაგიწყრა, მუნჯივით რომ იდექი იმდენ ხალხში.

— მე, ალმასხან ბატონო, ახალგაზრდა კაცი ვარ და ტირილი არ მეხერხება. სიდედრის დასაფლავებაზე კი არა, ბავშვობაში ჭინჭრის შოლტებით რომ ამიხურებდა დედაჩემი კანჭებს, მაშინ არ გადმომვარდნია ცრემლი.

მასპინძელმა ხელახლა შეავსო ჭიქები.

— რამდენი წლის ხარ, ბიძია შენ?

— ოცდახუთისა გავხდი იანვარში.

— ჯერ მართლა რეგვენი ყოფილხარ, კინაღამ კაცური კაცი მეგონე. ხომ არ გეწყინა, ბიძიკო? ლაპარაკი ვიცი ასეთი, თორემ ისე ძაან ჩვილი გული მაქვს. ხო, ოქრო, დამაყურე ახლა, რა გითხრა: მე რომ შენხელა ვიყავი, მეზობლებს სატირალში დავყავდი. მოუკვდებოდა ვიღაცას ყვავის ჩხიკვის მამიდაშვილი და ჩემთან მორბოდნენ — გვიშვილე, ალმასხან, შენს იქით გზა არ გვაქვსო. იცოცხლე, ხმა ძალუანი მქონდა. ახლა რაა, დავბერდი, შენ ახალგაზრდობაში უნდა გენახა! როგორც მოგეხსენება, ჩვენ დროს რადიო არ იყო და, თუ რამე გამოსაცხადებელი იქნებოდა სოფელში, მე უნდა მეთქვა ხალხისათვის. იმ ჭადარს ხომ ხედავ? ახლა მეხმა გახლიჩა, თორემ წინათ ძაან მაღალი იყო. ავიდოდი, შენ ხარ ჩემი ბატონი, მაგის წვერში და... რად მინდა ახლა ამის მოყოლა. როგორ გამოაბჟუტურებს სიბერე კაცს! თავიდან რაზე დავიწყე, ბიძიკო?

— მეზობლებს დავყავდიო სატირალში.

— ხო, მაგას ვამბობდი. მივუახლოვდებოდი თუ არა მიცვალებულის სახლს, წავიშენდი თავში ხელს და ავტეხდი ღრიალს — ვაიმე ძმაო, ან დაო, ან ბებია, ერთი სიტყვით, ეს მკვდარზე იყო დამოკიდებული. ჩემი ხმის გაგონებისთანავე წამოიმღლებოდა ფეხზე ჭირისუფალი — არიქა, ქვიდაუბნელები მოვიდნენო. სხვებიც შემმატებდნენ ხმას, ატყდებოდა ტირილი, მაგრამ ჩემი მოთქმა ყველაფერს ფარავდა. ვინ მკითხავდა ახლა მე? ვინ მრჯიდა ამას, მარა რეგვენი ვიყავი შენსავით და... არა ისე კაცმა ყველაფერი უნდა იცოდეს!

ალმასხანმა ჯიბის პატარა დანით მსხალი დათალა.

— ახლა ეს დააყოლე, ყარამანის ნახელავია, შაქარივით ჩაგადნება პირში.

თითქოს ნაქურდალზე შემასწრეს, ყარამანის სახელის გაგონებისთანავე პირთან მიტანილი ნაჭერი უკანვე დავდე და შეშინებულმა მეზობელი სახლისკენ გავიხედე.

—რამ შეგაშინა, შე კაცო, ხომ გითხარი ნახელავია-მეთქი. ამ დილით საკუთარი კალათით მომიტანა ოჯახში.

— ყარამანმა?

— ხო, ყარამანმა. რა მაქვს ახლა შენთან სატრაბახო.

— რაღაც არ მჯერა მაინც.

— თუ არ გჯერა, ვინ გეხვეწება. გეუბნები ასეა-მეთქი. იმ ამბის შემდეგ სულ გამოიცვალა კაცი.

— რომელი ამბის შემდეგ?

— რავა, შენ არაფერი იცი? ასეა, ბატონო, სოფელი აღარ გაინტერესებთ. გადაიკარგებით ამ ქალაქში. რა დროა დაგიდგათ! მე ქალი რომ მოვიყვანე, მატარებელი მაშინ ვნახე პირველად. მოიჩოჩე ახლა აქეთ, ჩემი მეზობლის ამბავს გეტყვი.

სკამი ალმასხანისკენ მიეწია.

— ძუნწი რომაა ყარამანი, მე კი არა, რაიონში იციან. მკვდრებიდან ნეტორა იყო, საწყალი, ჟამი და ცოცხლებში ეგ დარჩა. მამა არ ყავდა ხელმოჭერილი და ბებია. გასაკვირია, ვისში გამოვიდა ამისთანა. აგერ, შენ თვითონ გემახსოვრება, მსხლის გულისთვის რას აკეთებდა. რაც მართალია მართალია, კარგი მსხალია, მაგრამ რად გინდა მერე, თუ არ მოიხმარე. მაგ მსხალმა დააგლახა უბედური, ძილი დაავიწყა და ჭამა, არშიყობის თავი აბა არც ახალგაზრდობაში ჰქონდა. ხო, მსხალმა დააგლახა-მეთქი. სულ იმის შიშში იყო, არ დამიკრიფონო. ნაყოფს გამოიტანდა თუ არა, სამგლე ძაღლი ჰყავდა ერთი, ნემსი გადაყლაპვინა ვიღაცა აშენებულმა, იმას დააბამდა ძირში. მწიფობაში რომ შევიდოდა მსხალი, ძაღლსაც არ ენდობოდა, გამოქონდა ლოგინი და ხის ქვეშ ათენებდა. დაილოცა, ღმერთო, შენი სახელი! ხელი იმისთვისაა ამ ქვეყანაზე, რომ პირი გაისველო, ისიამოვნო. სხვას თუ არ აჭმევ, რა ვქნათ ახლა, მარა შენ რომ ვერ მოიხმარ, მაგაზე უარესი არაფერია. ვუთხარი, ვის უნახავ, დალპა ხეზე ნაყოფი, გაგიცინებს ვიღაცა შეთქი. დაგიჯერა მერე?

—მეზობელო, შენ ბაღანას მოუარო, იგი ჯობია, დაძრება რაღაც აქეთ და, მსხალზე თუ დავიჭირე, ცუდად წავა შაგის საქმე.

ბაღანა კი არა საცოლე კაცია. შენი კბილაა სწორედ. ძრომით რომ დადგება, სულო ცოდვილო, მეც კი შეშინდეს, მარა მსხალი რათ უნდა, სახლში იმდენი გვაქვს, ღორებს ვუყრით საჭმელად. აქ რაღაც სხვა ამბავია. ყარამანის ქალიშვილს ხომ იცნობ? გასაკვირია ასეთი ანგელოზი შვილი ჰყავდეს მაგისთანა მამას. ახლა მოხუცდა და ქვაზე დახატულ ეშმაკს რომ ჰგავდეს, არ გაემტყუნება, მაგრამ წინათაც არ იყო დიდი ბედაური. ხოდა, მაგას გეუბნებოდი, ჩემო ბიძიკონა, შევატყვე რაღაც ბიჭს ამ ქალისკენ უჭირავს თვალი. არ გამიხარდებოდა, ახლა, მე შენ გეტყვი! გადავუკარი მამამისს სიტყვა. ავარდა, მაგრამ როგორ! მსხალიპარია კაცს ქალს რავა გავატანო.

გამეცინა გუნებაში. მსხალს კი დაჯერდები, ქალი არ მოგპარონ-მეთქი.

საქორწინოთ ვემზადებით ჩემი ჭკუით, მაგრამ ჯერ დაიცა თურმე, სადა ხარ!

ბეგლარა მჭიდელს, აგერ რომ ცხოვრობს, გზის პირას, შორეული ნათესავი ჩამოუვიდა თბილისიდან. იქ სწავლობს თურმე.

ვერ გეტყვი, რა მოეწონა მაგ თბილისელში ყარამანს. ალბათ, ნასწავლი რომაა, იმან გადარია. კი ბატონო, გადარია ნამდვილად. ერთხელ ნახა და გათავდა — ამაზე უკეთეს სიძეს ვერსად ვიშოვიო, შეუჩნდა ბეგლარას, გავაკეთოთ როგორმე ეს საქმეო.

შევატყვე, აიმღვრა წყალი.

— შე დოყლაპია, პირი რომ დაგიღია, ქალს გვართმევენ ხელიდან-მეთქი, — ვუყვირე ჩემს ჭიჭიკას. დიდად არ შეუწუხებია თავი, ალბათ, რაღაცას იმედი ქონდა.

ერთ საღამოს, აგი დრო იყო სწორედ, ვზივარ ასე კიბის ძირში. ჩიბუხს მოვუკიდე, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ატყდა ყარამანისას ყვირილი — მეზობლებო, მომეხმარეთ, ხალხი ხართ ქვეყანაზეო.

დამეკარგა თვალში სინათლე, დამარცხდა ნამდვილად ბერიკაცი-მეთქი. ძუნ-

წი კია, მარა რაც უნდა იყოს, მაინც შენი მეზობელია.

გადავვარდი ღობეზე. ახალნაყიდი შარვალი მქონდა ერთი, წამოვდევი სარზე და მივაფხრიწე. ვინ მიაქცია ყურადღება!

შევირბინე ეზოში და რას ვხედავ — დაუკავებია ყარამანს ჭოკი ხელში და მსხლის გარშემო დარბის.

მშიშარა კაცი არა ვარ. ცხრაას ხუთში კაზაკებს დავხვდი ნასაკირალზე, მარა ყარამანს რომ შევხედე, ზარი დამეცა. გაგიჟებულა ნამდვილად ეს უბედური-მეთქი. რომ გამოგიშალოს ახლა ეს ჭოკი თავში, მე შენ გიტყვი ჭკუა დაუშლის თუ გონება, სად მიხვალ მერე?

დამინახა თუ არა, წამოვიდა ჩემკენ. ცუდადაა შენი ალმასხანის საქმე. გაქცევას ვეღარ მოვასწრებ. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და გავუცინე ერთი გაცინება. ცხონებული ბებიაჩემისგან მქონდა გაგონილი, გიჟი რომ შეგხვდება, გიჟურად თუ მოექეცი, არაფერს გიტყვისო.

— დაჭყანვა გაკლია, შე უბედურო? ცოგნები ხართ მამაც და შვილიც. აგერ მყავს, ხეზე, გამოჭერილი შენი საცოლე ბიჭი. ტკბილი მსხალია, ხომ? სანამდი უნდა დაიმალო, ჩამოდი-მეთქი, მე შენ გელაპარაკები! მეზობლებო, მოდით, ნახეთ სერი — ეგ გაფუჭებული მთხოვდა ქალს, მსხლის ქურდი ეგა!

ამივარდა თავში სისხლი. ეს მინდა ახლა მე? თვითონ ხომ მოეჭრა თავი, მარა მე სად გავახილო თვალი ამდენ ხალხში.

გამოვტაცე ჭოკი ყარამანს და ახლა მე დავუწყე ყვირილი, ჩამოეთრიე ძირში შე ძამაქაღლო-მეთქი.

რა შვილი, ჩამოვა! ტოტების შრიალზე ვატყობ, უფრო მაღლა ადის.

მოვიტანე კიბე და, რომ დაინახა ხეზე ასვლას ვაპირებდი, მხოლოდ მაშინ იკადრა ჩამოსვლა. კი მოდის, მარა ვხედავ არ გავს რაღაცა ჩემს ჭიჭიკას. ჩამოაღწია როგორც იქნა და არ ეკითხავ, ვინ შეგვრჩა ხელში? — ჩვენი ბეგლარას მეზობელი, ის ნასწავლი კაცი.

ჯერ სიცილი ამიტყდა.

— ყარამან ჩემო, რას ილანძღებოდი, თურმე სიძე ბატონი აგიშვია მსხალზე.

შემდეგ ტირილი კინაღამ დავიწყე, იმ საწყალს რომ შევხედე სახეზე, ვანუგეშე ვითომ ჩემი ჭკუით.

— შე კაცო, რამ შეგაშინა, იხუმრა ყარამანმა-მეთქი.

აბა რა დაამშვიდებდა. დაკრა ფეხი და გადავარდა ეზოდან. იმის შემდეგ მისი ლანდი აღარ გვინახავს სოფელში.

საუბარში მსხლები შემოგვეჭამა და ალმასხანმა ახალი ამოიღო კალათიდან.

— მერე რა მოხდა, ალმასხან ბატონო.

— ისეთი არაფერი, ჩემო ბიძიკო, თვის ბოლოს ქორწილი მაქვს. თუ მოიცალი და პატარა პატივს დამდებ, ძაან გამახარებ ამ სიბერეში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/III—58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 6.
ემ00701. შეკვეთა № 1882. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 3000

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ბათუმი, ლუქსემბურგის, 22).

Батумская типо-литография Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Батуми, ул. Р. Люксембург, 22.

№ 4 ᲐᲯᲐᲠ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара"

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ